პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ. ფეების და მასწავლებლებ სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტ-ს ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების
ექვსი წლის თავი

ოთხშაბათი, 22 იანვარი 1930 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 18 (2666)

ულენინოდ, მაგრამ ლენინის დროშით, ენტუზიასტების ფოლადისებური პარტია, სოციალიზმის მშენებელთა მილიონებიან მასებზე დაყრდნობით და საერთაშორისო პროლეტარიატის აქტიური თანაგრძნობით, სპობს კაპიტალიზმის ნაშთებს, აშენებს სოციალიზმს დიდ საბჭოთა კავშირში და ხელმძღვანელობს პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ მოძრაობას მთელს მსოფლიოში

წინ, დიდი ბელადის ნაცადი გზით! გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ (ბ) პა´ტიას, გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ლენინის გზით

ექვსი წლის წინათ საბჭოთა ქვეყანამ და საერთაშორისო პროლეტარიატმა დაჰკარგა დიდი ბელადი. ექვსი წელია კომუნისტური პარტია ქალაქის და სოფლის მშრომელთა ფართე მასების სათავეში, მათი აქტიური დახმარებით მიიწევს წინ სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე, თანდათანობით ავიწროებს კლასიურ მტერს და ახალ - ახალ გამარჯვებებს აღწევს დიდი საბჭოთა კავშირის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში.

განვლილმა ექვსმა წელმა უდიდესი გამარჯვება არგუნა ლენინის საქმეს. ამ პერიოდმა ზედმეტად ცხადყო, რომ ლენინის მიერ შექმნილი და აღზრდილი სახელოვანი კომუნისტური პარტია შეძლებს ლენინის ანდერძის განხორციელებას.

ულენინოთ ჩვენ მივაღწევთ ლენინის საქმის დაგვირგვინებას, — ასეთი რწმენით გაიმსჭვალა პარტია და მთელი მუშათა კლასი ლენინის სიკვდილის პირველ დღეებიდანვე, ასეთი ფიცი დასდვეს მშრომელმა მასებმა დიდი ბელადის დაკარგვის დღეს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელმა მასებმა უდიდეს გამარჯვებებს მიაღწიეს. გასული ექვსი წლის განმავლობაში ლენინური პარტიის მთელი ყურადღება მიმართული იყო სოციალიზმის მშენებლობაზე.

ლენინის ერთ ძირითად ანდერძთაგანს წარმოადგენს მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცება. ქალაქის და სოფლის მშრომელ მასების დაკავშირების გარეშე ლენინს შეუძლებლად მიაჩნდა წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, ღარიბ და საშუალო გლეხობის გარეშე ლენინს ვერ წარმოედგინა სოციალისტური საზოგადოებისათვის მკვიდრი საფუძვლის ჩაყრა, რადგან „სოციალიზმი მარტო ქალაქზე არ ვრცელდება. სოციალიზმი არის მეურნეობის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მრეწველობას და მიწათმოქმედების საწარმოო საშუალებათა და იარაღებს განსაზოგადოების ნიადაგზე. მეურნეობის ამ ორი დარგის გაერთიანების გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის განხორციელება“ (სტალინი).

მრეწველობისა და მიწათ-მოქმედების დაკავშირება, მეურნეობის ამ ორი ძირითადი დარგის გაერთიანება სოციალიზმის საფუძველზე, შეუძლებელია მიწათ - მომქმედთა ძირითადი მასის აქტიური მიმხრობის გარეშე. ლენინის ცნობილი ლოზუნგის — **ვინ—ვის** — მთელი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საშუალო გლეხობის დახმარება, წვრილ მიწათმომქმედთა ამ ძირითადი მასის დაყენება პროლეტარული რევოლიუციის მხარეზე ჩვენი გამარჯვების აუცილებელი პირობაა.

„მთელი საკითხი, მთელი აზრი იმაშია — ლაპარაკობდა ლენინი — **თუ ვინ ვის აჯობებს, ვინ დაიპყრობს** გლეხობას, ვინ უფრო მეტად შესძლებს გლეხობაზე თავისი გავლენის გავრცელებას. მთელი საკითხი იმაშია, თუ ვის გაყვება გლეხობა: პროლეტარიატს, რომელიც ისწრაფვის სოციალისტური საზოგადოების შექმნას, თუ გაყვება ის კაპიტალისტს, რომელიც ეძუნძულება გლეხს: — „მოვბრუნდეთ უკან, თორემ რაღაც ახალი სოციალიზმი გამოიგონეს“-ო. აი რაში მდგომარეობს მთელი თანამედროვე ბრძოლა — **ვინ გაიმარჯვებს, ვინ უფრო ადრე ისარგებლებს**“.

კოლექტივიზაციის დღევანდელი ტემპი, სოფლად წარმოებული მასიური განსაზოგადოება წვრილ გლეხურ მეურნეთა საწარმოო საშუალებებისა და გადამწყვეტი ბრძოლა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის, იმას მოწმობს, რომ პარტია ანხორციელებს ლენინის ერთ-ერთ მთავარ ანდერძს, ლენინიზმის უდიდეს პრობლემას საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების და წვრილი მიწათმომქმედის სოციალისტური გარდაქმნის შესახებ. გაძლიერებული შეტევა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე და გადამწყვეტი ბრძოლა კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად საბჭოთა სოფელში იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ პარტიამ შესძლო გლეხობის ძირითადი მასის დარწმუნება მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის უპირატესობაში, მან დაარწმუნა საშუალო გლეხი იმაში, რომ კულაკურ ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებისა და კოლექტიური შრომის საფუძველზე.

დღეს სოფლად საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირში ფართო სოციალისტური შეტევა სწარმოებს კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ და მტკიცე საფუძველი ეყრება კოლექტივიზაციას, სოფლის მშრომელ მასების საწარმოო კოოპერატიულ გაერთიანებას, რეალურად ხორციელდება ლენინის კოოპერატიული გეგმა და გაბატონებულ მდგომარეობას იპყრობს კოლექტიური მეურნეობა. ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელება კი სოფლის სოციალისტური გარდაქმნის უდიდესი გეგმის გამარჯვებაა, ის ლენინის ყველაზე მნიშვნელოვანი ანდერძის შესრულებაა.

მაგრამ სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, წვრილ მიწათ-მოქმედთა სოციალიზმის გზაზე დაყენება, წვრილ მეურნეთა ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიის გარდაქმნა—ლენინის აზრით, შეუძლია მხოლოდ „მატერიალურ ბაზას, ტეხნიკას, მიწათმოქმედებაში ტრაქტორების და მანქანების მასიურ ელექტროფიკაციას“. კოლექტიური მეურნეობანი, სოფლის მასიური კოლექტივიზაცია ამ მატერიალურ ბაზას უნდა დაემყაროს.

მიწათ-მოქმედების მეტარიალური ბაზა და საერთოდ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია შეუძლებელია მსხვილი სამანქანო მრეწველობის, ქალაქის მსხვილი ინდუსტრიის გარეშე. წვრილ მწარმოებელთა მრავალრიცხოვანი მასის სოციალისტური გარდაქმნა დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპზე, მსხვილ სამანქანო ბაზის შექმნაზე. ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპი, და რაც მთავარია, მძიმე ინდუსტრიის განვითარება აუცილებელი პირობაა არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ საბჭოთა ქვეყნის მთელი ეკონომიკის სოციალისტური გარდაქმნისათვის.

პარტის ყურადღება, პროლეტარულ სახელმწიფოს მთელი საქმიანობა ამიტომ, როგორც ლენინის სიცოცხლეში, ისე მის შემდეგაც, მიმართული იყო მსხვილი ინდუსტრიის გაძლიერებისაკენ, რადგან, როგორც ლენინი ამბობდა, „გარეშე მძიმე მრეწველობის აღდგენისა, ვერ ავაგებთ ვერავითარ მრეწველობას, უამისოთ ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, დავიღუპებით“.

გასული ექვსი წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით ლენინის ამ ყველაზე საყურადღებო ანდერძის შესასრულებლად უდიდესი ნაბიჯების გადადგმა და აუცილებელ პირობების შექმნა მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირში საფუძველი ჩაეყარა საწარმოო საშუალებათა დამამზადებელ მრეწველობას, მსხვილ მანქანათ-მშენებლობას, რომელიც თანდათანობით ანთავისუფლებს ჩვენს ქვეყანას კაპიტალისტურ დამოკიდებულებისაგან და აძლიერებს სოციალიზმის მატერიალურ ბაზას.

მსხვილი ინდუსტრიის განვითარებამ და სოფლის კოლექტივიზაციამ განამტკიცა სოციალისტური მეურნეობის პოზიციები ქალაქათ და სოფლად, მან საშუალება მისცა პროლეტარულ სახელმწიფოს კაპიტალისტურ ელემენტებზე გაძლიერებული შეტევის.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე, მეურნეობის წარმართვის ახალი კურსის მეოხებით, რომელიც ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით იქნა შემოღებული 1921 წელს. ლენინი გარკვევით აყენებდა საკითხს 1921 წელს, რომ პოლიტიკური გამარჯვება, რომელიც მუშათა კლასმა მოიპოვა სამხედრო ფრონტებზე, სამოქალაქო ომში მწვავე ბრძოლის შედეგად არ შეიძლება იქნეს მტკიცე ქვეყნის სამეურნეო გაძლიერების, ეკონომიურ ფრონტზე გამარჯვების გარეშე. „ჩვენი უკანასკნელი, ყველაზე ძნელი, ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე დაუმთავრებელი საქმე სამეურნეო მშენებლობაა“ (ლენინი).

პარტიამ ლენინის სიკვდილის შემდეგ მიაღწია უდიდეს შედეგებს სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე, ეკონომიური საძირკვლის შესაქმნელად ახალი სოციალისტური შენობისათვის. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ საშუალება მისცა პროლეტარულ სახელმწიფოს აღედგინა მსოფლიო და სამოქალაქო ომების მიერ დაცემული საწარმოო ძალები **ახალ სოციალ-ეკონომიურ საფუძველზე** და შესდგომოდა მთელი სახალხო მეურნეობის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას.

სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას, სოციალისტურ ელემენტების გაძლიერებას ქალაქად და სოფლად თან სდევდა მუშათა კლასის კეთილდღეობის ზრდა, პროლეტარულ მასების მეტი ჩაბმა ქვეყნის მართვა - გამგეობაში, შრომის სოციალისტური ორგანიზაციის გაძლიერება (სოციალისტური შეჯიბრება და სხვა) და მასების ინიციატივის ზრდა თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე.

ყველა ამ ამოცანათა შესასრულებლად ლენინურ პარტიას მოუხდა ენერგიის უდიდესი დაჭიმვა, დიდი ნებისყოფის, გამძლეობის გამოჩენა და რკინისებური დისციპლინის განხორციელება საკუთარ რიგებში. სოციალისტურ მშენებლობას პარტია მთელ მუშათა კლასის და სოფლის პროლეტარულ ელემენტების აქტიური დახმარებით აწარმოებდა. ის დაუზოგავად ებრძოდა და ებრძვის ყოველგვარ ლიკვიდატორულ განწყობილებებს როგორც პარტიაში, ისე ქვეყანაში. „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ გადახრებს, ყოველ სახის ოპორტუნიზმს, რომელსაც ეჭვი შეაქვს მუშათა კლასის ძლიერებასა და სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებაში. კომუნისტური პარტია ბოლომდე დარჩა ერთგული ლენინური ტრადიციისა, რომელიც მდგომარეობს კლასიურ მტრების და სწორი ბოლშევიკური პოლიტიკის ყველა ჯურის რევიზიონისტების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

სწორმა ლენინურმა პოლიტიკამ და რკინისებურმა დისციპლინამ უზრუნველყო ლენინის საქმის გამარჯვება, მთელ სახალხო მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების გაძლიერება, პარტიის მთლიანობის შენარჩუნება, საბჭოების ავტორიტეტის და პროლეტარული დიქტატურის იდეის ზრდა მთელს მსოფლიოში.



ბელადისა და მასწავლებლის ხსოვნას

ამ დღეებს ჩვენ ყოველწლიურად ვუძღვნით **ლენინის** მოგონებებს; ლენინის ამ დღეებს ჩვენ ვუძღვნით ლენინიზმის პოპულიარიზაციის ფართო და უფართოეს მასებში, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას. მაგრამ მითხარით, რომელ დღეს ან, თუგინდ, რომელ საათში არ ვაკეთებთ ჩვენ ამასვე? რომელ დღეს ან საათში არ ვიგონებთ მას; რომელ დღეს ან საათში ჩვენ ვცხოვრობთ მისი მითითებების გარეშე, მისი რჩევა - დარიგებების გარეშე? განა მთელი ჩვენი საქმიანობა, მთელი მუშაობა არ წარმოადგენს **ლენინის** ანდერძის განხორციელებას? განა ჩვენ ყველანი მისი გზით არ მივდივართ? განა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის, მისი ინდივიდუალურ - კაპიტალისტური გზიდან უფართოესი კოოპერაციისა და კოლექტივიზაციის გზაზე გადაყვანის მთელი პროგრამა — არ არის ის გზა, რომელიც გვიჩვენა და მოამზადა თვით **ლენინმა?**

ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ მას უძღვნით სპეციალურ კვირეულს, სპეციალურ დღეებს. და არა მარტო ჩვენ — საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები, ასე იქცევიან მთელი მსოფლიოს მშრომელები, ბურჟუაზიული სახელმწიფოების მუშათა კლასი და განსაკუთრებით, კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მუშები და გლეხები, რომლებიც ჯერ კიდევ გმინავენ საერთაშორისო იმპერიალიზმის უღელ ქვეშ. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან **ლენინმა მარქსისა და ენგელსის** მოძღვრების საფუძველზე პირველად გვიჩვენა მთელი მშრომელი და დაჩაგრული კაცობრიობის კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლების ნამდვილი გზა, მან მოახერხა ამის განხორციელება დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და მასთან ერთად სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკულად დაწყება. **ლენინიზმი** ანუ **ბოლშევიზმი** ჩვენ თვალწინ გაიზარდა და გახდა მსოფლიო ისტორიული ფაქტი. იგი შეიქნა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველაზე სასიცოცხლო ფაქტორი. ვინ არ იცის, რომ მუშათა კლასის თანამედროვე რევოლიუციონური მოძრაობა, როგორც მეტროპოლიებში, ისე კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში, ვითარდება რევოლიუციონური **მარქსიზმისა და ლენინიზმის**, ანუ კომუნისტური ინტერნაციონალის დროშით. სხვაფრივ არც შეიძლება იყოს, ვინაიდან მეორე ინტერნაციონალი არა მარტო გამოიფიტა საბოლოოდ, მან არა მარტო დაჰკარგა ყველაფერი რევოლიუციონური, რაც მასში იყო წარსულში, არამედ იგი უკვე იქცა კონტრ - რევოლიუციონურ მოძრაობად მუშათა კლასის წინააღმდეგ, საერთაშორისო იმპერიალიზმისა და ფაშისტური ბურჟუაზიის ინტერესების დამცველად.

და ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა კლასი ბურჟუაზიულ ქვეყნებში თანდათანობით შორდება მეორე ინტერნაციონალს და გადადის რევოლიუციონური მარქსიზმისა და ლენინიზმის დროშის ქვეშ. ეს გვიჩვენებს, რომ ხდება მსოფლიო მუშათა მოძრაობის ბოლშევიზაცია, ე. ი. იგი მიდის ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, იმ გზით, რომლითაც მიდიოდა და მიდის რუსეთის პროლეტარიატი. მსოფლიო ისტორია, მსოფლიო ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არ არსებობს სხვა გზა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ვიდრე ის გზა, რომელზედაც ლენინმა მიგვითითა.

არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ ამ დღეების განმავლობაში მსოფლიო პროლეტარიატი და ყველა მშრომელები მოიგონებენ ლენინს, როგორც სოციალიზმის უდიდეს მასწავლებელს და მსოფლიო პროლეტარულ ბელადს, მოიგონებენ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ე. ი. ცხოვრებაში გაატარებენ მის მოძღვრებას.

ჩვენ კი, საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები, ამ დღეების განმავლობაში ჯამს გაუკეთებთ იმას, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ ლენინის სიკვდილის შემდეგ, სოციალიზმის მშენებლობის გზაზე ლენინის ანდერძის შესასრულებლად; მაგრამ ჩვენი წარმატებებისათვის ჯამის გაკეთების დროს ჩვენ არ დავმალავთ ჩვენს ნაკლოვანებებს და შეცდომებს ჩვენს მშენებლობაში, ვინაიდან ამას გვასწავლიდა ლენინი.

ექვსი წლის განმავლობაში **ლენინის** სიკვდილის შემდეგ ლენინურ-ბოლშევიკური პარტიისა და მისი შტაბის — საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ხელმძღვანელობით ჩვენს მიერ გავლილია მთელი ჩვენი ჩამორჩენილი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დიდი და ძნელი გზა სოციალისტური მეურნეობისაკენ მაღალი ტეხნიკის საფუძველზე. სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში მიდის წინ უსწრაფესი, გიგანტური ნაბიჯებით კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, კოლოსალური სიძნელეების პირობებში, უფართოესი მუშურ - გლეხური მასების ენტუზიაზმის შეუჩერებელი ზრდის პირობებში. და ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენ არ უხვევთ ლენინური გზიდან.

მაღლა, მარქსიზმ - ლენინიზმის დროშა, მუდამ ამ დროშის ქვეშ!

ლენინი სცოცხლობს, იგი უკვდავია, იგი ასულდგმულებს ყველა ჩვენგანს სოციალიზმისათვის ბრძოლაში, იგი სცოცხლობს ჩვენში, თითეულ მუშასა და გლეხში.

ფ. მახარაძე.

ლენინი სოციალისტური მშენებლობის გზების შესახებ

ის შედეგები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ლენინის გარდაცვალების მეექვსე წელს, საგრძნობლად განსხვავდებიან წინა წლების შედეგებისაგან. ეს წელი მრავალის მხრით გარდატეხის წელიწადს წარმოადგენს. არასოდეს ასე ნათლად და უდაოდ არ დაუმტკიცებია წინანდა ლენინური გზის სისწორე, არასოდეს არ ყოფილა ჩვენს ბრძოლაში ლენინური გზის სისწორის ისეთი მკაფიო და დამარწმუნებელი მაგალითები, როგორიც მოგვცა ამ წელმა, რომელსაც ახასიათებს გადამწყვეტი შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, უდიდესი მიღწევები ინდუსტრიალიზაციის საქმეში და გადამწყვეტი ბრძოლა კოლექტივიზაციისათვის. ამასთან ერთად ამ წელმა გააქარწყლა მემარჯვენე ოპორტიუნისტების ყოველგვარი იმედი და დაუმტკიცა მათ, რომ ერთად - ერთი შესაძლებელი გზაა გადამწყვეტი სოციალისტური შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე. ამ წელმა იარაღი დააყრევინა იმათ, ვინც ცდილობდა პარტიის ხაზის შესწორებას „მარცხნიდან“, ვინც პარტიას უსაყვედურებდა გადაგვარებას, ლენინური, პროლეტარული ხაზიდან გადახვევას და სხვ. განვლილმა წლებმა გააცამტვერეს მემარჯვენეთა მტკიცება იმის შესახებ, ვითომ მუშათა კლასისა და გლეხთა მშრომელი მასების გაბედული და გადამწყვეტი შეტევა, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ გამოიწვევს სოფლის მეურნეობის დაშლას და დეგრადაციას და სხვა. ამავე დროს ამ წელს ახასიათებს კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გამწვავება არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს მსოფლიოში. კაპიტალიზმის მსოფლიო უსასტიკეს ეკონომიურ კრიზისს განიცდის. ასეთ მომენტში არაჩვეულებრივი სისწრაფით მწვავდებიან სოციალური წინააღმდეგობანი, კლასობრივი ბრძოლა მწვავდება და უფრო მკაფიო და გაფართოებულ ფორმებს ღებულობს. სულ ახლად და ახლად ისმება დღის წესრიგში პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის ამოცანა, ისმება უკვე ისეთ პირობებში, როცა პროლეტარიატი მილიონობით იძენს ახალ მომხრეებს.

შეცდომა იქნება მხედველობაში არ მივიღოთ ის პირობები, რომლებშიაც ხორციელდება საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის გზები. ეს ხშირად ავიწყდება იმათ, რომელნიც თავიანთ თავს ლენინის ერთგულ მოწაფეებად სთვლიან. ერთი საქმეა პირველი წლების „წითელ გვარდიელთა იერიშები“, როცა ჩვენ მოგვეპოვებოდა მატერიალური ბაზა უდიდეს სოციალურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობის გარდაქმნისათვის, როცა ჩვენ არა გვქონდა გამოცდილება, როცა ჩვენი პირველი ნაბიჯები სოციალისტური გარდაქმნის საქმეში საშუალო გლეხობას შორის ვერ პოულობდა თანაგრძნობას. სულ სხვა საქმეა უკანასკნელი წლები, როცა ჩვენ დანგრეული მეურნეობა აღვადგინეთ ახალი ტეხნიკის საფუძველზე, ელექტროფიკაციის უკვე შესრულებული პირველი ათწლიანი გეგმის საფუძველზე, როცა ჩვენ ბევრად უფრო ფართო საძირკველი ჩავუყარეთ სოციალისტურ ეკონომიკას დიდი ქარხნების, მანქანათმშენებლობის, ტრაქტორთა მშენებლობის, კომბაინების, ქარხნების და სხვათა სახით. ეს აღარ არის წითელ გვარდიელთა შეტევა, სადაც მივდიოდით პატარა მოწინავე რაზმებით, რომელთაც მიჰყვებოდა მერყევი მასა. ამ იერიშების შემდეგ ჩვენ არა ერთხელ მოგვიხდა უკან დახევა და უნდა ითქვას, რომ ეს უკან დახევა ყოველთვის წესიერად არა ხდებოდა. იერიშების შემდეგ ჩვენ იძულებული ვიყავით გადავსულიყავით ხანგრძლივ „ალყაზე“. ლენინის სტრატეგია და პრაქტიკა ღრმად შემოწმებულია ცხოვრების მიერ. მაგრამ ახლა ეს წითელ გვარდიელთა შეტევა როდია.

ეს ისეთი მასიური მოძრაობაა, რომელზედაც ლენინი ლაპარაკობდა, მოძრაობა, რომელიც უნდა დამდგარიყო, თუ პარტია და მუშათა კლასი მიაღწევდნენ ნამდვილ კავშირს „გლეხურ ეკონომიკასა და იმ ეკონომიკას შორის, რომელიც ნაციონალიზაცია და სოციალიზაციაქმნილ ფაბრიკებსა და ქარხნებში და საბჭოთა მეურნეობებში იქმნებოდა“. სწორედ იმიტომ უნდა დაგვეხია მუდამ უკან, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა ისეთი კავშირი, რომელზედაც ლენინი ლაპარაკობდა პარტიის 1922 წლის 27 მარტის ყრილობაზე თავის მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მოქმედების შესახებ. საჭირო იყო მთელი წლების თავგამოდებული ბრძოლა, რომ მიგვეღწია ასეთი კავშირისათვის.

მაგრამ ლენინელის მხრით არ იქნება სწორი და შესაფერი, თუ საქმეს ისე წარმოიდგენს, ვითომ ლენინის მიერ [illegible] ცხოვრება ყველაფერს დაუმტკიცებს. ლენინი ხომ თითქმის ყოველ წელიწადს ახალ რამეს ამბობდა განვლილი გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე. ექვსმა განვლილმა წელმა იმდენი ახალი მოგვცა, რომ მხოლოდ ფილისტერებს და მეშჩანებს შეუძლიათ შეუშინდნენ საკითხის დასმას დაკავშირების ახალი ფორმების შესახებ. ლენინის პარტიისა და მთელი მუშათა კლასის ამოცანა სწორედ იმაშია, რომ გამონახოს დაკავშირების ეს ახალი ფორმები, გამონახოს იმის ახალი საშუალება, რომ უფრო ჩქარა, უფრო გაბედულად გადავიდეთ ახალი ეკონომიური, ახალი სოციალური ურთიერთობის გზაზე კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრის გზაზე. ამაში მდგომარეობს სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის თავისებურება: მუშათა კლასის ყოველ ნაბიჯს ლენინი აფასებდა სოციალიზმის მიზანთა მიღწევის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით უდგებოდა ის მუშათა კლასის შეთანხმებას გლეხობასთან; სხვანაირად მუშათა კლასის გლეხობასთან შეთანხმებას ლენინის თვალში მოკლებული ჰქონდა მნიშვნელობა. „თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ, მუშათა კლასის თვალსაზრისით, შეთანხმება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, სწორი და პრინციპიალურად შესაძლებელი, როდესაც იგი მხარს უჭერს მუშათა კლასის დიქტატურას და წარმოადგენს კლასთა მოსპობისაკენ მიმართულ ერთ-ერთ ღონისძიებას,—მაშინ მუშათა კლასის გლეხობასთან შეთანხმების ფორმულა, რა თქმა უნდა, რჩება ფორმულად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების და დიქტატურის ყველა მტრებს მოჰყავთ თავიანთ შეხედულებებში“.

აი ამ ამოცანებს, კლასთა მოსპობის, კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ამოცანებს ძალიან ხშირად ივიწყებდნენ განსაკუთრებით მემარჯვენეები. ეს ყველაზე უფრო მკვეთრად გამოჩნდა ამხ. ბუხარინის მაშინდელ მოხსენებაში ლენინის გარდაცვალების წლის თავზე: „ლენინის პოლიტიკური ანდერძის შესახებ“. ამ მოხსენებაში, მაგალითად, აღნიშნული იყო, რომ ლენინი უკანასკნელ თავის წერილებში არც ერთხელ არ ახსენებს კულაკს („ვლადიმერ ილიჩი ამ წერილებში საერთოდ არაფერს ამბობს კულაკის შესახებ“ ბუხარინი). როგორც შემდეგ დავრწმუნდით, ეს არ ყოფილა შემთხვევით ნათქვამი სიტყვები, ეს იყო იმ პოლიტიკის ძირითადი რგოლი, რომელსაც მემარჯვენეები ატარებდნენ კულაკობის ინდივიდუალური დაბეგვრის, სოფლად სოციალისტური ღონისძიებების ჩატარების საკითხში, როდესაც ისინი სცდილობდნენ ლენინისთვის მემარჯვენე ოპორტუნისტების სამოსელი ჩაეცვათ. რასაკვირველია, ლენინის ახეთი ახსნა ლენინის ძირითად რევიზიას ნიშნავს, ვინაიდან ამ პოლიტიკურ ანდერძშიაც კი ლენინი სვამდა საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა მუშური ხელისუფლების ხელმძღვანელობაში დარჩეს და „მის ავტორიტეტს და მის ხელმძღვანელობას დაემორჩილოს წვრილი და უწვრილესი გლეხობა“, რომ ლენინი მუდამ ანსხვავებდა წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობას, ე. ი. სოფლის ღარიბებს და საშუალოებს და ანცალკევებდა გლეხის ამ ფენებს კულაკებისაგან,—ეს იცის ყველამ, ვისაც როდისმე წაუკითხავს ლენინი. მეტიც: ლენინი ასეთ გამიჯვნაში ხედავდა სოციალიზმის მთელ დედა-აზრს. ლენინი სვამდა კლასთა მოსპობის ამოცანას, როგორც ისეთ ამოცანას, რომელიც გულისხმობს მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაციულ გარდაქმნას და ერთპიროვნული, განცალკევებული წვრილ-საქონლური მეურნეობის გადასვლას განსაზოგადოებულ მსხვილ მეურნეობაზე. ამავ დროს ლენინი გადაჭრით აღნიშნავდა: რათა ეს ამოცანა გადაწყდეს; „პროლეტარიატმა, რომელმაც ბურჟუაზია დაამარცხა, უეჭველად უნდა გაატაროს გლეხობის მიმართ თავისი პოლიტიკის შემდეგი ძირითადი ხაზი: პროლეტარიატმა უნდა გამოჰყოს, გამიჯნოს მშრომელი გლეხი მესაკუთრე გლეხისაგან, გლეხი მუშაკი ვაჭარი გლეხისაგან, მშრომელი გლეხი სპეკულიანტისაგან. ამ გამიჯვნაშია სოციალიზმის მთელი დედა-აზრი“. (ლენინი, ტომი მე-XVI, გვ. 351-352).

აი როგორ მწვავედ და მკვეთრად სვამდა ლენინი კულაკებთან დამოკიდებულების საკითხს: მას, ვისაც კლასების დანახვა არ შეუძლია, მას, ვინც კულაკს ვერ ხედავს, არ გაეგება სოციალიზმის დედა-აზრი. გლეხობის სხვადასხვა ფენების გამიჯვნაშია სოციალიზმის მთელი შინაარსი. ან კი როგორ შეეძლო ლენინს სხვანაირად ეფიქრა, როდესაც პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ „კულაკობისა და სოფლის ბურჟუაზიის მიმართ საკავშირო კომპარტიის (ბ) პოლიტიკა მდგომარეობს მათი ექსპლოატატორული მისწრაფებების წინააღმდეგ ბრძოლაში, მათი საბჭოთა პოლიტიკის საწინააღმდეგო მოქმედების დაძლევაში“. და არასოდეს არ უფიქრია ლენინს, რომ ჩვენი სოციალისტური გეგმების განხორციელების დროს,—სულ ერთია დადგება ჩვენს წინაშე კულტურული რევოლიუციის, თუ მთელი მშრომელი მოსახლეობის კოოპერაციაში გაერთიანების საკითხი, განსაკუთრებით კი, როდესაც ჩვენს წინაშე დადგება წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობის ძირითადი გარდაქმნის და კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრის საკითხი—ლენინს არასოდეს არ უფიქრია, რომ ამ გზის გავლა შეიძლება გაფართოებული კლასობრივი ბრძოლის, კლასთა ბრძოლის გამწვავების გარეშე. უნგრელი მუშებისადმი გაგზავნილ მისალმებაში ლენინი სწერდა: „კლასების მოსპობა ხანგრძლივი, ძნელი და დაუღალავი ბრძოლის საქმეა, რომელი ბრძოლაც არ ისპობა ბურჟუაზიული სახელმწიფოს დანგრევის და პროლეტარული დიქტატურის დამყარების შემდეგ (როგორც ამას გვიხატავენ არამზადები ძველი სოციალიზმის, ძველი სოციალ-დემოკრატიის ბანაკიდან), არამედ მხოლოდ იცვლის თავის ფორმებს და მრავალ შემთხვევაში კიდევ უფრო მწვავე ხდება“.

რევოლიუცია ხომ გათავებული არ არის, სოციალისტური რევოლიუცია ჩვენს ქვეყანაში გრძელდება. ლენინის განსაზღვრით კი „რევოლიუცია ეწოდება თავგამეტებულ კლასთან ბრძოლას, რომელიც მისულია უაღრეს გამწვავებამდე... კლასობრივი ბრძოლა აუცილებელია, ან ხელი უნდა ავიღოთ რევოლიუციაზე საერთოდ, ან უნდა ვაღიაროთ, რომ შეძლებულ კლასებთან ბრძოლა იქნება უსასტიკესი ყველა რევოლიუციებთან შედარებით“ (ლენინი, ტ. 16, გვ. 222). თავის თავად ცხადია, რომ ამ ამოცანის შესასრულებლად და იმისათვის, რომ მუშათა კლასმა შესძლოს სოფლის ღარიბებზე დაყრდნობა და, საშუალო გლეხთა ფართო მასების დახმარებით, კაპიტალიზმის ფესვების ამოგდება, სოფლად საჭიროა ღარიბი გლეხების დარაზმვა. ეს სოციალისტურ მშენებლობის ლენინური გეგმის წარმატებით შესრულების ერთი პირობათაგანია. ამ ამოცანის მიჩქმალვა და მიფუჩეჩება—მეტად მავნე საქმეა. სოფლად მუშაობის შესახებ გამართულ თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ლენინი პირდაპირ ამბობდა, რომ ამ ამოცანის შესრულების გარეშე სოციალისტი აღარ არის სოციალისტი. „პირველი ეტაპი იყო ხელისუფლების დაპყრობა ქალაქში და მართვა-გამგეობის საბჭოთა ფორმის დამყარება; მეორე ეტაპი იყო ის, რაც ყველა სოციალისტისათვის ძირითადია და ურომლისოდაც სოციალისტი არ არის სოციალისტი: გამოყოფა სოფლად პროლეტარულ და ნახევრად-პროლეტარული ელემენტებისა და მათი შეკავშირება ქალაქის პროლეტარიატთან სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად“ (ლენინი, ტომი 16, გვ. 143). აი რატომ არ შეიძლება, როდესაც სოციალისტური მშენებლობის გზებზე ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც კი დავივიწყოთ ის ლენინის მიერ დასმული ამოცანა სოფლად კლასობრივი ბრძოლის, სოფლის ბურჟუაზიის კლასობრივი დათრგუნვის და კლასთა მოსპობის შესახებ. ჩვენს სინამდვილეში ის ახალი, რითაც ლენინის გარდაცვალების მეექვსე წლის თავს მოუახლოვდით, არის ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს უკვე აქვს „მატერიალური ბაზა მსხვილი კულაკური წარმოების შესაცვლელად კოლმეურნეობათა მსხვილი წარმოებით და უდიდესი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული სოციალისტური მიწათმოქმედების შექმნისაკენ, თუნდაც რომ არაფერი ვსთქვათ საბჭოთა მეურნეობებზე, რომელთა ზრდა საგრძნობლად აღემატება გეგმით გათვალისწინებულ ყველა ვარაუდებს“ (ცენტრალური კომიტეტის დადგენილება).

სწორედ ეს ახალი აძლევს პარტიას საშუალებას სხვანაირად, უფრო გადაჭრით დასვას კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრის საკითხი, ვიდრე იგი ამას აქამდე სვამდა. სწორედ ამან „მისცა პარტიას სრული საფუძველი თავის პრაქტიკულ მუშაობაში გადასულიყო კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის პოლიტიკაზე“. რა თქმა უნდა, ამ პოლიტიკას, ლენინურ პოლიტიკას, საერთო არაფერი აქვს იმ წვრიმალ მოწოდებებთან, რომლებიც გვირჩევენ ფრთხილად ვიყოთ, არ ვაწყენინოთ კულაკს, არ წავეჩხუბოთ მას, — საერთო არაფერი აქვს მემარჯვენეთა ოპორტუნისტულ მოსაზრებასთან კულაკური მეურნეობის სოციალიზმთან შეზრდის შესახებ. ამ თეორიების შემქმნელნი იძულებულნი გახდნენ ეცნოთ იმ თეორიების უსუსურობა, რომლებიც წამოყენებულია ისეთ ლიტერატურულ შრომებში, როგორიც არის „გზა სოციალიზმისაკენ“, „ეკონომისტის შენიშვნები“, „ლენინის პოლიტიკური ანდერძი“ და სხვა. ამხ. ბუხარინი იძულებული გახდა ეთქვა, რომ „მართალი აღმოჩნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც თავის დროზე და მეტად მკვეთრად დასვა სოფლის ძველი ეკონომიური ფორმების ძირითადი ნგრევის საკითხი“.

ნიშნავს თუ არა კოლექტიურ მეურნეობათა ძლიერ ზრდასთან დაკავშირებულ ეკონომიურ ურთიერთობათა ძირითადი ნგრევა იმას, რომ იგი აბათილებს (როგორც ამას მემარჯვენეები ამტკიცებდნენ) ლენინის უკანასკნელ წერილებში წამოყენებულ ამოცანებს? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ ამოცანებს შეიძლება დაუპირისპირდეს (როგორც ამას მემარჯვენეები სჩადიან) სოციალისტური მშენებლობის ის გზები, რომლებიც ლენინმა დასახა ამ წერილებში? რა თქმა უნდა — არა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება ლენინის აზრების წარყვნა, არ შეიძლება მათი რევოლიუციონური შინაარსის უკუგდება, არ შეიძლება ამ ამოცანათა შინაარსის შეზღუდვა.

მართლაც, ავიღოთ საკითხი კოოპერაციის შესახებ. ხომ გამოჩნდნენ ისეთები, რომლებ-

საკითხი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის შესახებ

ამხ. სტალინის წერილი

„კრასნაია ზვეზდა“-ს მე-16-ე ნომერში მოთავსებულია წერილი „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ“. წერილი საერთოდ უეჭველად სწორია, მაგრამ მასში ორი აზრი სწორად არ არის გამოთქმული. მე ვფიქრობ, რომ საჭიროა მათი გასწორება.

1. წერილში ნათქვამია:

„აღდგენითი პერიოდში ჩვენ ვატარებდით ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკას. რეკონსტრუქტიული პერიოდის დაწყებისას ჩვენ შეზღუდვის პოლიტიკიდან გადავედით მათი განდევნის პოლიტიკაზე“.

ეს დებულება არ არის სწორი. კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვის და მათი განდევნის პოლიტიკა არ არის ორი სხვადასხვა პოლიტიკა. ეს ერთი და იგივე პოლიტიკაა. სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების განდევნა არის კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკის, კულაკობის ექსპლოატატორულ ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკის აუცილებელი შედეგი, მისი შემადგენელი ნაწილი. სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების განდევნა არ არის კულაკობის, როგორც კლასის განდევნა. სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების განდევნა არის განდევნა და დაძლევა კულაკობის ცალკე რაზმების, რომლებმაც ვერ გაუძლეს გადასახადის სიმძიმეს, ვერ გაუძლეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ შემზღუდველ ღონისძიებათა სისტემას. ცხადია, რომ კულაკობის ექსპლოატატორულ ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკა, სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკა გამოიწვევს კულაკობის ცალკე რაზმების განდევნას. ამიტომ კულაკობის ცალკე რაზმების განდევნა არ შეიძლება შეფასებულ იქნას სხვანაირად, თუ არა როგორც სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკის აუცილებელი, მისი შემადგენელი ნაწილი.

ამ პოლიტიკას ვატარებდით ჩვენ არა მარტო აღდგენის პერიოდში, არამედ რეკონსტრუქციის პერიოდშიც. მე-15-ე ყრილობის (1927 წ. დეკემბერი) შემდგომ პერიოდშიაც, ჩვენი პარტიის მე-16-ე კონფერენციის (1929 წ. აპრილი) პერიოდშიაც, ასევე ამ კონფერენციის შემდეგაც 1929 წლის ზაფხულამდე, როცა დადგა მთლიანი კოლექტივიზაციის ხანა, როცა მოხდა გარდატეხა კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ.

თუ გადავავლებთ თვალს პარტიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, დაწყებული თუნდაც მე-15 ყრილობიდან (1925 წ. დეკემბერი, იხ. რეზოლიუცია ცეკას ანგარიშის გამო) და გათავებული მე-16-ე კონფერენციით (1929 წ. აპრილი, იხ. რეზოლიუცია „სოფლის მეურნეობის აღორძინების გზების შესახებ“) დაინახავთ, რომ თეზისს „კულაკების ექსპლოატატორულ ტენდენციების შესახებ“ ან „სოფლად კაპიტალიზმის ზრდის შეზღუდვის შესახებ“ ყოველთვის თან მისდევს თეზისი „სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების განდევნის შესახებ“, „სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების დაძლევის შესახებ“.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების განდევნას არ ანსხვავებს კულაკობის ექსპლოატატორულ ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკისაგან, სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკისაგან.

პარტიის მე-15-ე ყრილობა, ისევე როგორც მე-16-ე კონფერენცია სავსებით ეყრდნობა „სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიის ექსპლოატატორულ მისწრაფებების შეზღუდვის“ პოლიტიკას (მე-15-ე ყრილობის რეზოლიუცია „სოფლად მუშაობის შესახებ“), „სოფლად კაპიტალიზმის განვითარების შემზღუდველ ახალ ზომების მიღების“ პოლიტიკას (იხ. იქვე), „კულაკების ექსპლოატატორულ ტენდენციების გადაჭრით შეზღუდვის“ პოლიტიკას (იხ. მე-15-ე ყრილობის რეზოლიუცია ხუთწლიანი გეგმის შესახებ), „კულაკზე შეტევის“ პოლიტიკას იმ მხრივ, რომ „მოხდეს კულაკის და კერძო ვაჭრის შემდგომ, უფრო სისტემატიურ და მტკიცე შეზღუდვაზე გადასვლა“ (იხ. იქვე), „ქალაქად და სოფლად კერძო - კაპიტალისტურ მეურნეობის ელემენტების უფრო გადაჭრით განდევნის“ პოლიტიკას (იხ. მე-15-ე ყრილობის რეზოლიუცია ცეკას ანგარიშის გამო).

მაშასადამე, არ არის მართალი აღნიშნულ წერილის ავტორი, როცა კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვისა და მათი განდევნის პოლიტიკას ორ სხვადასხვა პოლიტიკად სთვლის. ფაქტები მოწმობენ, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს კაპიტალიზმის შეზღუდვის ერთ საერთო პოლიტიკასთან, რომლის შემადგენელი ნაწილი და შედეგი არის კულაკობის ცალკე რაზმების განდევნა.

მაშასადამე, არ არის მართალი აღნიშნულ წერილის ავტორი, როცა ის ამტკიცებს, რომ სოფლად კაპიტალისტურ ელემენტების განდევნა დაიწყო მხოლოდ რეკონსტრუქციის პერიოდში, მე-15-ე ყრილობის პერიოდში. ნამდვილად განდევნას ადგილი ჰქონდა მე-15-ე ყრილობამდეც, აღდგენის პერიოდში და მე-15-ე ყრილობის შემდეგაც, რეკონსტრუქციის პერიოდში. მე-15-ე ყრილობის შემდგომ პერიოდში მხოლოდ გაძლიერებული იქნა კულაკობის ექსპლოატატორულ ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკა ახალი, დამატებითი ღონისძიებებით და ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით უნდა გაძლიერებულიყო კულაკობის ცალკე რაზმების განდევნა.

2. წერილში ნათქვამია:

„კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა სავსებით გამომდინარეობს კაპიტალისტურ ელემენტების განდევნის პოლიტიკიდან და წარმოადგენს ამ პოლიტიკის გაგრძელებას ახალ საფეხურზე“.

ეს დებულება არ არის მკაფიო და ამიტომ შემცდარია. ცხადია, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა ზეციდან არ ჩამოვარდნილა. ის მოამზადა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის და, მაშასადამე, აგრეთვე განდევნის მთელმა წარსულმა პერიოდმა. მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ის ძირიან-ფესვიანად არ განირჩევა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვის (და განდევნის) პოლიტიკისაგან, რომ ის თითქოს შეზღუდვის პოლიტიკის გაგრძელებაა. ასე მსჯელობა, როგორც ამას ჩვენი ავტორი სჩადის, ნიშნავს იმ გარდატეხის უარყოფას, რომელიც მოხდა სოფლის განვითარებაში 1929 წლის ზაფხულიდან. ასე მსჯელობა ნიშნავს იმ ფაქტის უარყოფას, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მოვახდინეთ გარდატეხა სოფლად ჩვენი პარტიის პოლიტიკაში. ასე ლაპარაკი ნიშნავს ერთგვარ იდეოლოგიურ საფარის შექმნას ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტებისათვის, რომელნიც ეხლა მე-15-ე ყრილობის გადაწყვეტილებებს ებღაუჭებიან პარტიის ახალი პოლიტიკის წინააღმდეგ ისე, როგორც თავის დროზე ამხ. ფრუმკინი ებღაუჭებოდა მე-14-ე ყრილობის გადაწყვეტილებებს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების შექმნის პოლიტიკის წინააღმდეგ.

რას ემყარებოდა მე-15-ე ყრილობა, როცა მან გამოაცხადა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვის (და განდევნის) პოლიტიკის გაძლიერება? იმას, რომ მიუხედავად კულაკობის ამ შეზღუდვისა, კულაკობა, როგორც კლასი, მაინც უნდა დარჩეს შესაფერ დრომდე. ამის გამო ყრილობამ ძალაში დასტოვა კანონი მიწის იჯარის შესახებ, თუმცა მან ძალიან კარგად იცოდა, რომ მიწების იჯარით ამღებთა მთავარ მასას კულაკები შეადგენენ. ამის გამო მე-15-ე ყრილობამ ძალაში დასტოვა კანონი დაქირავებული შრომის შესახებ სოფლად და მოითხოვა მისი სისწორით ცხოვრებაში გატარება. ამის გამო იყო ერთხელ კიდევ გამოცხადებული განკულაკების დაუშვებლობა.

ეწინააღმდეგებიან თუ არა ეს კანონები, ეს დადგენილებები სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და განდევნის) პოლიტიკას? არავითარ შემთხვევაში. ეწინააღმდეგებიან თუ არა ეს კანონები, ეს დადგენილებები კულაკის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკას? უეჭველად ეწინააღმდეგებიან. მაშასადამე, ეს კანონები და ეს დადგენილებები ახლა განზე უნდა გადავდოთ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, რომლის გავრცელების სფეროც არა თუ დღითი-დღე, არამედ საათობით იზრდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი უკვე განზე გადასდო თვით კოლმეურნეობრივი მოძრაობის მიმდინარეობამ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

შეიძლება თუ არა ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ კულაკის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა არის სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და განდევნის) პოლიტიკის გაგრძელება? ცხადია, რომ არ შეიძლება.

მოხსენებული წერილის ავტორს ავიწყდება, რომ შეუძლებელია კულაკობის, როგორც კლასის, განდევნა საგადასახადო და ყოველგვარი სხვა შეზღუდვის ზომებით, თუ ამ კლასის ხელში დავსტოვებთ საწარმოო საშუალებებს, თუ დავუტოვებთ მას მიწის თავისუფალი სარგებლობის უფლებას და თუ ჩვენს პრაქტიკაში დავსტოვებთ კანონი დაქირავებული შრომის შესახებ სოფლად, იჯარის კანონს და განკულაკების აკრძალვას. ავტორს ავიწყდება, რომ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკის დროს შეიძლება მხოლოდ იმის მოლოდინი ვიქონიოთ, რომ განდევნილნი იქნებიან კულაკობის ცალკე რაზმები. რაც როდი ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, გულისხმობს კულაკობის, როგორც კლასის, განსაზღვრულ დრომდე დატოვებას. იმისათვის, რომ განდევნილ იქნას კულაკობა, როგორც კლასი, საკმაო არ არის მისი ცალკე ელემენტების შეზღუდვისა და განდევნის პოლიტიკა. იმისათვის, რომ განვდევნოთ კულაკობა, როგორც კლასი, საჭიროა აშკარა ბრძოლაში გავტეხოთ ამ კლასის წინააღმდეგობა, და წავართვათ მას მისი არსებობისა და განვითარების საწარმოო წყაროები (მიწის თავისუფლად გამოყენება, წარმოების საშუალებები, იჯარა, დაქირავებული შრომის გამოყენების უფლება და სხვ.)

სწორედ ეს არის გარდატეხა პოლიტიკაში კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისაკენ. უამისოდ ლაპარაკი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ, არის ფუჭი ლაყბობა, რომელიც სასიამოვნო და ხელსაყრელია მხოლოდ მემარჯვენე უკლონისტებისათვის. უამისოდ წარმოუდგენელია სოფლის რაიმე სერიოზული, მეტადრე მთლიანი კოლექტივიზაცია. ეს კარგად შეიგნეს ჩვენი სოფლის ღარიბებმა და საშუალო გლეხებმა, რომლებიც ანადგურებენ კულაკობას და ანხორციელებენ მთლიან კოლექტივიზაციას. ეს, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს.

მაშასადამე, პარტია ახლანდელი პოლიტიკა სოფლად არის არა ძველი პოლიტიკის გაგრძელება, არამედ გარდატეხა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და განდევნის) ძველი პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ახალ პოლიტიკისაკენ.

ი. სტალინი.

მოსკოვი. გადმოცემულია ტელეგრაფით.

ამხ. რიუტინის წერილი „პრავდა“-ს რედაქციას

მოსკოვი, 21 იანვარი. ამხ. რედაქტორო! „კრასნაია ზვეზდა“-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია ამხ. **სტალინის** წერილი „საკითხი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის შესახებ“. წერილში აღნიშნულია, რომ „კრასნაია ზვეზდა“-ს მე-16-ე ნომერში მოთავსებულ მოწინავე წერილში „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ“ ორი აზრი არ არის სწორედ გამოთქმული.

მე გავეცანი ამხ. **სტალინის** წერილის ხელთნაწერს, გადავიკითხე ჩემს მიერ დაწერილი წერილი „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ“ და დავრწმუნდი, რომ ჩემს წერილში მართლაც დაშვებული მაქვს ამხ. სტალინის მიერ აღნიშნული შეცდომები. ამხ. სტალინის შესწორებებს და ჩემს წერილში არსებულ შეცდომების შეფასებას მის მიერ მე სავსებით ვეთანხმები.

„კრასნაია ზვეზდა“-ს პასუხისმგებელ რედაქტორის მოადგილე: **რიუტინი**.

მაგ. ისე დასვეს საკითხი ლენინის კოოპერატიული გეგმის შესახებ, თითქო ეს განსაკუთრებული გეგმა იყოს, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის ლენინისტების სოფლის მეურნეობის ძირითადი სოციალისტური გარდაქმნის და კოლექტიური მეურნეობის შექმნის საქმეში? ხომ „გამოჩნდნენ" ისეთებიც, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ კოოპერაცია ყველა პირობებში წარმოადგენს სოციალიზმის ერთად-ერთ ფორმას, და უპირისპირებდნენ კოოპერაციას საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს? გამოჩნდნენ სხვა „თეორეტიკოსებიც", რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა სახელმწიფოში კოლექტიური მეურნეობები არ წარმოადგენენ სოციალისტურ ორგანიზაციას. მაგრამ, რას ამბობდა ნამდვილად ლენინი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში კოოპერაციაზე? იგი სწერდა, რომ „ჩვენს არსებულ წყობილებაში კოოპერატიული საწარმოები, როგორც კოლექტიური საწარმოები, განსხვავდებიან კერძო კაპიტალისტური საწარმოებებისაგან, მაგრამ არ განსხვავდებიან სოციალისტურ საწარმოებისაგან, თუ ისინი დაფუძნებულნი არიან იმ მიწაზე და იმ წარმოების საშუალებებზე, რომლებიც ეკუთვნიან სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასს". აი ეს პირობა, რომ კოოპერატიული საწარმო ხდება სოციალისტური მაშინ, როდესაც იგი დაფუძნებულია სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასის მიწაზე, როდესაც იგი არსებობს სახელმწიფოს საწარმოო საშუალებებით, — ეს ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პირობა უკუაგდეს მემარჯვენე თეორეტიკოსებმა. ლენინი კი სწორედ ამ აზრს ავითარებდა ხაზგასმით, როდესაც ამბობდა, რომ „განათლებულ კოოპერატორთა წყობილება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების დროს, იმ დროს, როდესაც პროლეტარიატი კლასობრივად გამარჯვებს ბურჟუაზიაზე — არის სოციალისტური წყობილება" (ლენინი, ტომი 18, ნაწ. 2, გვ. 142-144).

ის გეგმა, რომელსაც პარტია ახორციელებს, არა თუ არა ხელს ლენინის მიერ წამოყენებულ ამოცანებს, არამედ იგი წარმოადგენს ისეთ გეგმას, რომლის ძალითაც ყველაზე უფრო ღრმად შეიძლება ამ ამოცანების შესრულება. კულტურული რევოლიუცია ნამდვილად ხდება მხოლოდ ამ წლებში, როდესაც ისპობა წერა-კითხვის უცოდინარობა არა მარტო მუშების, არამედ გლეხებისაც, როდესაც ხდება მრავალი ათასი გლეხის დაწინაურება, როდესაც გლეხობიდან ასი ათასობით გამოვა ტრაქტორისტი, როდესაც ყოველ მასიურ კოლმეურნეობრივ გაერთიანებაში იქმნება არა მარტო კულტურული კერება, არამედ პროლეტარული გავლენის, პროლეტარული კულტურის გავლენის კერაც, მრავალი ათასი სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომლებიც ამ წლებში გაჩნდებიან, მრავალი ათასი საბჭოთა მეურნეობის ცენტრები, მუშები, რომლებიც ათი ათასობით მიემგზავრებიან სოფლად კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად, ამ მშენებლობის სახელმძღვანელოდ, შეიქმნება ახალი ფორმები, მუშათა კლასისა და იმ გლეხობის კავშირის ახალი ფორმები, რომელიც თავის მეურნეობას სოციალისტურად აწყობს, —სწორედ ეს არის ის, რაზედაც ოცნებობდა ლენინი, როდესაც იგი არა-ერთხელ აღნიშნავდა იმ მაგალითის მნიშვნელობას, რომელიც უნდა ეჩვენებინა გლეხობისათვის ჩვენს მსხვილ საბჭოთა მეურნეობებს.

საბჭოების მე-7 ყრილობის საორგანიზაციო სექციაზე 1919 წლის დეკემბერში ლენინი ამბობდა: „ჩვენ ვაძლევთ მხოლოდ პირველ ნაბიჯს იქითკენ, რომ საბჭოთა მეურნეობებმა მჭიდრო კავშირი დაამყარონ გლეხურ მოსახლეობასთან და კომუნისტურ ჯგუფებთან" (ლენინი, ტომი 16, გვ. 432). მაგრამ ჩვენ ამას ვაკეთებდით მეტად უხერხულად; ჩვენთვის საჭირო გახდა შეგვესწავლა საქმე მთელი რიგი წლების განმავლობაში. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ საშუალება მოგვცა მიგველო ეს სწავლა. „ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის ის ფორმა, რომელზედაც ჩვენ როგორც წესია, დავიწყებთ მეურნეობის გაძღოლის შესწავლას"-ო, ამბობდა ლენინი საბჭოების მე-9 ყრილობაზე. იგი მოითხოვდა ჩვენგან — მივეცა გლეხობისათვის „კონკრეტული მაგალითები იმის დასამტკიცებლად, რომ „კომუნა" ყველაზე უკეთესია". სახოფლო-სამეურნეო არტელების სადგილ-მამულო კომუნათა პირველ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ლენინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამ მაგალითის მნიშვნელობას. „მხოლოდ მაშინ დავამტკიცებთ პრაქტიკულად, გლეხობისათვის გასაგებად, რომ სამხანაგო საარტელო მიწადმოქმედებაზე გადასვლა საჭირო და შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება ვსთქვათ, რომ ისეთმა ვეებერთელა ქვეყანამ, როგორიცაა რუსეთი, სერიოზული ნაბიჯი გადადგა სოციალისტური მიწადმოქმედების შექმნის გზაზე". საჭირო იყო დაგვეძლია გლეხთა ფართო მასების უნდობლობა მსხვილ მეურნეობისადმი, რომელსაც ისინი ხედავდნენ მხოლოდ მემამულეების ხელში: „მსხვილ მეურნეობაზე წარმოდგენას გლეხი უკავშირებს სიძულვილს და მოგონებას იმის შესახებ, თუ როგორ სჩაგრავდნენ ხალხს მემამულეები. ეს გრძნობა ჯერ კიდევ არსებობს, ჯერ კიდევ არ გამქრალა სავსებით", — განაცხადა ლენინმა სოფლად მუშაობის საკითხების შესახებ თათბირზე.

რა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მაგალითზე და გამოცდილებაზე დაგვემტკიცებია გლეხისათვის მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობის უპირატესობა? ამ მაგალითის გარეშე ხომ არ ექნებოდა ადგილი ასეთ მასიურ, გიგანტურ მოძრაობას. საბჭოთა ხელისუფლების დამსახურება, ლენინის პარტიის დამსახურება ამ წლებში არის ის, რომ მან შესძლო ამ ცდის მოხდენა, ამ მაგალითის ჩვენება უდიდესი მასშტაბით, ისე, როგორც ლენინის პარტიას შეეფერება. ამ მხრივ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამხ. სტალინის ინიციატივამ მარცვლეულის მსხვილი საბჭოთა მეურნეობების შექმნის საქმეში. მისმა დაჟინებამ და სიმტკიცემ ამ ამოცანის განხორციელებაში, გაცხარებულმა ბრძოლამ აღნიშნული გეგმის, ლენინური გეგმის ყველა მოწინააღმდეგეებთან, განსაკუთრებით ბრძოლამ მემარჯვენეების წინააღმდეგ ამ საკითხში შეამზადა [illegible] ის პირველი ნაბიჯები მსხვილი სოციალისტური მეურნეობის შესაქმნელად.

ჩვენს ძველ საბჭოთა მეურნეობებში დაგროვდა ერთგვარი გამოცდილება, რომელმაც საშუალება მოგვცა ახალ პირობებში, როცა ჩვენ გადავედით ტრაქტორებისა და კომბაინების მშენებლობაზე, დაგვესვა საკითხი მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების შესახებ. ისეთი მარცვლეული ფაბრიკების მუშაობის პირველმავე წელმა, როგორიცაა საბჭ. მეურნეობა „გიგანტი", ცხადჰყო ამ მიწადმოქმედების უპირატესობა და გაერთიანა მის გარშემო იმ მოწინავე გლეხების, მოჯამაგირეების და ღარიბი და საშუალო გლეხების მისწრაფება, რომელთაც შეიგნეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის უპირატესობა და მისი მოწყობის შესაძლებლობა. დიახ, ის, რასაც 1922 წლის 19 ნოემბერს მოსკოვის საბჭოს პლენუმზე ლენინი ამბობდა სოციალიზმის შესახებ, ჩვენ ახლა შეგვიძლია გავიმეოროთ ფართო მასებისათვის უფრო დამარწმუნებელი ფორმით, ვინაიდან მშრომელთა ფართო მასებს დღეს შეუძლიათ დაინახონ ამ ლენინური გზის სისწორე. ლენინი მაშინ ამბობდა: „ახლა უკვე სოციალიზმი აღარ არის შორეული მომავლის საკითხი ან რაიმე განყენებული სურათი ან ხატი. ხატების შესახებ ჩვენ ძველი აზრისა ვართ, ძალიან ცუდი აზრისა. ჩვენ სოციალიზმი შევიტანეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და აქ უნდა გავერკვეთ. აი, რაში გამოიხატება ჩვენი დღევანდელი ამოცანა, აი, რაში გამოიხატება ჩვენი ეპოქის ამოცანა. ნება მომეცით გამოვსთქვა რწმენა,—ამბობდა ლენინი,—რომ რაც უნდა ძნელი იყოს ეს ამოცანა, რაც უნდა ახალი იყოს ის ჩვენს წინანდელ ამოცანასთან შედარებით, რაც უნდა სიძნელეს წარმოადგენდეს მისი განხორციელება, ჩვენ ყველანი ერთად ხვალ კი არა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში, ყველანი ერთად გადავსწყვეტთ ამ ამოცანას ყოველ მიზეზს გარეშე, ისე, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკით რუსეთი გადავაქცევთ სოციალისტურ რუსეთად".

დიახ, „ჩვენ სოციალიზმი შევიტანეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში", ჩვენ სოციალიზმი შევიტანეთ არა მარტო ქალაქის მუშების, მსხვილი ფაბრიკებისა და ქარხნების ცხოვრებაში, ჩვენ სოციალიზმი შევიტანეთ მიწადმოქმედისა და მეურნეებული სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ამ სოფლების, რომლებიც უკვე სრულიად ამოცანად ისახავენ კოლექტიურ ფორმებზე გადასვლას და არა მარტო მიწის, არა მარტო შრომის, არამედ საწარმოო იარაღების და საშუალებების განსაზოგადოებასაც. ჩვენ უნდა დავინახოთ, რა სიძნელეები იქნება ამ გზაზე. ჩვენ ვიცით, რომ არც ისე ადვილია წვრილი მესაკუთრის ფსიხოლოგიის გარდაქმნა, რომ კოლმეურნეობებშიაც არსებობს შერჩენილი ისეთი ხალხი, რომელიც ცდილობს თავის ინდივიდუალური გამდიდრების იარაღად გადააქციოს კოლმეურნეობა, რომ კულაკობა ცდილობს შეძვრეს კოლმეურნეობაში. ჩვენ ვიცით, რომ პირველ ხანებში მოეწყობა ცრუ-კოლმეურნეობები. პარტიამ და მუშათა კლასმა ფხიზლად უნდა ადევნონ ამას თვალყური და სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ ასეთი მოვლენების წინააღმდეგ. მაგრამ მთავარი და უმნიშვნელოვანესი უკვე გაკეთებულია, ამოძრავდნენ მრავალმილიონიანი მასები, ქალაქის სოციალისტური ეკონომიკა მჭიდროდ დაუკავშირდა სოფლის მეურნეობას. სწრაფობს ამ მეურნეობის ძირეულად გარდაქმნა, საბჭოთა მეურნეობები ხდებიან ამ სოციალისტური გარდაქმნის ორგანიზაციულ ცენტრებად. ლენინმა ჯერ კიდევ 1918 წელს წამოაყენა იდეა, რომელიც ახლა თავის სრულ გამოხატულებას პოულობს ისეთ გაერთიანებათა შექმნაში, რომლებშიაც შედიან კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი.

შესასრულებელია დიდი და ძნელი ამოცანა: კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. ჩვენ ეს ამოცანა დავიწყეთ, როგორც ბრძოლა პურისათვის. ყველას არ ესმოდა ამ ბრძოლის სოციალური მნიშვნელობა. მემარჯვენეები ამაში ხედავდნენ მხოლოდ ერთ რასმეს. ისინი ერიდებოდნენ გლეხებთან წაჩხუბებას, მაშინ, როცა ბრძოლა პურისათვის იყო ბრძოლა სოციალიზმისათვის. მოსკოვის პროფკავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მეოთხე კონფერენციაზე ლენინმა თავის დროზე განაცხადა: „კულაკებმა იციან, რომ დაჰკრა მათმა უკანასკნელმა საათმა, როცა მოწინააღმდეგე გამოდის არა მარტო სიტყვებით და ფრაზებით, არამედ აგრეთვე ორგანიზაციულად რაზმავს ღარიბ გლეხობას. თუ ჩვენ მას დავრაზმავთ როგორც საჭიროა, მაშინ მოვიპოვებთ გამარჯვებას კულაკზე. კულაკებმა იციან, რომ აქ იწყება უკანასკნელი, გააფთრებული და გადამწყვეტი ბრძოლა სოციალიზმისათვის. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს არის ბრძოლა მხოლოდ პურისათვის, ნამდვილად კი ეს არის ბრძოლა სოციალიზმისათვის" (ლენინი, ტომი 15, გვ. 342). ამ საქმეში ახალი ის არის, რომ ახლა სოციალიზმისათვის ბრძოლაში, კულაკის წინააღმდეგ ბრძოლაში გლეხები მონაწილეობას იღებენ ათი მილიონობით, მონაწილეობას იღებენ ის გლეხები, რომელნიც სხვადასხვა დროს მერყეობდნენ და ზოგჯერ კულაკსაც კი მიჰყვებოდნენ. ახალი ის არის, რომ კულაკს აძევებენ საწარმოო სფეროდან, არ აძლევენ მას საშუალებას გავლენა მოახდინოს ბაზარზე და თავის გავლენას დაუმორჩილოს გლეხობის მშრომელი ფენები.

ახალი ის არის, რომ კულაკს ერთმევა ექსპლოატაციის შესაძლებლობა და არა მარტო იზღუდება ეს შესაძლებლობა. ეს არის უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა მასთან. განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, თუ რა განსაკუთრებული და უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო რევოლიუციისათვის ამ ლენინური გეგმების განხორციელებას? ამიერიდან მშრომელთა სამყაროს თვალწინ ექნება არა მარტო კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლების დამხობის მაგალითი, ამიერიდან მათ ექნებათ იმის მაგალითიც, თუ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში მუშათა კლასმა, გლეხობის მშრომელ მასებთან ერთად, სოფლის ღარიბ მოსახლეობაზე დაყრდნობით, როგორ შესძლო უდიდესი რევოლიუციის მოხდენა სახალხო მეურნეობაში და მთელი სახალხო მეურნეობის გადაყვანა სოციალისტურ ლიანდაგზე, თუ როგორ უზრუნველჰყო მან მშრომელთა მასები შიმშილისა, გაპარტახებისა და გალატაკებისაგან, როგორ ჩაუყარა საფუძველი ყოველგვარი სოციალური უთანასწორობის მოსპობას, კლასების მოსპობას და ისეთი წყობილების შექმნას, რომელშიაც შესაძლებელია ქალაქისა და სოფლის მრავალმილიონ მუშაკთა მთელი შემოქმედებითი ძალების უაღრესი გაშლა-განვითარება.

ე. იაროსლავსკი.

მოსკოვი, გადმოცემულია ტელეგრაფით.

საკავშირო პროფსაბჭოს და ა. ლ. კ. კ. ცეკას მიმართვა

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს

ამხანაგებო!

21 იანვარს შესრულდა 6 წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა მსოფლიო რევოლიუციის უდიდესი ბელადი ლენინი.

ლენინის დღეებში ჩვენ ჯამს ვუკეთებთ განვლილ გზას და, ვხელმძღვანელობთ რა ლენინის მოძღვრებით, ვითვალისწინებთ ჩვენს შემდგომ გზას, მუშათა კლასი, იმპერიალისტური მტრების მიერ გარემოცული, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში და სახელოვანი კომუნისტური დიქტატურის პირველ ქვეყანაში აწარმოებს სოციალიზმის ძლევა-მოსილ მშენებლობას. 1929 წელს მუშათა კლასის სოციალიზმისათვის ბრძოლის შედეგებს წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების მასიურად გაშლა. ლენინის იდეა—მოწყობილიყო შეჯიბრება სოციალისტურ საფუძველზე—სწრაფად ედება მასებს და უდიდეს ძალად ხდება. სოციალისტური შეჯიბრება—„სოციალიზმის მშენებლობის ნამდვილი კომუნისტური მეთოდია". შეჯიბრებამ შეამცირა გაცდენის შემთხვევები, გაადიდა შრომის ნაყოფიერება, ამოავსო წარსული სამეურნეო წლის ორი კვარტალის ხარვეზი და რეალურ საქმედ აქცია ის ლოზუნგი, რომლითაც ჩატარდა დამკვრელთა ყრილობა—„ხუთწლედი ოთხ წელიწადში".

სოციალისტურმა შეჯიბრებამ გამოიწვია უდიდესი პოლიტიკური გარდატეხა მშრომელთა შეგნებაში. მან გამოიწვია დამკვრელი ბრიგადების ძლიერი მოძრაობა, მან არაჩვეულებრივ სიმაღლეზე აიყვანა მასების შემოქმედებითი ინიციატივა.

ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა, რომელმაც სოციალისტური შეჯიბრების დროშით ხელში შეუტია მუშაობის მონურ ტემპებს, მოდუნებას და გულგრილობას, იმ ბრძოლასთან ერთად, რომელსაც იგი, პარტიის ხელმძღვანელობით, ოპორტუნისტების, პანიკიორების და სოციალისტური მშენებლობის დეზერტირების წინააღმდეგ აწარმოებს,—ხუთწლედის მეორე წლისათვის დაისახა მშენებლობის უფრო მეტად დაჩქარებული ტემპები.

ხუთწლედის ამ მეორე წელს ჩვენ, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, უახლოვდებით უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლას კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის.

კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტების გაცხოველებული წინააღმდეგობის, კლასობრივი ბრძოლის მკაცრი გამწვავების პირობებში ხდება გლეხური მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. რაიონების, ოლქების და მხარეების მთლიანი კოლექტივიზაცია გადაიქცა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების უდიდეს მოძრაობად, და იგი უდიდეს მოთხოვნებს უყენებს მრეწველობას. მით უფრო დაუშვებელი და საშიშია გეგმისაგან ის ჩამორჩენა, რომელიც სამეურნეო წლის პირველ კვარტალში ემჩნევა მრეწველობას. საწარმოო პროგრამის და ხარისხის მაჩვენებლების შეუსრულებლობა მეტალურგიაში, მანქანათ-მშენებლობაში, ქვანახშირის და რკინამადნის მრეწველობაში—სოციალისტური მშენებლობის ერთი უმნიშვნელოვანესი ფრონტთაგანის გარღვევას წარმოადგენს. ამ გარღვევას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება.

ობიექტიური პირობების მომიზეზება, რომელსაც მრავალ შემთხვევაში მიმართავენ, არის გზა მოხელეებისა, რომლებიც ცდილობენ დაფარონ თავიანთი უძლურება მასების დარაზმვის საქმეში სამეურნეო გეგმებისათვის საბრძოლველად. ამ გარღვევის ერთ გადამწყვეტ მიზეზთაგანს წარმოადგენს ის, რომ სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელთა მოძრაობა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა მშრომელთა ფართო მასების პრაქტიკულ საქმედ. ამავე დროს თუ ხუთწლედის პირველი წლის ტემპები და მაჩვენებლები განხორციელებული იქნენ მუშათა მოწინავე კადრების მიერ, ხუთწლედის მეორე წლის საკონტროლო ციფრები და სამრეწველო-საფინანსო გეგმები ყოველ საწარმოს, სამქროს და აგრეგატისათვის უნდა შესრულებულ იქნას მთელი მასის მიერ. „სერიოზული პოლიტიკა იწყება არა იქ, სადაც ათასები არიან, არამედ იქ, სადაც არიან მილიონები"-ო,—გვასწავლიდა ლენინი. საკონტროლო ციფრების და სამრეწველო-საფინანსო გეგმის ასი პროცენტით შესრულება უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის პროლეტარის სოციალისტური სინდისის საქმედ.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს გადამწყვეტ დღეებში არა ერთხელ გამოუჩენია სასწაულებრივი გმირობა და თავდადება.

ხუთწლედის პირველ წელს სამეურნეო სიძნელეთა წინააღმდეგ და გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად გამოვიდა ლენინელთა პირველი რაზმი —დამკვრელები. ესენი იყვნენ, რომლებმაც საკუთარი მხრებით გადალახეს მრავალი დაბრკოლებები და განახორციელეს ლენინის იდეა სოციალისტური შეჯიბრების საქმეში.

პროლეტარიატის უდიდესი მასწავლებლის, ლენინის გარდაცვალების ექვსი წლის თავზე, საწარმოო პროგრამისა და მაჩვენებლების ჩაშლის საპასუხოდ, საკავშირო პროფსაბჭო და ახალგაზრდობის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი 21 იანვარს აცხადებს დამკვრელ ბრიგადებში მუშების ლენინურ გაწვევის დღედ. ამ ლენინურმა დამკვრელმა გაწვევამ უნდა მოგვცეს დამკვრელი-რევოლიუციონერების—სოციალიზმის მშენებლობისათვის მედგარი მებრძოლების—ახალი ასი ათასები.

ლენინის დღეებში ყოველი მოწინავე მუშა უნდა შეუდგეს ახალი დამკვრელი ბრიგადების ორგანიზაციას.

ლენინურმა გაწვევამ დამკვრელ ბრიგადებში ათასების შეჯიბრება უნდა გადააქციოს მილიონების შეჯიბრებად, უნდა გადაწყვიტოს სოც. შეჯიბრებაში მასების უკლებლივ ჩაბმის ამოცანა.

არა ნაკლებ 500.000 ახალი ლენინური დამკვრელისა,—აი ლენინის ხსოვნის საუკეთესო აღნიშვნა, საუკეთესო შესრულება მისი ანდერძისა სოციალისტური შეჯიბრების საქმეში.

დამკვრელი ბრიგადები უნდა გადაიქცნენ ლენინური გაწვევის ორგანიზატორებად. ლენინური გაწვევის მოწყობა საუკეთესო გამოცდა იქნება ყოველი პროფკავშირისა და ყოველი საქარხნო კომიტეტისათვის, ეს იქნება გამოცდა იმისა თუ, რამდენად შესწევთ მათ ძალა განახორციელონ ლოზუნგი „პირით წარმოებისაკენ".

ლენინის გაწვევაზე მოხდება ყოველი კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის შემოწმება, შემოწმება იმისა, თუ რამდენად შესწევთ ამ ორგანიზაციებს უნარი უკლებლივ ჩააბან კომკავშირელები დამკვრელ მოძრაობაში.

ლენინური გაწვევა აამოძრავებს სოციალისტური შეჯიბრების ახალ ძლიერ ტალღას, შეჰქმნის სრულ გარდატეხას ხუთწლედის მეორე წლის გეგმის შესრულების საქმეში.

ჩვენი პარტიის ნაცადი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, ჩვენ ჩქარის ნაბიჯით მივდივართ სოციალიზმის აშენების გზით და გაბედულად ვამარცხებთ ყველა და ყოველგვარ სიძნელეს, ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ შორეული ოცნების საგნად გვეჩვენებოდა, დღეს რეალურ სინამდვილედ ხდება. ბრძოლა ტემპისა და ღირსებისათვის,—აი საითკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი მუშაობა, ჩვენი მოძრაობის ყოველი ნაბიჯი.

ამ ბრძოლაში, დამკვრელებმა გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ.

ლენინის დღეებში ჩვენ მოუწოდებთ მრავალ ათას ახალ პროლეტარს—დადგნენ დამკვრელი მოძრაობის დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს სოციალისტური მშენებლობის სწრაფ ტემპებს!

გაუმარჯოს დამკვრელთა ლენინურ გაწვევას!

საკავშირო პროფსაბჭო.

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკა.

ვ. ი. ლენინი ფანჯარასთან, საიდანაც მოსჩანს მუშათა მანიფესტაცია

ბანდიტების თავდასხმა ლენინზე

1918-19 წლის ზამთარში ნგრევამ თავი იჩინა ყველა დარგში. და როგორც ამ ნგრევის ერთი შედეგთაგანი, გაჩნდა: ქურდობა, ძარცვა, ბანდიტიზმი, რომელთა დაძლევა არც ისე ადვილი იყო. იშვიათი არ იყო შემთხვევა, როდესაც ბანდიტები ვისმეს ართმევდნენ ავტომობილს, რომ მით მოეხდინათ თავდასხმები სხვადასხვა დაწესებულებებზე და კერძო ბინებზე. ზოგჯერ ისინი თავს ასაღებდნენ გასაჩხრეკად მოსულ აგენტებად.

ერთ-ერთი ბანდიტური თავდასხმის მსხვერპლი გახდა ვლადიმერ ილიჩი 1919 წელს.

ამ შემთხვევის წინ ნადეჟდა კონსტანტინოვნას საგრძნობლად გაურთულდა გულის ტკივილი და იგი ექიმების რჩევით მოთავსებულ იქნა სატყეო სკოლაში სოკოლნიკებში. მე და ვლადიმერ ილიჩი საკმაოდ ხშირად დავდიოდით მის სანახავად, ჩვეულებრივ საღამოობით, მივდიოდით ავტომობილით. შოფერის გარდა ამ მგზავრობის დროს ჩვენ დაგვყვებოდა ჩებანოვი, რომელიც ითვლებოდა ვლადიმერ ილიჩის მცველად. ჩვენ გავემგზავრეთ სოკოლნიკებში კვირას, 19 იანვარს. სკოლაში, სადაც ნადეჟდა კონსტანტინოვნა ცხოვრობდა, იმ საღამოს უნდა გამართულიყო საბავშო დღესასწაული. ჩვენ გვთხოვეს ჩავსულიყავით განსაზღვრულ დროს, რომ მონაწილეობა მიგველო დღესასწაულში. როგორც მახსოვს, გავემგზავრეთ საღამოს 6 საათზე. სოკოლნიკის გზატკეცილის ერთ-ერთ მოსახვევში, შორს მანძილზე გაისმა სტვენა, რომელსაც ვლადიმერ ილიჩმა ყურადღება მიაქცია.

ჩვენ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მივეცით და განვაგრძეთ გზა. მაგრამ, როდესაც ჩვენ თითქმის რკინის გზის ხიდთან ვიყავით, უცებ გაისმა ხმა: „შესდეგ!" ყვიროდა რამდენიმე კაცი, რომლებიც იდგნენ გზის პირას.

ჩვენ ვიფიქრეთ, რომ საქმე გვაქვს მილიციონერებთან, რომელთაც დოკუმენტების გაჩხრეკა სურთ, და რომ, თუ ავტომობილს არ გავაჩერებთ, შეიძლება სროლა აგვიტეხონ,— ამიტომ ვსთხოვეთ შოფერს დამდგარიყო. ავტომობილი შეჩერდა. მაგრამ ჩვენ ძლიერ გაცვიფრდით, როდესაც ავტომობილის დამყენებელმა ხალხმა (მახსოვს ისინი სამნი იყვნენ) ჩვენ ყველანი დაუყოვნებლივ გადმოგვსხეს ავტომობილიდან, არ დაკმაყოფილდნენ ვლადიმერ ილიჩის მიერ წარდგენილი საბუთით და დაიწყეს მისი ჯიბეების ჩხრეკა, წაიღეს მისი ბრაუნინგი და კრემლში შეშვების მოწმობა.

— ჩემი გვარია ლენინი—უთხრა მათ ვლადიმერ ილიჩმა—მაგრამ მათ ამას ყური არ ათხოვეს. მე არ მესმოდა, რა ხდებოდა და ვისთან გვქონდა საქმე—მილიციას მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფორმის ტანისამოსი და ამიტომ მე მივარდი, ერთ თავდამსხმელთაგანს, რომელსაც რევოლვერის ლულა ვლადიმერ ილიჩის საფეთქელთან ჰქონდა მიტანილი. ეს იყო მაღალი ქერა კაცი, მოკლე თბილ კურტკაში და რუხი ტყავის ბოხოხში. მას ჰქონდა წყნარი, აუღელვებელი სახე.

— რას შვრებით—ვუთხარი მე მას—ეს ხომ ამხ. ლენინია! ვინა ხართ თქვენ? მაჩვენეთ თქვენი მანდატი!

— სისხლის სამართლის დამნაშავეებს არავითარი მანდატი არ სჭირდებათ—წყნარად და ღიმილით მიპასუხა მან.

ბანდიტები შეცვივდნენ ავტომობილში და რევოლვერები დაგვიმიზნეს. განსაკუთრებით ენერგიულად მოქმედებდა ერთი მათგანი, რომელსაც ყაჩაღური ფიზიონომია ჰქონდა. მათ ჩქარა გააქანეს ავტომობილი სოკოლნიკისაკენ.

მე მგონია, ბანდიტები მიხვდნენ, რომ მათ წინაშე ლენინი იყო, რადგან ერთ მათგანს სახეზე შეემჩნა ერთნაირი დაბნეულობა, როდესაც ვლადიმერ ილიჩის საბუთებში ჩაიხედა. მათ, ალბათ, იგრძნეს, რომ სერიოზულ საფრთხეში ჩავარდნენ და რომ მთელი მოსკოვი (რაც მართლაც მოხდა) ფეხზე დადგება მათ დასაჭერად. მაგრამ ფიქრის დრო უკვე აღარ იყო. ვიმეორებ, ისინი მთელი სისწრაფით გაემართნენ მისამალავად. ჩვენ კი დავრჩით გზაზე, ერთხანად ვერ მოვედით გონს იმ მოულოდნელობისა და სისწრაფის გამო, რომლითაც მოხდა მთელი ეს ისტორია. შემდეგ კი ჩვენ ხმა მაღლა გადავიხარხარეთ, როდესაც დავინახეთ, რომ ამხ. ჩებანოვი იდგა რძით სავსე ბიდონით ხელში (რძეს ვუზიდავდით ნადეჟდა კონსტანტინოვნას). მდგომარეობის სირთულის მიუხედავად მას არ დავიწყებია ამ ბიდონის გადმოღება და ახლა იგი ხელში ეჭირა, როგორც დიდი განძი. მალე ჩვენ უკვე მივექანებოდით სატყეო სკოლისაკენ ბავშვთა დღესასწაულზე დასასწრებლად. საღამოს დაგვიანებით, მაგრამ მაინც დავესწარით, თუმცა სულიერი განწყობილება (განსაკუთრებით ჩემი) ვერ იყო ამისათვის შესაფერისი.

ბანდიტები, რომლებმაც ვლადიმერ ილიჩის ავტომობილზე მოახდინეს თავდასხმა, დაპატიმრებულ იქნენ (მათი ერთი ნაწილი დახვრეტილ იქნა შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის დროს) კარგა ხნის გასვლის შემდეგ. ესენი აღმოჩნდნენ ნამდვილი ბანდიტები, თავისი საქმის ოსტატები, რომელთაც „მდიდარი" წარსული ჰქონდათ ძარცვისა და მკვლელობის დარგში. რომელიღაც მათგანმა დაკითხვის დროს განაცხადა, ვითომ მათ სიმთვრალის გამო ვერ გაიგეს პირველად, „რომ საქმე ლენინთან ჰქონდათ" (მათ მოესმა, რომ წარმოთქმული იყო ლენინის გვარი) და რომ, როდესაც კარგად გასინჯეს მისი საბუთები დაბრუნდნენ უკან მის მოსაკლავად".

„ეს რა ჩავიდინეთო",—ამბობდა „ვითომ ბრბოს ერთი მეთაურთაგანი, იაკობ კოშელკოვი,—„ეს ხომ ლენინი იყო, ჩვენ რომ მას წამოვეწიეთ და მოგვეკლა, ჩვენზე არავინ იფიქრებს და ეჭვს მიიტანენ კონტრრევოლიუციონერებზე, შეიძლება გადატრიალება მოხდეს"-ო.

მაგრამ საეჭვოა, რომ მათ გაიფიქრეს უკან დაბრუნება ლენინის საძებრად. მათი მთავარი ამოცანა იყო პირველ რიგში კვალი წაეშალათ, ხოლო შემდეგ გამოეყენებინათ ავტომობილი თავდასხმებისათვის, რასაც ბანდიტები იმ ხანებში არა ერთხელ სჩადიოდნენ.

გამოძიების დროს გამოირკვა, რომ ამ ბრბომ აურაცხელი ძარცვა და თავდასხმები მოახდინა. მათი გამბედაობა იქამდე მივიდა, რომ მოსკოვის საგანგებო კომისიის საბუთებით მათ ერთხელ ჩხრეკა მოახდინეს ერთ ქარხანაში. ამავე გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ბრბოს მეთაური იაკობ კოშელკოვი სწერდა თავის საცოლეს: „რა უნდათ მათ ჩემგან? მე ვაჩუქე ლენინს სიცოცხლე". იგი გრძნობდა, რომ პატიმრობას იგი ვერ ასცდებოდა და უკანასკნელ ხანებში ყოველ შემხვედრს ჰკლავდა ქუჩაში, თუ მას ეჩვენებოდა, რომ ეს შემხვედრი მას ეჭვით უცქეროდა.

უფრო გვიან ლენინმა თავის წიგნში „მემარცხენეობის ბავშური ავადმყოფობა კომუნიზმში" გამოიყენა ბანდიტების მანქანაზე თავდასხმის ეს შემთხვევა.

„წარმოიდგინეთ—სწერს ის აქ—რომ ჩვენი ავტომობილი დააყენეს შეიარაღებულმა ბანდიტებმა. თქვენ მათ აძლევთ ფულს, რევოლვერს და ავტომობილს. თქვენ თავს იხსნით არასასიამოვნო მეზობლობისაგან. კომპრომისი აქ უეჭველად არის („გაძლევ" ფულს, იარაღს, ავტომობილს რათა შენ „მომცე" მშვიდობიანად და უვნებლად წასვლის საშუალება).

მაგრამ ძნელია ისეთი ჭკუაზე შეუშლელი კაცის პოვნა, რომელმაც ასეთი კომპრომისი „პრინციპიალურად დაუშვებლად" გამოაცხადოს ან ის პირი, რომელიც ასეთ კომპრომისზე წავიდა, ბანდიტების თანამონაწილედ გამოაცხადოს (თუმცა ბანდიტებს, რომლებიც ავტომობილში ჩასხდნენ, შეეძლოთ ავტომობილი და იარაღი ახალი ყაჩაღობისათვის გამოეყენებინათ, ხოლო იმ შემთხვევაში, რომელიც მე მომივიდა, მართლაც ასე მოიქცნენ, მაგრამ შემდეგ ისინი დაიჭირეს და დახვრიტეს). ჩვენი კომპრომისი გერმანიის იმპერიალიზმის ბანდიტებთან ასეთ კომპრომისს ემსგავსება".

ამ შემთხვევაში ვლადიმერ ილიჩი იოლად გადაურჩა ბანდიტებს. „კომპრომისმა" უშველა. ხოლო მოსკოვში ავტომობილზე თავდასხმიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ გამოცხადდა სამხედრო წესები, ბანდიტიზმთან ბრძოლა თვალსაჩინოდ გაძლიერდა და ქალაქში მალე სიწყნარე დამყარდა.

მ. ი. ულიანოვა.

მოსკოვი, გადმოცემულია ტელეგრაფით.

ლენინის გამოუქვეყნებელი წერილები

ლენინის წერილი ამხ. სტალინს

ლენინის ქვემო დაბეჭდილი წერილი ი. ბ. სტალინის მიმართ დაწერილია 1922 წლის 21 მარტს მის მიერ იმ დირექტივის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების ამხ. ციურუპას და რიკოვის მუშაობას (იხ. ლენინის კრებული, მიწერ-მოწერა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის შესახებ). წერილი შეიცავს ვლადიმერ ილიჩის იმ აზრებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის როლის შესახებ მუშაობის ახალი წესით დაყენების საქმეში, რომლებიც საფუძვლად დაედო ლენინის მიერ შედგენილ დადგენილებას მოადგილეთა მუშაობის შესახებ (1922 წლის აპრილი) და მის ბოლოდროინდელ წერილებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ (1923 წლის იანვარი).

დოკუმენტი ლენინის ინსტიტუტის არქივში ინახება.

* * *

ვესაუბრე ამხ. ციურუპას და რიკოვს. იმედი მაქვს, რომ მუშაობა კარგად წავა. სხვათა შორის, საკითხი თქვენს სახალხო კომისარიატს ეხება. ამხ. ციურუპას და რიკოვის მთავარი ამოცანა არის (უნდა იყოს ახლა) შესრულების შემოწმება და მუშაკთა შერჩევა,

საჭიროა თანაშემწეები. მარტო სახკომსაბჭოს სამმართველო ამისათვის არ კმარა, მისი გადიდება კი რაციონალური არ არის. მე გამოვთქვი აზრი, რომ ამისათვის (უშუალო დახმარების გასაწევად ამხ. ციურუპასა და რიკოვისათვის შესრულების შემოწმების და სახალხო კომისარიატების ქვედა საფეხურებზე მეთვალყურეობის საქმეში) გამოყენებულ უნდა იქნას მუშათა და გლეხთა ინსპექცია. მინდა ვიცოდე—მოიწონებთ თუ არა თქვენ, თუ მოიწონებთ, საჭიროა თქვენი წერილობითი შეთანხმება მოადგილეებთან და ამ შეთანხმების შემუშავებაში მე მინდა მონაწილეობა მივიღო.

მიზანია: მუშათა და გლეხთა ინსპექციის საუკეთესო მუშაკებიდან, რომლებსაც ამხ. ციურუპა და რიკოვი შეარჩევენ თქვენთან შეთანხმებით, გამომუშავებულ უნდა იქნან (რისთვისაც ისინი უნდა გამოსცადოთ თქვენც და მოადგილეებმაც პრაქტიკულ დავალებებზე) განსაკუთრებით და აუცილებლად საიმედო პირები, რომლებსაც უნდა შეეძლოთ სწრაფად და აუცილებლად—ა) მიაღწიონ შესრულებას, ბ) შეამოწმონ შესრულება, გ) შეამოწმონ აპარატის სისწორე ამა თუ იმ სახალხო კომისარიატში ან განყოფილებაში, მოსკოვის ან პეტროგრადის საბჭოში და სხვ., დ) მიაწოდონ ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას დაყენებული მუშაობა.

ეს პირები აუცილებლად პირადად თქვენ ან მოადგილეებს უდგენენ მოხსენებებს მუშაობის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. ეს პირები შერჩეულ უნდა იქნან ძალიან ნელა იმ ანგარიშით, რომ მხოლოდ ბევრჯერ გამოცდის შემდეგ ისინი გადაიქცნენ, ასე ვსთქვათ, — „განსაკუთრებულ რწმუნებულებად", ინსპექტორებად და ინსტრუქტორებად და მათი რიცხვი თანდათანობით აყვანილ იქნას რამდენიმე ათეულამდე. ისინი თავის მხრივ განახორციელებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში უპარტიო მუშებისა და გლეხების ჩაბმას (ფაქტიურად).

თუ მოიწონებთ, ამ წერილის ასლი გაუგზავნეთ ამხ. ციურუპას და რიკოვს თქვენი მინაწერით. თუ საწინააღმდეგო რამე გაქვთ, მაშინვე მომწერეთ (და დამირეკეთ). მე მინდა ამის შესახებ ვილაპარაკო ყრილობაზე გასაკეთებელ მოხსენებაში.

ლენინი.

ინგლისის მუშათა პარტიის პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ დაბეჭდილი წერილი წარმოადგენს ლენინის პასუხს ამხ. კრასინის 1921 წლის 23 დეკემბრის შეკითხვაზე. კრასინი, რომელიც მაშინ სათავეში უდგა საბჭოთა წარმომადგენლობას ლონდონში, თხოულობდა, რომ მისთვის გაეგზავნათ მასალები საქართველოს მდგომარეობის, საქართველოს რევკომის პოლიტიკის და საქართველოს საბჭოთა ყრილობის მოწვევისათვის არსებული გეგმების შესახებ.

„ეს მასალა,—სწერდა კრასინი—საჭიროა იმიტომ, რომ ჩვენ მოგვივიდა მეორე ინტერნაციონალის რეზოლიუცია, რომელსაც ბრიტანეთის მუშათა პარტიაც შეუერთდა. ეს რეზოლიუცია მოითხოვდა საქართველოს წითელი არმიის გაყვანას და იქ რეფერენდუმის გამართვას". შემდეგ კრასინს მოჰყავს ინგლისურ ჟურნალ „ნეიშენ"-ის მოთხოვნა—„ნეიშენ"-ი მოითხოვს, „რომ საბჭოთა მთავრობამ ქედი მოიხაროს ევროპის დემოკრატიის საზოგადოებრივი აზრის წინაშე, თუ მას სურს ურთიერთობა დაიკავოს ამ დემოკრატიასთან".

ლენინი იმ დროს გორკაში იყო. იქიდან გადმოსცა მან ეს დირექტივები, რომელთა ჩანაწერის დედანი ლენინის ინსტიტუტში ინახება.

„პრავდა"-ს 1921 წლის 28 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა მოწინავე წერილი შემდეგი სათაურით: „საბჭოთა მთავრობის ცნობა და მეორე ინტერნაციონალი". ეს წერილი ლენინის ამ დირექტივების საფუძველზე დაიწერა.

ლენინის ინსტიტუტი.

რ. კ. პ. (ბ) ცეკას

დეპეშა ბრიტანეთის მუშათა პარტიის შესახებ ცხადჰყოფს ამხ. კრასინის მეტის-მეტ გულუბრყვილობას. ჩემის აზრით, მიღებულ უნდა იქნას ორნაირი ზომები: 1) პრესაში უნდა დაიბეჭდოს მთელი რიგი წერილები სხვადასხვა ხელმოწერით. ამ წერილებში სასაცილოდ უნდა იქნას აღებული ევროპის ეგრედწოდებული დემოკრატიის შეხედულებები საქართველოს საკითხზე; 2) დაუყოვნებლივ დაევალოს რომელსამე შხამიან ჟურნალისტს დასწეროს პროექტი უაღრესად თავაზიანი ნოტისა ინგლისის მუშათა პარტიის საპასუხოდ. ამ ნოტაში დაბეჯითებით განმარტებულ უნდა იქნას, რომ წინადადება საქართველოდან ჩვენი ჯარის გამოყვანის შესახებ შეიძლება ყოფილიყო სრულიად გონივრული და შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო ისეთი ადამიანების წინადადებად, რომელნიც ჭკუაზე არ შემცდარან და მოსყიდულნი არ არიან ანტანტის მიერ, რომ იგი დედამიწის ზურგის ყველა ხალხებზე ვრცელდებოდეს. კერძოდ იმისათვის, რომ ბრიტანეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელთ გავაგებინოთ ის აზრი, თუ რას ნიშნავს თანამედროვე იმპერიალისტური ურთიერთობა საერთაშორისო პოლიტიკაში, ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მას კეთილ ინებოს და განიხილოს: ჯერ ერთი,—საკითხი ინგლისის ჯარის გამოყვანის შესახებ ირლანდიიდან და იქ რეფერენდუმის გამართვის შესახებ, მეორე — იგივე ინდოეთის შესახებ, მესამე — იგივე იაპონიის ჯარის გამოყვანის შესახებ კორეიდან, მეოთხე — იგივე ყველა იმ ქვეყნების შესახებ, რომლებშიაც რომელიმე დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოს ჯარი დგას. ნოტაში უაღრესად თავაზიანი ფორმით გამოთქმულ უნდა იქნას ის აზრი, რომ ის ხალხი, რომელიც მოისურვებს ჩაუფიქრდეს ჩვენს ამ წინადადებებს, იმპერიალისტურ ურთიერთობათა სისტემას საერთაშორისო პოლიტიკაში, შესძლებს გაიგოს ჩვენ მიერ ინგლისის მუშათა პარტიისათვის მიცემულ წინადადებათა „საინტერესო" ხასიათი. საერთოდ და მთლიანად ნოტის პროექტი უნდა წარმოადგენდეს ინგლისის მუშათა პარტიის იდიოტი ბელადების უაღრესად თავაზიანი და მეტად პოპულიარულ (უნდა შეეფერებოდეს 10 წლის ბავშვის გაგების დონეს) აბუჩად აგდებას.

წინადადებას ვიძლევი განხილულ იქნას — ხომ არ უნდა გაეგზავნოს ამ წერილის ასლი კრასინს. პირადად მე მხარს ვუჭერ გაგზავნას.

ლენინი.

ტელეფონით მიიღო ფოტიევამ.
27 დეკემბერი, 1921 წ.

თბილისის ორგანიზაციისადმი

ვ. ი. ლენინის ეს წერილი აღმოჩნდა საქართველოს რევოლიუციონურ მუზეუმის არქივში. წერილი გამოგზავნილია თბილისის ორგანიზაციისადმი 1912 წ. შიფრით. შიფრი გახსნილია ორგანიზაციაში და ტექსტი აღდგენილი. ამ სახით ჩავარდნია იგი ჟანდარმებს. წერილს აქვს თარიღი: 28 მარტი, 1912 წელი.

„ძვირფასო მეგობრებო, მე საშინლად მაწუხებს და მაღელვებს ჩვენი (და თქვენიც) ურთიერთობის და კავშირის სრული დეზორგანიზაცია. ჭეშმარიტად მაქვს საბაბი მივეცე სასოწარკვეთილებას. წერილების ნაცვლად თქვენ იწერებით რაღაც ტელეგრაფიულ მოკლე ნიშნებს, საიდანაც არაფრის გაგება არ შეიძლება.

კავშირი არც ერთი, არც მეორე... რეზოლიუციები გარკვეული, ნათელი მითითებით, რომელი ორგანიზაციიდანაა, გადაწყვეტილებებთან შეერთება, დადასტურება იმისა, რომ დელეგატი მათგან იყო... მოისმინა,—არ არის არსაიდან... არც თბილისიდან, არც ბაქოდან (მეტის-მეტად მნიშვნელოვან ცენტრებიდან). არც ერთი გარკვეული ხმა, იყო თუ არა მოხსენებები, სადაა რეზოლიუციები, არსაიდან არაა არც ერთი ანაბეჭდი, ანდა თუნდაც მისი ნაწილები... გარკვეული წერილობითი პასუხი არაა პლატფორმის შესახებაც.

გამოცემული იქნება თუ არა? როდის? დამტკიცებულია თუ არა მთლიანათ? ჩვენ იგი უნდა დავბეჭდოთ ცენტრალურ ორგანოში, მაგრამ სწორი ცნობები არაა. აუცილებლათ საჭიროა—ერთხელ კიდევ ჩამოვლილ იქნას ყველა ორგანიზაციები, და ყველგან გატარდეს რეზოლიუციები, ზუსტი, ფორმალური, დაწვრილებითი, გარკვეული ნათელი: ა) კონფერენციაზე წარმომადგენლობის შესახებ არსებითად, ბ) ცეკასთან თანხმობის შესახებ, გ) ლიკვიდატორების წინააღმდეგ კონკრეტულად, ადგილობრივებისა და ყველას წინააღმდეგ"...

ამხ. ლენინის წერილის გამო

იმისათვის, რომ გავიგოთ ლენინის პირველად გამოქვეყნებული წერილი, რომელიც ეხება ჩვენი პარტიის მუშაობას კავკასიაში, უნდა გავიხსენოთ ის პერიოდი, როდესაც ლენინმა ეს წერილი მოგვწერა.

1905 წლის რევოლიუციის შემდეგ დამდეგარმა კონტრ-რევოლიუციამ ამიერ-კავკასიაში თითქმის ყველა ჩვენი ორგანიზაციები გაანადგურა. მხოლოდ 1912 წელს, როდესაც ლენის ცნობილი ამბების შემდეგ რევოლიუციონურმა მოძრაობამ გამოცოცხლება იწყო და მუშათა კლასი ახალი ძალღონით ირაზმებოდა საბრძოლველად, ამხანაგების ერთი, ძალიან მცირე ჯგუფის (ტიმოფეი, სტასოვა, ვასილი, კახოიანი, თავდიშვილი, ნერსესი, ამ სტრიქონების დამწერი და სხვ.) ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა თბილისის ორგანიზაციის აღდგენას. ჩვენ მალე მოვახერხეთ კავშირი დაგვეჭირა ასეთსავე ჯგუფებთან სხვა ქალაქებშიაც (ბაქო, განჯა, ქუთაისი და სხვ.), მაგრამ ცენტრალურ კომიტეტთან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ლენინის ჯგუფთან, ჩვენ კავშირი არ გვქონდა. ეს კავშირი დამყარდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აქ კობა (ამხ. სტალინი) ჩამოვიდა.

მაგრამ ეს კავშირი მაინც ვერ იყო რეგულიარული. ჩვენ გატაცებული ვიყავით ბრძოლით მენშევიკებთან, რომლებმაც აგრეთვე გააცხოველეს მუშაობა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ჩვენი ორგანიზაციული და რევოლიუციონური მუშაობისათვის. გატაცებული ვიყავით იმით, რომ არალეგალურ მუშაობაში ჩავება ახალგაზრდა მუშათა, შავი რეაქციის დროს აღზრდილი, კადრები. ამიტომ ხშირად ვერ ვგზავნიდით ცნობებს ჩვენი მუშაობის შესახებ. მაგრამ ამ კავშირმა საშუალება მოგვცა 1912 წლის დასაწყისში გაგვეგზავნა ჩვენი დელეგატი ტიმოფეი (სპანდარიანი) ჩვენს ბოლშევიკურ კონფერენციაზე პრაღაში. აქ იგი დანიშნულ იქნა ახალი ლენინური ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლად კავკასიაში.

ამხ. ლენინის წერილი დაწერილია ამხ. ტიმოფეის დაბრუნების შემდეგ.

იგი ქალაქებში დადიოდა და აკეთებდა მოხსენებებს კონფერენციის შესახებ, მაგრამ ლენინს, როგორც წერილიდან სჩანს, არ აკმაყოფილებდა არც მუშაობის ტემპი და არც რეზოლიუციების შინაარსი. იგი უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ყოველი ორგანიზაციის მუშაობის სისწორეს, განწყობილებას, ყურს უგდებდა მუშათა მასების ხმას და მაჯისცემას. მას, როგორც უდიდეს სარდალს, სურდა სცოდნოდა, თუ როგორ უყურებდნენ თბილისის და ბაქოს მუშები კონფერენციაზე წარმომადგენლობის საკითხს, თვით კონფერენციას, როგორ უყურებდნენ ისინი ცენტრალურ კომიტეტს. ხომ სწორედ პრაღის კონფერენციამ გამოაცხადა, რომ რევოლიუციონური პროლეტარიატის ჭეშმარიტ პარტიას წარმოადგენს ბოლშევიკების პარტია! ამ კონფერენციამ ხომ პირველად აირჩია ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტი!

ლენინი ავალებდა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს ერთხელ კიდევ შემოევლო ორგანიზაციები და ყველგან გაეტარებინა დაწვრილებითი რეზოლიუციები, რათა აღერიცხა პარტიის ძალები და შეედგინა მებრძოლ ძალების განაწილების გეგმა. ჩვენ კი ზოგჯერ არ გვესმოდა ეს...

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ცენტრალურ კომიტეტთან კავშირი ჰქონდა სტასოვას, რომელიც იმავე წელს დააპატიმრეს სხვა ამხანაგებთან ერთად. ჩვენი პარტიული არქივი მასთან ინახებოდა და მასთან ერთად მეფის ჟანდარმერიის ხელში ჩაუვარდა ეს არქივი ლენინის წერილთან ერთად...

ხ. კახიანი.

ექვსი წელი ულენინოდ

„სოციალიზმი ახლა უკვე აღარ არის შორეული მომავლის საკითხი. ჩვენ სოციალიზმი ყოველდღიურ ცხოვრებაში შევიტანეთ". (ლენინი).

ექვსი წლიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ დავკარგეთ კომუნიზმის უდიდესი მასწავლებელი, პროლეტარული რევოლიუციის ბელადი—დაუვიწყარი ამხანაგი ლენინი. იგი აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ ჩვენ ვატარებთ ცხოვრებაში მის მიერ დაწყებულ საქმეს და მის მიერ დატოვებულ ანდერძს. ჩვენი ყოველდღიური მუშაობა შემადგენელი ნაწილია იმ საბჭოთა პირველი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობისა, რომელიც დღეს ყველას მიერ აღიარებულია მთელი მსოფლიოს პროლეტარების სოციალისტურ სამშობლოდ, ძირმომპალი კაპიტალიზმის და მტაცებელ იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული მშრომელი კაცობრიობის სამშობლოდ.

სოციალისტური მშენებლობისათვის საჭიროა მშრომელთა მილიონიანი მასების უდიდესი და თავგამოდებული შემოქმედებითი მუშაობა. ეს მასები სოციალისტური მშენებლობის შემოქმედებითი კლასობრივი მუშაობის სარბიელზე ძლევამოსილმა „ოქტომბერმა" გამოიყვანა. ამრიგად, ჩვენ გვაქვს წინასწარი პირობა სოციალისტური მშენებლობის სამი ძირითადი ლენინური საფუძვლის ცხოვრებაში გასატარებლად. ეს არის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მთელი გლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა (რეკონსტრუქცია) და კულტურული რევოლიუცია. აი სწორედ ეს სამი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული გზა, წარმოადგენს ილიჩის სამ ძირითად ანდერძს, რომლებსაც მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ატარებს ცხოვრებაში დღეს, პროლეტარიატის რკინისებური დიქტატურის დროს და ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) მუდმივი ხელმძღვანელობით.

⁂

თუმც წინადროინდელი რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანა მარტო თავისი კულტურულ-ეკონომიური განვითარებით არ იყო, იგი იყო ნახევრად კოლონიალური ხასიათის ქვეყანა, ვინაიდან უცხოეთის კაპიტალის უდიდესი ნაწილი დაბანდებული იყო მრეწველობაში, განსაკუთრებით სამთო მრეწველობაში, მათ რიცხვში ნავთის, ქვანახშირის, რკინის გზის და სხვა საქმეებში.

ოქტომბრის რევოლიუციამ ყოველივე ამას ბოლო მოუღო. ჩვენ უკვე ბევრი რამის მიღწევა შევსძელით ტეხნიკურ-ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი, იმპერიალისტებით და კაპიტალისტური ქვეყნებით გარემოცულ, სოციალიზმის წარმატებით მშენებელი ქვეყნის ყველა უზომო სიძნელეთა დაძლევის საქმეში, და წარმატებით ვაშენებთ სოციალიზმს, მიუხედავად იმ მძვინვარე ზიზღისა, რომლითაც იმპერიალისტები და კაპიტალისტები არიან გამსჭვალულნი საბჭოთა პირველი მუშურ-გლეხური ქვეყნისადმი. შიგნით კი ძველი რეჟიმის ნაშთები — ნეპმანები, კულაკები, მღვდლები, სექტანტები და საბჭოთა კავშირის ქალაქისა და სოფლის ყველა კაპიტალისტური ელემენტები ხელს უშლიან მშრომელთა მილიონიანი მასების ენტუზიაზმს მთელი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის, მიწადმოქმედების სოციალისტური კოლექტივიზაციის საქმეში ქალაქისა და სოფლის მშრომელთა დაკავშირების ყველა ახალი ფორმებით, როგორიცაა მუშათა ბრიგადები, სოციალისტური შეჯიბრება, მავნებლებთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლა დაუნდობელი საქმიანი თვითკრიტიკის ნიადაგზე და სხვა.

ამ გზაზე 1930 წლის გაზაფხულის სათესლო-სამეურნეო კამპანია წარმოადგენს სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტების საწინააღმდეგო რევოლიუციონურ-სოციალისტური შეტევის ერთ პირველ გადამწყვეტ რგოლთაგანს როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენს ა.-კ. ხფს. რესპუბლიკაში და კერძოდ სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკებში. ჩვენ უკვე შევსძელით, სოციალიზმის მშენებლობისათვის გამოცდილებული და მუშათა კლასის მეთაურობით მომქმედი მშრომელი გლეხობის დახმარებით, დაგვეძლია ეს (კაპიტალისტური) ელემენტები და იმდენად გაგვეძლიერებინა სოციალისტური სექტორი, რომ უდიდესი სოციალისტური მშენებლობის ვარაუდები და გეგმები წარსული წლისა, წარსული თვისა და წარსული კვირისაც კი რეალურ ხორცს ისხამენ, ე. ი. ისინი უკვე მომავლის, ასე ვსთქვათ, ხუთწლედის დასასრულის, მეოთხე ან მეხუთე წლის დამლევისათვის განსახორციელებელ პერსპექტივას კი არ წარმოადგენენ, არამედ მათი რეალიზაცია ხდება მიმდინარე ან, ბევრი-ბევრი, მომავალ წელს.

საბჭოთა ხელისუფლების 12 წელიწადმა (ე. ი. 12 წლის თავმა) უკვე ჯამი გაუკეთა დაუღალავი სოციალისტური მშენებლობის და კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შედეგებს. ხუთწლედის მეორე წელიწადში გადავედით ახალი ვარაუდებითა და გეგმებით, რომლებშიაც დღეს ჩვენ შეგვაქვს ცვლილებები, რათა ისინი შეუფარდოთ სოციალისტური მშენებლობის იმ უდიდეს და ელვისებურად სწრაფ ზრდას, რომელსაც საბჭოთა კავშირის მშრომელთა მილიონები ეწევიან ქალაქად და სოფლად.

მრეწველობა, რა თქმა უნდა, წინ მიუძღვის სახალხო-სამეურნეო განვითარებას. აქ დღეს გადამწყვეტ როლს თამაშობს მძიმე ინდუსტრია და ამ უკანასკნელის ღირსებაზე და მუშაობის გაშლაზეა დამოკიდებული მთელი სახალხო მეურნეობის მდგომარეობა. აი რისთვის მივმართავთ ჩვენ აქეთკენ ჩვენი ხუთწლედის კაპიტალური დაბანდებების უმეტეს ნაწილს და რათ შეგვაქვს მასში შესწორებები კვარტალების მიხედვით. „მრეწველობის ზრდის გარეშე, გარეშე იმისა, რომ დაზოგვით იქნას გამოყენებული ყოველი კაპიკი ძვირფასი ინდუსტრიის განვითარებისათვის, შეუძლებელია ჩვენს ქვეყანაში კულტურისა და მუშათა კლასის როლის ზრდა. მუშათა კლასის დიქტატურის და სოფელზე გავლენის განმტკიცება. ამიტომ სოციალისტური მრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვანია მძიმე ინდუსტრიის როლის გადიდება—მანქანებისა და ელექტროფიკაციის წარმოებისა".

ასე სვამდა ამხ. ლენინი საკითხს მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის, ხელმძღვანელი როლის შესახებ.

კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება დღეს ატარებენ ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, აჩქარებული განვითარების უდიდესი ტემპების პოლიტიკას მრეწველობაში საერთოდ და მეურნეობის ყველა სხვა დარგებში, რომლებიც მასთან არიან დაკავშირებულნი.

მრეწველობის სწრაფი განვითარების ტემპი განსაკუთრებული ხასიათისაა არა მარტო ჩვენი ომის წინადროინდელი განვითარების ტემპთან შედარებით, არამედ მთელი დღევანდელი მოწინავე სამრეწველო ქვეყნების ტემპებთან შედარებითაც.

ახალმა საწარმოებმა, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში აშენდნენ, 1928-29 წელს მოგვცეს ნახევარი მილიარდი მანეთის პროდუქცია, ხოლო მათი საწარმოო ძალღონეების სრული გაშლის დროს შეუძლიათ მოგვცენ თითქმის ერთ მილიარდ ნახევარი მანეთის პროდუქცია. მაგალითისთვის ავიღოთ ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკა. მრეწველობის მთელი პროდუქცია (ნავთის გამოკლებით), ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1929 წლის 7 ნოემბრის ცნობებით, 880 მილიონ მანეთს აღწევს, ნაცვლად რევოლიუციის წინა დროის 80 მილიონი მანეთისა, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის (ნავთიანად) გადააჭარბებს 1 მილიარდ 300 მილიონ მანეთს. მრეწველობის ძირითადი ფონდები აღწევენ 120 მილიონ მანეთს (ნავთის გამოკლებით), 1925 წელს კი იყო მხოლოდ 57 მილიონი მანეთი; ხუთწლედის დამლევს მიაღწევს 400 მილიონ მანეთამდე.

ახლა წარმოებასა და მშენებლობაში ჩვენს წინაშე სდგას თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანა. ეს ამოცანა მიმდინარე წელს მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ამავე დროს განუწყვეტელი წარმოება—ნაბიჯია სოციალიზმისაკენ.

ჩვენი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია გადამწყვეტი პირობაა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და კოლექტივიზაციისათვის, მისი განვითარებისათვის და როგორც მარცვლეულის, ისე ხორცის და ყოველი სხვა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისათვის.

პარტიისა და მთავრობის მიერ აღებული, ღარიბი და საშუალო გლეხთა მასების ფართო კოლექტივიზაციის კურსი, მიუხედავად იმისა, რომ სოფლად მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, უზრუნველჰყოფს ნათესის ფართობის გადიდებას. ამ კურსმა გამოიწვია კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვის სტიქიური ზრდა. ამავე დროს მსხვილდებიან და ძლიერდებიან საბჭოთა მეურნეობები. ლენინმა უკვე დაამტკიცა, რომ „წვრილი გლეხური მეურნეობა აუცილებლად ბადებს კაპიტალიზმს". მისი სიტყვით, „გლეხური მეურნეობის კაპიტალისტური მისწრაფების დაძლევა შეიძლება მხოლოდ მისი თანდათანი, ხანგრძლივი გარდაქმნით ინდივიდუალური, დაქსაქსული მეურნეობიდან კოლექტიურ, საზოგადოებრივ მეურნეობად. ამიტომაც აქვს მნიშვნელობა კოოპერაციის განვითარებას, როგორც ძირითად საშუალებას გლეხური წვრილი მეურნეობის ჩასაბმელად სოციალიზმის მშენებლობაში".

აი, სხვათა შორის, მაგალითი ამიერ-კავკასიის პრაქტიკიდან. 1927 წლის 7 ნოემბრის ცნობებით (ახლა, უეჭველია, უკვე უკან ჩამორჩენილით), კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი 1926 წლის 52-დან 1.169-დე გაიზარდა, მათში შემავალი მეურნეობების რაოდენობა კი 620-დან 23.200-დე ავიდა. კოლექტიურ მეურნეობათა ნათესის ფართობი 1927 წელს შეადგენდა 8.000 ჰექტარს, ახლა—23.000 ჰექტარს.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობებთან ერთად უდიდეს როლს თამაშობს კოლმეურნეობრივი მოძრაობა, რომელიც იზიდავს არა მარტო მოჯამაგირეებს, ღარიბი და საშუალო გლეხობის მასებს, არამედ მიწადმოქმედების დარგში წვრილ მეურნეობებს და ყველა მის დარგებს, მათ შორის მესაქონლეობასაც, მასიურად აყენებს რაციონალიზაციის გზაზე. წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა განუყოფლად არის დაკავშირებული იმასთან, რომ მშრომელთა ფართო მასები შეგნებულად და ნებაყოფლობით ღებულობენ მასში მონაწილეობას. მცირე რწმენის ხალხი, მოწუწუნენი მემარცხენე და მემარჯვენე გადახრის ბანაკიდან შემარიგებლებთან ერთად გვარწმუნებდნენ, რომ სოციალიზმი საერთოდ და სოფელში კერძოდ, მხოლოდ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების დროს შესძლებს განვითარდეს, ახლა ეს განვითარება უნდა მიდიოდეს ნელის ნაბიჯით, გლეხობის მკაცრი კლასობრივი დიფერენციაციის გარეშე—ღარიბებიდან დაწყებული კულაკობამდე („შეეზრდებიან სოციალიზმს") მიზიდვით გამსაღებელ, საკრედიტო და სამომხმარებლო კოოპერაციაში. მათ არ სწამდათ და არა სწამთ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების სწრაფი ზრდა. მაგალითად, იმავე 1929 წლის 7 ნოემბრის ცნობებით (ცხადია ახლა მნიშვნელოვნად უკან ჩამორჩენილით), ამიერ-კავკასიაში იყო 56 საბჭოთა მეურნეობა 1.475 ჰექტარი სათესი ფართობით. ამას კიდევ მიემატა 30 საბჭოთა მეურნეობა 34.500 ჰექტარი ფართობით და 46 მილიონი მანეთის საერთო დაბანდებით.

კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების როლი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში მთელ საბჭოთა კავშირში 5 წლის განმავლობაში გაიზარდა 8-ჯერ. ამასთან ერთად, ცხადია, ამდენადვე შემცირდებოდა კულაკისა და ნეპმანის სამეურნეო მნიშვნელობა, უფრო სწრაფად დაეცემა აგრეთვე მნიშვნელობა მშრომელი ხალხის „ბანგისა და მაჩრობელასი"—ყოველგვარი რელიგიის და მისი ბატონყმურ-მონური იდეოლოგიის, რომელიც კაპიტალისტურ ექსპლოატაციას ემსახურება. თავის თავად ცხადია, სოფლის მეურნეობის ძლიერი საწარმოო ზრდა-განვითარების და მისი სწრაფი სოციალისტური რეკონსტრუქციის წინაშე სრულიად უსუსური აღმოჩნდა მემარჯვენეთა თეორია სოფლის მეურნეობის „დეგრადაციის" შესახებ. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის სწრაფი ზრდა იმის შედეგს წარმოადგენს, რომ მშრომელ გლეხობაში გაიღვიძა თვითმოქმედების უნარმა, რომ მშრომელმა გლეხობამ შეიგნო, რამდენად სასარგებლოა სამეურნეო და ყოველგვარი სხვა კოლექტივიზაცია. ასევე წარმატებით მიდის მარცვლეულის გიგანტების მოწყობისა და კონტრაქტაციის განვითარების საქმე. მაგალითად, ამიერ-კავკასიაში კონტრაქტაციის საგანთა საერთო ღირებულებამ 1928-29 წელს (1929 წლის 7 ნოემბრის ცნობებით) 26 მილიონ მანეთს მიაღწია, კონტრაქტაცია შეეხო უმნიშვნელოვანეს ტეხნიკურ კულტურებს (ბამბა, თამბაქო,) თითქმის 100 პროცენტს.

ჩვენთვის საჭიროა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლონების საფუძველზე, დაუყოვნებლივ შევუდგეთ მთლიან კოლექტივიზაციას. მარტო ამიერ-კავკასიაში 1929 წლის ნოემბრამდე შემოტანილია 1000-დე ტრაქტორი და სამ მილიონამდე მანეთის სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. ახლა საჭიროა მხოლოდ არ ჩამოვრჩეთ იმ სწრაფ მოძრაობას, რომელიც სოფლად დაწყებულა კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების სასარგებლოდ, საჭიროა უზრუნველვყოთ იგი მანქანური ტეხნიკით, მანქანური დახმარებით და პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით. ხელმძღვანელობა კი აუცილებელია, ვინაიდან მანქანების საგრძნობი ნაკლებობის გამო საჭიროა ყველა იმ ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის გაერთიანება, რომელიც მოიპოვება.

კულაკი ამას ხელს უშლის, ეწევა აგიტაციას ღარიბ და საშუალო გლეხებში და ურჩევს მათ კოლექტიურ მეურნეობებში შესვლამდე გაჰყიდონ მუშა-საქონელი. აქ უდიდესი როლი ეკუთვნის მშრომელთა ავანგარდს—მუშათა კლასს.

ლენინი სწერდა „ასეთ ქვეყანაში პროლეტარიატის როლი მდგომარეობს იმაში, რომ უხელმძღვანელოს ამ წვრილ მეურნეობათა გადასვლას განსაზოგადოებულ, კოლექტიურ შრომაზე".

მუშათა კლასი და მისი პარტია, ამარცხებენ რა მემარჯვენე და „მემარცხენე" იდეურ მერყეობას, მიდიან წინ და გაბედულად აფართოებენ სოციალისტურ მშენებლობას მსოფლიოს ყველა დაბეჩავებულთა და დაჩაგრულთა სამშობლოში—საბჭოთა კავშირში.

„თუ არ მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა და სიბნელე, თუ არ იქნა დაძლეული ბიუროკრატიზმი, თუ მუშებმა და გლეხებმა ფართო მონაწილეობა არ მიიღეს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში, ისე ჩვენ ვერ გადავჭრით ვერც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, ვერც კოოპერაციაში გაერთიანების ამოცანას. სწორედ ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, რომ პირველ რიგში მიღწეულ იქნეს მუშათა და გლეხთა შორის წერა-კითხვის და ფართო განვითარების საყოველთაოდ გავრცელება". ასე ლაპარაკობდა ლენინი კულტურული რევოლიუციის შესახებ.

კულტურული რევოლიუცია, პირველ ყოვლისა, არის საკითხი მასების შესახებ, იმ მასების, რომლებიც, ოქტომბრის მიერ გაღვიძებულნი, მიისწრაფვიან ცოდნისაკენ, ბუნებისა და ცხოვრების ყველა საკითხების გაგებისაკენ, რაშიაც მათ წინად გზა-კვალს უბნევდა რელიგია და ბურჟუაზიული ფილოსოფია. ერთის სიტყვით, მუშები და მშრომელი გლეხობა მიისწრაფვიან კულტურისაკენ. საბჭოთა კავშირის—ყოფ. მეფის რუსეთის—ყველა კუთხეებში, მათ რიცხვში ჩვენს ამიერ-კავკასიაშიაც, როგორც, მაგალითად, აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში, მოისპო ძველი კოლონიალური და ნახევრად-კოლონიალური წარსული. თანამიმდევარი კლასობრივი პოლიტიკით ჩვენ საბოლოოდ გადავსწყვიტეთ კლასობრივი საკითხი, შევქმენით სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები ადგილობრივ ენებზე, გაჩნდა მთელი აღმოსავლეთის რევოლიუციონურ გზაზე დამყენებელი თურქული ანბანი და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლება, ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთათვის, ყველასათვის განურჩევლად ენისა, კანის ფერისა და სქესისა,—რათა ყველა ჩვენგანი საბჭოთა კავშირში „დაეწიოს და გაუსწროს ყველა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს როგორც ტეხნიკურ-ეკონომიურად, ისე კულტურულად". შემდეგში, რაც უფრო გაიზრდება ხალხის მასების კულტურული დონე, მათი შემოქმედებითი ძალა მით უფრო მეტად და მეტად იჩენს თავს. და ლენინიზმი იქცევა სინამდვილედ. და არა მარტო ჩვენს საბჭოთა კავშირში—დედა-მიწის ერთ მეექვსედზე.

კაპიტალისტური ექსპლოატაციის ერთნაირ პირობებს მთელს მსოფლიოში, ძირმომპალი მსოფლიოს კაპიტალიზმის და მისი თანამედროვე მტაცებლური სამოსლის—საზიზღარი საერთაშორისო იმპერიალიზმის ღრმა უკურნებელ წინააღმდეგობებს ყველა ქვეყნების მებრძოლი პროლეტარები და დედამიწის მრავალი მილიონი დაბეჩავებული ერები მიჰყავთ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისაკენ—მსოფლიო კომუნიზმისაკენ, ძლევამოსილი მსოფლიო „ოქტომბრისაკენ".

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის და მსოფლიო კომუნიზმის უდიდეს შტაბს და ძლევამოსილ ბელადს—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს—ლენინურ კომინტერნს!

გაუმარჯოს მის სახელოვან მოწინავე რაზმს—ლენინურ საკავშირო კომპარტიას (ბ), საბჭოთა დიდი სოციალისტური ქვეყნის—საბჭოთა კავშირის მჭედელს და ბელადს!

დაე ჩვენმა ძლევამოსილმა ლენინიზმმა, თანმიმდევრობითი კლასობრივი ხაზიდან—ძლევამოსილი მსოფლიო რევოლიუციიდან—გადახრის შეურიგებელმა მტერმა, რომელმაც გმირულად გადაიტანა სამი რევოლიუციის ყოველგვარი განსაცდელი და გამოცდა, — დღევანდელ სოციალისტურ მშენებლობაშიაც აღგვაფრთოვანოს და უხელმძღვანელოს დიდი, მაგრამ ჩამორჩენილი მუშურ-გლეხური საბჭოთა ქვეყნის—საბჭოთა კავშირის — სოციალისტური რეკონსტრუქციის ყოველდღიურ გრანდიოზულ მუშაობას!

ექვსი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წავიდა (ფიზიკურად) ლენინიზმის შემქმნელი—დაუვიწყარი ამხ. ლენინი, მაგრამ ლენინიზმი დღეს უფრო მტკიცე და მონოლიტურია. იგი (ლენინიზმი) ხდება მშრომელი მასების კუთვნილებად. მისი გამარჯვება უზრუნველყოფილია მსოფლიო მასშტაბითაც.

მიხა ცხაკაია.

პირით კოლმეურნეობრივი მოძრაობისაკენ

ამხ. მოლოტოვის მოხსენება პარტიულ თათბირზე ს. კ. პ. (ბ) ცეკასთან 1930 წ. 13 ი

ამხანაგებო! 20 იანვარს საკავშირო ცაკთან შესდგება თათბირი საბჭოების ამოცანების შესახებ კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით. ამგვარი თათბირის საჭიროება ნათელია. მოგაგონებთ, რომ 1925 წლის დასაწყისშიც ცაკთან მოწვეული იყო თათბირი საბჭოების მუშაობის შესახებ, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ ყურადღების ცენტრს შეადგენდა საბჭოების გამოცოცხლების საკითხი.

მომავალი თათბირი საბჭოების ახალი ამოცანების შესახებ არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამ თათბირის ამოცანების ცენტრში დასმული იქნება საბჭოების მუშაობის საკითხი სოფლად მასიურ კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით.

1. საბჭოები და კოლექტივიზაცია

ამგვარი თათბირის საჭიროება გამომდინარეობს იქიდან, რომ უკანასკნელ თვეებში არსებითად შეიცვალა სოფლის საბჭოების მუშაობის პირობები. მე პირველყოვლისა მხედველობაში მაქვს მასიური კოლექტივიზაციის რაიონები. წესად არის გადაქცეული, რომ ამ რაიონებში საბჭოები არ ასრულებენ მათ წინაშე სტიქიურად გაშლილ კოლმეურნეობრივი მოძრაობის მიერ დასმულ ამოცანებს.

საბჭოების გადარჩევის უკანასკნელი კამპანია ჩატარებულ იქნა ერთი წლის წინად, როცა მდგომარეობა სულ სხვანაირი იყო. მაშინ ჩვენ არ გვქონია ასეთი მასიური კოლმეურნეობრივი მოძრაობა, რომელიც უკანასკნელი თვეების განმავლობაში არა მარტო გადაიქცა ცალკე რაიონებისა და ოლქების მთლიან კოლექტივიზაციად, არამედ უკვე ღებულობს მთელი მხარეებისა და რესპუბლიკების კოლექტივიზაციის ხასიათს. ეს გარდატეხა კოლმეურნეობრივ მოძრაობაში მოწმობს იმას, თუ რამდენად შეიცვალა სოფლის საბჭოების მუშაობის პირობები. ამავე დროს არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საბჭოებმა თავიანთი მუშაობა გარდაქმნეს ახალ პირობებთან შეფარდებით. სასოფლო საბჭოებს და რაიაღმასკომებს არა თუ არ გარდაუქმნიათ თავიანთი მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხობის უფართოესი მასების კოლექტივიზაციის ამოცანებთან შეფარდებით, არამედ ისინი განზე აღმოჩნდნენ კოლმეურნეობრივ მოძრაობიდან. თვით მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებშიაც კი არ მომხდარა ჯერ გარდატეხა საბჭოების მუშაობაში.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ მასიური კოლექტივიზაციის რაიონებში ახლანდელი საბჭოები, ასე ვსთქვათ, გუშინდელ დღეს წარმოადგენენ. იმ ახალ გარემოებებმა, რომლებიც არსებითად სცვლიან ახლა სოფლის განვითარებას და რომლებიც ნათელ მაგალითს წარმოადგენენ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები, როგორც წესს, ჯერ სათანადო გამოხატულება ვერ ჰპოვეს საბჭოების მუშაობაში. მაშასადამე, ისინი ჯერ კიდევ არ არიან ის საბჭოები, რომელთაც შეუძლიათ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე წამოჭრილი ახალი ამოცანების შესრულება. იმის ნაცვლად, რომ სათავეში ჩაუდგნენ კოლექტივიზაციას, ახლანდელი საბჭოები ხშირად განზე დგანან კოლმეურნეობრივ მოძრაობიდან. იმის ნაცვლად, რომ განახორციელონ კოლმეურნეობათა მშენებლობის ხელმძღვანელობა, ამგვარ საბჭოებს შეუძლიათ მხოლოდ კუდში ჩანჩალი. იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყონ და გაშალონ სოფლის კოლექტივიზაცია, ეს საბჭოები ზოგჯერ აფერხებენ კოლექტივიზაციას და ამით ასუსტებენ საბჭოების, როგორც პროლეტარული სოციალისტური დიქტატურის ნამდვილი ორგანოების, როლსა და მნიშვნელობას. აი, რატომ შეიძლება ითქვას ამ საბჭოების შესახებ, რომ ისინი წარმოადგენენ გუშინდელ დღეს, ე. ი. სოფლად საბჭოთა მშენებლობის განვლილ ეტაპს. არ მოვიყვან საამისოდ განსაკუთრებულ ფაქტებს. ადგილობრივმა მუშაკებმა ეს მშვენივრად იციან და შეუძლიათ მრავალი მაგალითები მოიყვანონ.

2. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, ღარიბთა ორგანიზაცია და პროლეტარული ხელმძღვანელობა

ამავე დროს კოლექტივიზაციის გიგანტურ ზრდასთან ერთად იზრდება და განსაკუთრებით პასუხსაგები ხდება საბჭოების ამოცანები. ჩვენი შეტევა კულაკზე გადავიდა ახალ, ამასთან გადამწყვეტ ეტაპში. ც. კ.-ის დადგენილებებში კოლექტივიზაციის ტემპის შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ პარტიამ მიიღო „სრული საბუთი, თავის პრაქტიკულ მუშაობაში კულაკების ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვისაგან გადავიდეს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაზე". ეს დასკვნა გამოყვანილია კოლმეურნეობრივი მოძრაობის ზრდიდან. ამ დასკვნიდან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის" პოლიტიკა სასოფლო საბჭოებს აკისრებს ახალ ამოცანებს და უდიდეს ვალდებულებებს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ ხაზგასმით მიუთითებდით კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფაქტებზე, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ კულაკის წინააღმდეგ შეტევასთან. ახლა, როცა ვანხორციელებთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკას, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ ამჟამად აუცილებელია კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებით გამწვავება სოფლად. ახალ ეტაპზე, როცა კოლმეურნეობრივ მოძრაობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია სოფლის განკულაკება, კულაკური ელემენტების მხრივ უნდა მოველოდეთ გააფთრებულ ბრძოლას კოლმეურნეობების წინააღმდეგ, ბრძოლას, რომლის დროსაც კულაკები არ მოერიდებიან ტერორსა და კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს.

ზოგიერთი რაიონებისათვის კლასობრივმა ბრძოლამ, ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მიიღოს ისეთი მწვავე ხასიათი, რომლის წინაშეც წინანდელი პერიოდის ფაქტები აღარაფრად გამოჩნდეს. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა მტერი დასაწყისშივე გავსტეხოთ წელში და წავართვათ წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი ხალისი.

მიუხედავად კულაკის წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ კულაკი ცდილობს ძირი გამოუთხაროს კოლმეურნეობრივ მოძრაობას, შეძვრეს კოლმეურნეობებში და ააფეთქოს ისინი შიგნიდან, კოლმეურნეობრივი მოძრაობა ძლევამოსილად და განსაკუთრებული სისწრაფით მიდის წინ. ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინანდელი პოლიტიკის შედეგად. საბჭოთა წყობილებამ და ჩვენი პარტიის პოლიტიკამ რევოლიუციის მე-12 წელს უზრუნველჰყვეს ის ძირითადი გარდატეხა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში, რომელიც გამოიხატა მრავალი მილიონი გლეხური მეურნეობის გადასვლაში კოლექტიურ მეურნეობაზე.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი კოლმეურნეობების აღმოცენება. მხოლოდ საბჭოთა წყობილების საფუძველზე გახდა შესაძლებელი კოლექტივიზაცია გადაქცეულიყო უფართოესი მასების მოძრაობად, მაგრამ ახლანდელი კოლმეურნეობები წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის მთლიანი სოციალისტური გარდაქმნის მხოლოდ დასაწყისს ეტაპს.

ისინი წარმოადგენენ სოფლის სოციალისტური მშენებლობის ფორმას, რომელიც ჯერ კიდევ შევსებული უნდა იქნას ნამდვილი სოციალისტური შინაარსით. სწორედ ამაში მდგომარეობს, პირველყოვლისა, საბჭოების ამოცანა სოფლად.

საბჭოები წარმოადგენენ მუშათა კლასის მთავარ იარაღს სოციალიზმის მშენებლობაში. საბჭოების მთავარი ამოცანაა—სოფლად ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ, კოლმეურნეობრივი მოძრაობისათვის მხარის დაჭერა და მისი გაშლა, სოციალისტური მშენებლობის წარმატების უზრუნველყოფა სოფლად. ყველაფერი ეს უნდა გვახსოვდეს კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებულად გამწვავების პერიოდში სოფლად, ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა მასიური კოლექტივიზაციის და სოფლის განკულაკების პერიოდში. კოლმეურნეობრივი მოძრაობა თანდათან იქცევა ვეებერთელა რაიონების მთლიან კოლექტივიზაციად. უკვე აშკარაა, რომ უახლოეს თვეებში, გაზაფხულის თესვის კამპანიის პერიოდში, კოლმეურნეობანი გადამწყვეტ ადგილს დაიჭერენ ყველა ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. ამ პირობებში სოფლის საბჭოების მუშაობის ახლანდელი ფორმები და მეთოდები, მათი ახლანდელი შემადგენლობა სრულებით ვერ უზრუნველჰყოფს იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც საბჭოების წინაშე დგანან. ჩვენ ამ საკითხს უნდა მივუდგეთ მუშათა კლასის ძირითადი ინტერესების თვალსაზრისით და პირდაპირ უნდა განვაცხადოთ: თავიანთი ახლანდელი სახით (მეთოდები, ფორმები და შემადგენლობა) სოფლის საბჭოებს არ შეუძლიათ შეასრულონ პროლეტარიატის მთავარი იარაღის როლი სოციალიზმის მშენებლობაში, არ შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლექტივიზაციას, აგრეთვე ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ. საბჭოების მთავარი ნაკლი ის არის, რომ საბჭოები არ აწარმოებენ ახლანდელ პირობებში საჭირო მუშაობას მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ორგანიზაციულად დარაზმვისათვის. ცნობილი ფაქტია, რომ ღარიბ გლეხთა ორგანიზაციულად დარაზმვის საქმე საბჭოებში, რომ აღარაფერი ვსთქვათ კოოპერატივებზე, მეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მეორეს მხრივ, განა ჩვენ არ ვიცით, რომ ჯერ კიდევ აქამდის ხშირად შეხვდებით ისეთ საბჭოებს, რომლებშიაც აშკარად სჩანს კულაკობის გავლენა, მუშაობის არ წარმოება საბჭოებში ღარიბი გლეხობის ორგანიზაციული დარაზმვისათვის და კულაკური ელემენტების გავლენა საბჭოებში—არის ორი ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენა. სწორედ იმიტომ, რომ კოლმეურნეობრივი მოძრაობა გადაიქცა მილიონების მოძრაობად და რომ კოლმეურნეობებში, ღარიბ გლეხობასთან ერთად, შედიან საშუალო გლეხთა მასები,—სწორედ ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა პროლეტარული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას კოლმეურნეობრივ მოძრაობაში. ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ ლენინის ის მითითება, რომ საჭიროა ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობა; ხოლო ეს ნიშნავს ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვას, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ძირითადი მასის შემჭიდროებას და, საშუალო გლეხთან კავშირში, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის განხორციელებას.

თუ რამდენად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ღარიბ გლეხთა ორგანიზაციულად დარაზმვის საქმე, სჩანს შემდეგი უბრალო ციფრებიდან. უკანასკნელი არჩევნების (1929 წელი) შედეგად სასოფლო საბჭოებში არის 32 პროცენტი ისეთი წევრებისა, რომელნიც განთავისუფლებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, მაშინ, როცა, სოფელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია მოსახლეობის 35 პროცენტი. მაშასადამე, სასოფლო საბჭოების შემადგენლობაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულთა პროცენტი ნაკლებია, ვიდრე სათანადო პროცენტი მოსახლეობის შემადგენლობაში ეს მაშინ, როცა ღარიბ გლეხთა როლი საბჭოებში უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით 1929 წლის არჩევნების შედეგათ, ეჭვს გარეშეა, გაიზარდა. ეს მაგალითი საკმაოდ მოწმობს, თუ რამდენად ჩამორჩით მუშაობაში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა შორის და რამდენად საჭიროა დაუყოვნებლივი და გადამწყვეტი გარდატეხა ამ საქმეში

ახლა ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვა სოფლად ყოველი კომუნისტის და ყოველი კომკავშირელის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. რა კომუნისტი ან კომკავშირელია ის, ვინც დაივიწყებს, რომ კომუნისტის მთავარ ამოცანას სოფლად შეადგენს ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა მჭიდროთ გაერთიანება საბჭოებში პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ

ც. კ-ის გადაწყვეტილებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „მხოლოდ საკავშირო კომპარტიისა (ბ) და ლენინური კომკავშირისათვის უცხო ელემენტებს შეუძლიათ გვერდი აუხვიონ პარტიის ამ ძირითად ამოცანას, ღარიბ გლეხობისა და მოჯამაგირეების ორგანიზაციულად დარაზმვის ამოცანას". ეს, ამხანაგებო, შემთხვევით არ არის ნათქვამი. ეს ნათქვამია იმიტომ, რომ ჩვენს ორგანიზაციებში ჩვენ ვერ მოვითმენთ ისეთ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ დაივიწყონ პარტიისა და კომკავშირის ძირითადი ამოცანა სოფლად, ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენის, ორგანიზაციულად დარაზმვის ამოცანა. ხშირია, როცა ამ საქმეში კმაყოფილდებიან მრავალსიტყვიანი რეზოლიუციების გამოტანით, არსებითად კი არაფერს აკეთებენ. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

რასაკვირველია, ჩვენ გვაქვს მიღწევები ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვის საქმეში, მაგრამ ეს მიღწევები სრულიადაც არ არის საკმარისი. ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ არა ერთხელ მიუთითა, თუ რამდენად საჭიროა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების შექმნა საბჭოებთან (აგრეთვე კოოპერატივებთან და კოლმეურნეობებთან). ახლანდელ პირობებში ეს განსაკუთრებით დაუშვებელია. ამიტომ იმ საბჭოების შესახებ, რომელნიც ვერ უზრუნველჰყოფენ გადამწყვეტ გარდატეხას ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვის საქმეში და განზე დარჩებიან მასიური კოლმეურნეობრივი მოძრაობისაგან, ჩვენ სრული უფლება გვექნება ვსთქვათ, რომ ესენი არ არიან ისეთი საბჭოები, როგორიც ჩვენ გვჭირია, რომ ეს კულაკური საბჭოებია. იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება შევხვდეთ ასეთი „კულაკური საბჭოები", ე. ი. საბჭოები, რომლებშიაც ჯერ კიდევ ძლიერია კულაკობის პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა, ჩვენ ენერგიულად უნდა ვიმუშაოთ ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შეკავშირებისათვის, საშუალო გლეხობასთან ერთად, და უნდა განვდევნოთ კულაკობა ამ პოზიციებიდან.

პარტიის ახალი ამოცანები სოფლად მოითხოვენ საბჭოების მუშაობის გაცხოველებას. სოფლის მასიური კოლექტივიზაცია ნამდვილად ჩადგება სოციალისტური მშენებლობის კალაპოტში, თუ უზრუნველყოფილი იქნება ნამდვილი პროლეტარული ხელმძღვანელობა. საბჭოებმა, როგორც პროლეტარული დიქტატურის ძირითადმა ორგანოებმა, უნდა უზრუნველჰყონ ეს ხელმძღვანელობა კოლმეურნეობრივი მოძრაობის მიმართ. ამიტომ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში ნათქვამია: „საჭიროა გაძლიერდეს საბჭოების ხელმძღვანელი როლი კოლექტივების მიმართ, გადიდდეს საბჭოების პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის და სისტემად დაწესდეს კოლმეურნეობათა ანგარიშგება საბჭოების წინაშე, მაგრამ დაშვებულ არ უნდა იქნას წვრილმანი მეურვეობა და ადმინისტრატიული ჩარევა ხელმძღვანელობაში კოლექტივების მიმართ".

მაგრამ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ახლანდელი საბჭოები სოფლად ხშირად „განვლილ ეტაპს" წარმოადგენენ. შეუძლიათ თუ არა ასეთ საბჭოებს, რომელნიც „გუშინდელ დღეს" წარმოადგენენ, უხელმძღვანელონ კოლმეურნეობებს, რომელნიც შეიქმნენ უკანასკნელ ნახევარ წელიწადში, იმ პერიოდში, როდესაც ძირითადი გარდატეხა მოხდა სოფლის სოციალისტური მშენებლობის განვითარებაში? ცხადია, რომ არ შეუძლიათ. ცხადია, რომ ამ საბჭოებს არ ძალუძთ ხელმძღვანელობა გაუწიონ მასიურ კოლმეურნეობრივ მოძრაობას. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ საბჭოები იმ სახით, როგორც ამჟამად არსებობენ მათი ახლანდელი მუშაობითა და შემადგენლობით, ამ ამოცანას თავს ვერ ართმევენ და არც შეუძლიათ გაართვან თავი. იქ, სადაც კოლმეურნეობები უკვე გადაიქცნენ მასების მოძრაობად, უწინარეს ყოვლისა, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, იქ საბჭოები რომელნიც არჩეულნი არიან სხვა პირობებში, შეგუებულნი არიან უფრო ელემენტარულ ამოცანებთან და შეზღუდულნი არ არიან გლეხთა მასების ახალ მოძრაობასთან სოციალიზმისაკენ, მათ არ შეუძლიათ თავი გაართვან ახალ ამოცანებს, თუ მათ ძირიანად არ შესცვალეს თავიანთი მუშაობა, თუ გადაჭრით არ გარდაქმნეს ამ მუშაობის მოძველებული მეთოდები და ფორმები და თუ სავსებით არ განაახლეს თავიანთი შემადგენლობა.

საქმე მარტო სოფლის საბჭოებში როდია. ყოველივე ზემონათქვამი რაიონულ აღმასკომებსაც ეხება. ამასთან შეფარდებით საჭიროა მუშაობის გარდაქმნა ოლქებშიაც და, დასასრულ, ცენტრალურ ორგანოებშიაც. ახლა ახალი წესით უნდა აწარმოონ მუშაობა არა თუ საბჭოებმა სოფლად,—ახალი წესით უნდა დაიწყონ მუშაობა საბჭოებმა ქალაქებშიაც და მუშათა ცენტრებშიაც. თუ გლეხთა მასის მოწინავე ფენები კოლმეურნეობებში შედიან, ქალაქებში მუშათა მოწინავე ელემენტები დამკვრელ ბრიგადებად ეწყობიან. დამკვრელი ბრიგადების რიცხვი დღითი-დღე იზრდება ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი უდიდესი წარმატებისა სოციალიზმის მშენებლობაში. მუშათა დამკვრელი ბრიგადები მონაწილეობენ სხვა საბჭოთა მუშაობაში. ასე, მაგალითად, საფინანსო ორგანოების მუშაობაში გადასახადის გამღებ ბურჟუაზიული ელემენტების შემოწმების დროს ქალაქებში—მათთვის ნარჩენების გადასახდევინებლად—დამკვრელმა ბრიგადებმა უკვე ითამაშეს უდიდესი როლი. საბჭოთა მშენებლობის სხვა დარგებშიაც დამკვრელი ბრიგადების, კომკავშირის „მსუბუქი კავალერიის" ჯგუფების და სხვ. როლი უნდა გაიზარდოს.

ქალაქის საბჭოები და მუშათა დეპუტატების საბჭოები მუშათა ცენტრებში უკვე ვეღარ იქნებიან ნამდვილი პროლეტარული ავანგარდის წარმომადგენელნი, თუ ისინი ნამდვილად არ დაეყრდნენ მუშათა დამკვრელ ბრიგადებს. საბჭოები მხოლოდ მაშინ შესძლებენ შეასრულონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები, თუ დაეყრდნობიან ამ ბრიგადებს, სათავეში ჩაუდგებიან მუშათა კლასის ამ მოწინავე ელემენტებს, დარაზმავენ მათ ირგვლივ მუშათა ფართო მასას და თანდათან უფრო ჩააბამენ ამ მასას საბჭოთა მშენებლობის საქმეში.

უკანასკნელ წელს პარტიამ გაძლიერებული ბრძოლა გაშალა ბიუროკრატიზმთან საბჭოთა აპარატში. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ზომები, რომლებიც გაძლიერებით ხორციელდება უკანასკნელ პერიოდში, საბჭოთა აპარატის წმენდის დროს პროლეტარიატის მტრულ ელემენტებისაგან, წარმოადგენენ საბჭოების მთელი მუშაობის ძირიანი გარდაქმნისა და გაუმჯობესების დასაწყისს. მთავარი ჯერ კიდევ წინაა. საბჭოთა აპარატში არსებულ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ამჟამად ისე აქტუალურია, როგორც არასოდეს. ამ ბრძოლას ჩვენ განსაკუთრებით ენერგიულად უნდა შევუქმნათ მასიური ბაზა, ვინაიდან მასების მხოლოდ ფართო მონაწილეობა გახდის ბიუროკრატიზმთან ბრძოლას ნამდვილად ღრმა, ნამდვილად სერიოზულ ბრძოლად.

3. მუშაობა ლოზუნგით „პირით კოლმეურნეობებისაკენ"

ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა საბჭოების გარდაქმნას სოფლად. ამ გარდაქმნას დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ. კოლმეურნეობრივ მოძრაობაზე დაყრდნობის გარეშე სოფლის საბჭოები და რაიონული აღმასკომები არ შეიძლება წარმოადგენდნენ პროლეტარული დიქტატურის ორგანოებს და პარტიის პოლიტიკის გამტარებლებს სოფლად. თუ საბჭოები ასე არ დაეყრდნენ კოლმეურნეობრივ მოძრაობას, თუ სათანადოთ და ძირიანად არ გარდაქმნეს მთელი თავიანთი მუშაობა და თუ თავიანთი შემადგენლობაც არ შესცვალეს, მათ შეუძლიათ მხოლოდ მისჩანჩალებდნენ კოლმეურნეობრივ მოძრაობას და არა მეთაურობდნენ მას. საბჭოების ასეთი გარდაქმნა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში უკვე გვიანდება. ამ საქმის გადადება აღარ შეიძლება. ამ გარდაქმნამ, ერთის მხრივ, უნდა გამოიწვიოს ძირიანი გარდატეხა საბჭოების განვითარებაში სოფლად, ხოლო მეორეს მხრივ—მხოლოდ ასეთ გარდატეხას საბჭოების მუშაობაში შეუძლია საბოლოოდ მიმართოს მთელი გლეხობის მასის მოძრაობა კოლექტივიზაციის გზით, მაშასადამე, გამოიწვიოს კულაკობის საბოლოო განადგურებაც და ამასთანავე უზრუნველყოს პროლეტარული დიქტატურის ხელმძღვანელი როლი.

ამიტომაც ჩვენ სადღეისო ლოზუნგად უნდა გავხადოთ: „საბჭოები პირით კოლმეურნეობრივი მოძრაობისაკენ". როგორც პროფკავშირების შესახებ ვთქვით: „ახლანდელ პერიოდში პროფკავშირთა ლოზუნგი უნდა იყოს: „პირით წარმოებისაკენ", ისევე სოფლის საბჭოების მიმართ ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს—პირით კოლმეურნეობებისაკენ. ამ ლოზუნგიდან გამომდინარეობენ ჩვენი დღევანდელი ამოცანები საბჭოების მიმართ.

ჩემს ამოცანას ამჟამად არ შეადგენს შევჩერდე საბჭოების კონკრეტულ ამოცანებზე მასიური კოლექტივიზაციის რაიონებში. ამასთანავე შევეხოთ იმ თათბირს, რომელიც ცაკთან იქნება მოწვეული. ამ საკითხებზე სერიოზული მუშაობა უნდა გასწიონ საბჭოების ხელმძღვანელმა ორგანოებმა.

მაგრამ მაინც უნდა შევჩერდეთ ამ უკანასკნელი დროის ერთ ახალ მოდის გატაცებაზე. ზოგიერთ ამხანაგს კოლმეურნეობებზე ლაპარაკი, კოლმეურნეობებისათვის ხოტბის შესხმა ერთგვარ მოდად გადაექცა. ამასთან დაკავშირებით საბჭოების მიმართ ყურადღება შესუსტდა, იგი მოდაში აღარ არის. მაგალითად, ამ უკანასკნელ დროს შეიძლებოდა მოგესმინათ მსჯელობა იმის შესახებ, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში საბჭოები საჭიროები აღარ არიან. საქმის სათანადოთ გაუსჯელად ზოგიერთი კომუნისტიც კი ლიკვიდატორულ დასკვნებამდე მიდის საბჭოების მიმართ. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც უაღრესად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა სოფლად, იმ მომენტში, როდესაც პროლეტარულმა დიქტატურამ რკინის ხელით უნდა აღმოფხვრას კულაკობა, როგორც კლასი. ცხადია, რომ ამ ლიკვიდატორულ განწყობილებებს საბჭოების მიმართ პროლეტარიატისა და გლეხთა მასების ინტერესებთან საერთო არაფერი აქვთ. ეს განწყობილებანი გამოხატავენ მხოლოდ იმის შეუგნებლობას, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობრივ მოძრაობას საბჭოთა წესწყობილებისათვის. ეს ლიკვიდატორული განწყობილებანი ხელსაყრელია კულაკისათვის, და, საერთოდ, საბჭოთა ხელისუფლების მტრებისათვის. ამას გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო, უნდა განვამტკიცოთ საბჭოების ხელმძღვანელი როლი კოლმეურნეობების მიმართ, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოებმა თავიანთ ბაზად გაიხადონ კოლმეურნეობები. კოლმეურნეობრივი მოძრაობის საფუძველზე საბჭოების მნიშვნელობამ უფრო უნდა იმატოს; ამასთან საბჭოებმა უნდა იბრუნონ პირი კოლმეურნეობრივი მოძრაობისაკენ, სათავეში უნდა ჩაუდგნენ მას და ამით უზრუნველჰყონ გადამწყვეტი წარმატებანი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის კოლმეურნეობათა საშუალებით.

კოლმეურნეობრივი მოძრაობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებაზე. ამ მუშაობის გაშლაზე, კოლმეურნეობებში ჩაბმულ გლეხთა მასების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე არ შეიძლება დამოკიდებული არ იყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია. კოლექტიურ მეურნეობამ მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს შრომის ორგანიზაციას კოლექტიურ მეურნეობაში, წარმოების გაუმჯობესებას და სოფლის მეურნეობის განვითარებას. ღარიბ და საშუალო გლეხს ისე არასოდეს არ ესაჭიროებოდა სკოლა, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა და სხვა კულტურული დაწესებულება, როგორც ახლა. ყოველივე ეს არ შეიძლება დარჩეს ძველ მდგომარეობაში. არ შეიძლება ძველ მდგომარეობაში დარჩეს გზებიც, მრავალ შემთხვევაში უკვე ახლაც ვერ მიდის იოლად კოლექტიური მეურნეობა უტელეფონოდ და სხვ. ყოველივე ეს შეადგენს საბჭოების საქმეს. საბჭოების ამგვარ გაუქმებაზე შეიძლება ამჟამად ლაპარაკი მასიური, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში? მასიური კოლექტივიზაციის რაიონებში საბჭოების ლიკვიდაცია არა, მათი მუშაობის გაუმჯობესებაა საჭირო. საბჭოების მუშაობის დეფექტებმა სოფლად, და არა მარტო სოფლად, განსაკუთრებით ძლიერად უკანასკნელ დროს იჩინეს თავი.

სხვათა შორის, ამ ფაქტებთან არის დაკავშირებული ის გარემოებაც, რომ მთელ სამ სამეურნეო კამპანიებში ზოგჯერ მეტად თვალსაჩინო იყო პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. ამის ნათელყოფა შეიძლება პურის დამზადების მაგალითზე. საბჭოები და კოოპერაცია მეტად სუსტნი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ ეკისრათ პურის დამზადების ორი უკანასკნელი კამპანიის ჩატარება. ხშირად პარტორგანიზაციები იძულებულნი ხდებოდნენ თითქმის უშუალოდ აეღოთ ეს საქმე თავიანთ ხელში. უამისოდ საბჭოთა სახელმწიფო ვერ შესძლებდა უზრუნველეყო თავისი თავი პურით, ვერ შესძლებდა პური მიეწოდებინა მუშებისა და წითელი არმიისათვის. საბჭოთა და კოოპერატიული აპარატის სისუსტემ სოფლად და არა მარტო სოფლად, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი.

უკანასკნელი პერიოდის პურის დამზადებისა და თესვის კამპანიისათვის, როდესაც ამ სამეურნეო ამოცანებმა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვეს, საბჭოებმა (და კოოპერაციამ), პარტიული ორგანიზაციების სპეციალური ღონისძიებებისა და ამ ორგანიზაციების უშუალო ჩარევის გარეშე ვერ შესძლეს გასძღოლოდნენ თავიანთ მოვალეობას. ამ სამეურნეო მუშაობაში პარტიის როლი ხშირად მეტად საგრძნობი იყო არა იმიტომ, რომ პარტიული ორგანიზაციები ამ შემთხვევაში არ იქცეოდნენ სწორად, არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ ეს გამოწვეული იყო აუცილებლობით.

ჩვენს ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების იმდენად განმტკიცება, რომ უზრუნველყოფილ იქნას საბჭოების მაქსიმალური აქტივობა სამეურნეო ამოცანების შესრულების საქმეში.

რადგან ახალ ამოცანებს სოფლად დაბრკოლებები ეღობება კოლექტივიზაციის ახლანდელი გაშლის პირობებში—გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას, თუ საბჭოები განმტკიცებულნი იქნებიან, თუ მათი ავტორიტეტი გადიდდება, თუ ისინი შესძლებენ საქმით განახორციელონ თავიანთი ხელმძღვანელობა კოლექტიურ მეურნეობათა მიმართ. პარტორგანიზაციების სოფლად განმტკიცებასთან ერთად, ჩვენს წინაშე უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანების სახით ისმის საბჭოთა მუშაობის გარდაქმნა სოფლად, მათი მუშაობის მეთოდებისა და ფორმების ძირიანად შეცვლა და მათი შემადგენლობის სრული განახლება.

გამოვიყვანოთ აქედან პრაქტიკული დასკვნები.

4. ახალი ამოცანები და საბჭოების გადარჩევა

ჩვენ უნდა შევსძლოთ საბჭოების მუშაობის სრული გარდატეხა სოფლად. ჩვენ საბჭოები უნდა შევაბრუნოთ პირით კოლმეურნეობრივი მოძრაობისაკენ. ამ შებრუნების ბერკეტს წარმოადგენს საბჭოების გადარჩევა.

იქ, სადაც საბჭოები განზე დგანან კოლმეურნეობრივი მოძრაობიდან, იქ, სადაც საბჭოები არ მუშაობენ მოჯამაგირეთა და ღარიბთა კავშირების საქმეზე, არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მტკიცე კავშირი საშუალო გლეხობასთან ლიკვიდაციის პოლიტიკის განხორციელების საქმეში; აქაც აგრეთვე უნდა დაისვას საბჭოების გადარჩევის საკითხი.

ის საბჭოები, რომელთაც არ შესწევთ უნარი გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ კულაკობის წინააღმდეგ, ჩვენ არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ისეთ საბჭოებად, რომლებიც შესძლებენ გაუძღვენ კოლექტივიზაციის ხელმძღვანელობის საქმეს სოფლად. ამიტომ აქაც გადარჩევის საკითხი დღის წესრიგში უნდა დაისვას. არა კულაკის კუდში ჩანჩალი, არა კოლმეურნეობრივი მოძრაობის შეფერხება, არამედ გლეხობის სათავეში დგომა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში, — ასეთია საბჭოების მთავარი ამოცანა სოფლად. უნდა გადაირჩეს ის საბჭოები, რომლებმაც გამოააშკარავეს თავიანთი უუნარობა კოლმეურნეობისაკენ პირის სრული შებრუნების საქმეში.

საბჭოების გადარჩევა ლოზუნგით: „პირით კოლმეურნეობრივი მოძრაობისაკენ", — აი დღევანდელი დღის ამოცანა.

წელს სოფლად საბჭოების გადარჩევის ჩვეულებრივი კამპანია გადადებულია. ასეთი კამპანია ამჟამად ვერ მიაღწევს მიზანს. საქმე საგრძნობლად გართულდა. ინსტრუქციების დაწერა და დაგზავნა, ლოზუნგების მიცემა, მუშაკების დარაზმვა, — ყოველივე ეს ახლა აღარ კმარა. საჭიროა საბჭოების ახალი არჩევნები მოხდეს საბჭოთა მუშაობის სრული გარდატეხის და ახალი ამოცანებისაკენ შებრუნების თვალსაზრისით. ამავე დროს საჭიროა ადგილებზე და, მაშასადამე, განსაკუთრებით ცალკე რაიონებში არსებული მდგომარეობის გათვალისწინება.

კოლმეურნეობრივმა მოძრაობამ სხვადასხვა რაიონებში მოიპოვა არა ერთნაირი მნიშვნელობა. ამის გამო საბჭოების გადარჩევის საკითხი სხვადასხვა რაიონში სხვადასხვანაირად სდგას.

ვინაიდან საბჭოების მუშაობის გარდაქმნა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, ამიტომ საბჭოების არჩევნების ჩატარება აქ დღის წესრიგში უნდა დაისვას. საბჭოებში არჩეულ უნდა იქნან კოლმეურნეობათა აქტიურ მუშაკებიდან გამოყოფილი ახალი ძალები. მათ შორის საუკეთესონი სათავეში უნდა ჩაუდგნენ საბჭოებს. კოლმეურნეობრივ მოძრაობას საბჭოები არ უნდა ჩამორჩნენ აგრეთვე სხვა რაიონებშიაც. სოციალისტური მშენებლობის წარმატება ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით ახალი ეტაპი სოფლის კოლექტივიზაციის განვითარებაში, მოითხოვს ყველა ჩვენი ორგანოების მუშაობის გარდაქმნას. განსაკუთრებით ჩამორჩნენ მუშაობის მეთოდებით და ფორმებით საბჭოები. ეს არც შეიძლება სხვანაირად მომხდარიყო. საბჭოების მუშაობის გარდაქმნის სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ეს არის ფართო მასების ორგანიზაცია, ეს არის ორგანიზაცია, რომელშიაც გაერთიანებულია არა მარტო მუშათა კლასი, არამედ გლეხობის მთელი ძირითადი მასა. ამიტომ საბჭოებში განსაკუთრებით სოფლად, არ შეიძლება არ ჰპოვოს თავისი გამოხატულება მშრომელი მასის ჩამორჩენილ ფენების განწყობილებამ. ამიტომ სოფლის საბჭოები ჯერ კიდევ ასე არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვის ამოცანას და, მეორეს მხრივ, ხშირად ექცევიან კულაკური ელემენტების პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენის ქვეშ. მაგრამ თუ ჩვენ საბჭოების მუშაობაში უზრუნველვყოფთ მობრუნებას ახალ სოციალისტურ ამოცანებისაკენ, ამით უზრუნველყოფილი იქნება საბჭოების მიბრუნება პირით კოლმეურნეობისაკენ და ჩვენ გოლიათურ ნაბიჯს გადავსდგამთ წინ სოციალიზმის მშენებლობისაკენ, ვინაიდან სოციალიზმის მშენებლობის საფუძველია მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა სოციალისტური ამოცანების განხორციელებაში.

ამგვარად, საბჭოების წინაშე სდგას ახალი ამოცანა. სოფლად ეს ამოცანები გამომდინარეობენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პროცესიდან, ამასთან დაკავშირებულია მთელი გლეხური ყოფა - ცხოვრების გარდაქმნის უდიდესი ამოცანები. ახალი ამოცანების განხორციელება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვაწარმოებთ მედგარ, დაუზოგველ ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ. სოფლის საბჭოების წინაშე განსაკუთრებით მწვავედ სდგას საკითხი კულაკების და მათი დამქაშების გაძევების შესახებ საბჭოებიდან. ამასთან ერთად მხოლოდ ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ძირითადი მასების მჭიდროდ დარაზმვის საფუძველზე, მხოლოდ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვით საბჭოების ირგვლივ სოფლის საბჭოები შესძლებენ ახალი ამოცანების წარმატებით განხორციელებას. ამჟამად საბჭოებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა კადრების მჭიდროთ შეკავშირება საბჭოებში და ამ საფუძველზე პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერება კოლმეურნეობრივ მოძრაობაში. მხოლოდ ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით და საშუალო გლეხობასთან კავშირში უზრუნველჰყოფენ საბჭოები გადამწყვეტ წარმატებას კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში და კულაკების საბოლოოდ განადგურებას.

ამჟამად სოფელში ათასობით მიემგზავრებიან მუშები, რომელნიც უნდა გახდნენ საბჭოების მუშაობის გარდაქმნის აქტიურ მონაწილეებად. 25.000 მოწინავე პროლეტარი სოფელში უდიდეს როლს ითამაშებს ღარიბ გლეხობისა და მოჯამაგირეების მჭიდროთ დარაზმვის, საბჭოებში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა კადრების შექმნის და საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცების საქმეში. სოფლის ახალ საბჭოებში არჩეულ უნდა იქნან საუკეთესონი აქტივისტ პროლეტარებიდან, მოჯამაგირე და ღარიბ გლეხებიდან და კოლმეურნეობათა მოწინავე მუშაკებიდან. ეს იქნება საბჭოების მუშაობის ნამდვილი გამოცოცხლება. ასე შეიქმნებიან ის საბჭოები, რომელნიც სათავეში ჩაუდგებიან კოლექტივიზაციას და რომელნიც შეასრულებენ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ნამდვილი ხელმძღვანელის როლს.

ლოზუნგით „პირი კოლმეურნეობებისაკენ" დავიწყოთ საბჭოების მუშაობის ძირითადი გარდაქმნა საბჭოების განახლებისათვის.

ვ. მოლოტოვი

მოსკოვი. გადმოცემულია ტელეგრაფით.

ჰააგა—იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მეტოქეობის გამწვავების ახალი ეტაპი

გერმანიას დააკისრეს 116 მილიარდი მარკის გადახდა 59 წლის განმავლობაში

ახალი ტვირთი გერმანიის მშრომელთა მხრებზე

გერმანიამ მოკავშირეებს უნდა გადაუხადოს 116 მილიარდი მარკა

ჰააგა, 20 იანვარი. ჰააგის მეორე კონფერენციამ იუნგის გეგმა უფრო გააუარესა გერმანიისათვის: გერმანია კისრულობს გადაიხადოს 59 წლის განმავლობაში 116 მილიარდი მარკა. ვალის ის ნაწილი, რომელიც გერმანიამ დღემდე გადაიხადა და რომელიც, გერმანიის ვარაუდით, 60 მილიარდს უდრის, ახალი გეგმით, უყურადღებოდ არის დატოვებული. იუნგის გეგმით, გერმანიამ ვალი უნდა გადაიხადოს უცხოეთის ვალიუტით, სარეპარაციო გადასახადს ეძლევა კერძო ვალის ხასიათი და ამრიგად ისპობა ვალის ამ ნაწილის გადასინჯვის ყოველგვარი შესაძლებლობა. გერმანია დათანხმდა, არ აიღოს არავითარი სესხი უცხოეთში იმ დრომდე, სანამ არ იქნება შეტანილი იუნგის გეგმით გათვალისწინებული გადასახადის პირველი ნაწილი. რეინის ოლქის ევაკუაციის შემდეგაც კი მოკავშირეთა განკარგულებაში დარჩება დამსჯელი ღონისძიებანი იმ შემთხვევისათვის, თუ გერმანია არ შეასრულებს იუნგის გეგმას. (ადს).

ჰააგის კონფერენცია დაიხურა

ბერლინი, 20 იანვარი. ჰააგის კონფერენცია დასრულდა. უკანასკნელმა სხდომამ ნათელყო, რომ იწყება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მკაცრი ბრძოლა მსოფლიო ბაზრებისათვის, ბრძოლა, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს ლონდონის საზღვაო კონფერენციაზე (ადს).

ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა პროცესი

ბერლინი, 20 იანვარი. განახლდა ყალბი ჩერვონცების დამამზადებელთა პროცესი.

დამცველი ბერი, ბრალდებულთა მოქმედების პოლიტიკური ხასიათის დასამტკიცებლად, წინადადებას იძლევა — გამოწვეულ იქნას მოწმედ კაპიტანი ერხარდტი (ცნობილი ფაშისტი), რომელთანაც ქარუმიძე 1926-27 წელს აწარმოებდა მოლაპარაკებას ბრძოლის მოწყობის შესახებ არა მარტო რუსულ ბოლშევიზმთან, არამედ გერმანულ კომუნიზმთანაც. ქარუმიძემ გააცნო ერხარდტს ყალ. ჩერვ. დამზადების გეგმა. ქარუმიძე და ერხარდტი თანახმანი იყვნენ გამოეწვიათ საბჭ. ვალიუტის დაცემა, რაც ეგუებოდა როგორც ქართველი ემიგრანტების, ისე გერმანელი ფაშისტების ინტერესებს. გადაწყდა, თუ საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფის გეგმას დადებითი შედეგი მოჰყვებოდა, საქართველოსა და გერმანიას შორის კავშირი დადებულიყო (დარბაზში ხმამაღალი სიცილია).

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სასამართლო განიხილავს წინადადებას კაპიტან ერხარდტის მოწმედ გამოწვევის შესახებ. ამის შემდეგ მოსმენილ იქნა სხვადასხვა მოწმეების ჩვენება. (ადს).

რუს და ქართველ თეთრგვარდიელთა კავშირი

მოსკოვი, 21 იანვარი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა საქმის გამო პასუხისგებაში მიცემულმა ქართველმა ემიგრანტებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომ მათ პროცესსა და თეთრგვარდიელების იმ პროცესს შორის, რომელიც ლენინგრადში მიმდინარეობს, არავითარი კავშირი არ არსებობს.

ეხება რა ამ დეპეშას, „იზვესტია" სწერს: „იმ ბოროტმოქმედებათა კავშირის საკითხი, რომლებიც ირჩევა ლენინგრადში და ყალბი ჩერვონცების მკეთებლების პროცესზე, საეჭვოა, რომ ისე მარტივი იყოს, როგორც ამას წარმოდგენას ლამობს ქარუმიძე და კომპანია. ეს საკითხი საბოლოო გადაწყვეტას ჰპოვებს არა დაინტერესებულ პირთა ცარიელი განცხადებების, არამედ იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებიც გამოირკვევა სასამართლოში, კერძოდ კი თეთრგვარდიელთა პროცესზე ლენინგრადში. (ადს).

ეკონომიური კრიზისი პოლონეთში

ვარშავა, 20 იანვარი. მოწვეულია დაინტერესებულ მინისტრების თათბირი სამეურნეო კრიზისთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. პირველ რიგში განხილული იქნება ლოძის საფეიქრო მრეწველობის დახმარების საკითხი. შრომის მინისტრი ლოძში გაემგზავრა მდგომარეობასთან ადგილობრივ გასაცნობად. (ადს).

საბჭოთა მფრინავების დაჯილდოება

თეირანი, 20 იანვარი. იუნკერსის ფირმის სამსახურში მყოფმა საბჭოთა მფრინავმა კუდრიავცევმა მიიღო ფრენოსნობის კაპიტანის საპატიო წოდება.

საბჭოთა საელჩოსათვის გაგზავნილ წერილში იუნკერსის ფირმა აღნიშნავს, რომ კუდრიავცევის დაჯილდოება წარმოადგენს პირველ მაგალითს, როცა ფრენოსნობის კაპიტანის წოდება ენიჭება არა გერმანელ მფრინავს. (ადს).

მთლიანი კოლექტივიზაცია აძლიერებს სასოფლო საბჭოების როლსა და მნიშვნელობას

თათბირი საკავშირო ცაკის პრეზიდიუმთან

მოსკოვი, 21 იანვარი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმთან გაიხსნა საკავშირო თათბირი საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე.

თათბირის გახსნის დროს ამხ. კალინინმა თავის შესავალ სიტყვაში გადაჭრით გაილაშქრა ზოგიერთი ამხანაგების ცდების წინააღმდეგ—დაესვათ სასოფლო საბჭოების გაუქმების და მათი ფუნქციების კოლმეურნეობათა ორგანოებისათვის გადაცემის საკითხი. საბჭოების როლი ახლა კი არ მცირდება, არამედ იზრდება. მთლიანი კოლექტივიზაცია საბჭოების წინაშე აყენებს უდიდეს ამოცანას—გადაიქცნენ ახალი შრომის პროცესების, ახალი უფრო სრულქმნილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზატორებად. პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოთა ორგანოების საშუალებით ხორციელდება. სასოფლო საბჭოები წარმოადგენენ ბაზასს, რომლის საშუალებით სოფლად ტარდება ეს დიქტატურა, ამიტომ არ შეიძლება მათი შეცვლა საწარმოო ორგანიზაციებით—კოლმეურნეობათა სახით.

ამხ. ა. ენუქიძემ თათბირის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მთლიანმა კოლექტივიზაციამ დაარღვია სასოფლო საბჭოების საზღვრები და ეს მოითხოვს მათ იმგვარად გარდაქმნას, რომ საბჭოების საზღვრები შეეფარდებოდეს კოლმეურნეობათა საწარმოო საზღვრებს, არ უნდა შევჩერდეთ სასოფლო-საბჭოების გამსხვილების წინაშე.

ამხ. ენუქიძე წინადადებას იძლევა—გაძლიერებულ იქნან ქვედა საფეხურის საბჭოები მათში სოფლის საუკეთესო ელემენტების ჩაბმით, რაიონულ აღმასკომებისა და საოლქო ორგანოების მუშაკების გაგზავნით.

ადგილების წარმომადგენლებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამხ. კალინინსა და ენუქიძეს იმაში, რომ მთლიანი კოლექტივიზაცია აძლიერებს სასოფლო საბჭოების როლსა და მნიშვნელობას (ადს).

თეთრგვარდიელთა პროცესი ლენინგრადში

ლენინგრადი, 21 იანვარი. 20 იანვრის დილის სხდომაზე სასამართლომ განიხილა ექსპერტების დასკვნა შილლერის მიერ ჩამოტანილი ყალბი ჩერვონცების შესახებ. მათი განსხვავება ნამდვილი ჩერვონცებისაგან იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათ მხოლოდ ბანკების მოლარეები თუ შენიშნავენ.

ექსპერტების დასკვნით, შილლერის ჩერვონცები ისეთივეა, როგორც სადათიერაშვილისა და კომპ. მიერ დამზადებული ჩერვონცები. სასამართლო წინადადებას აძლევს შილლერს გასცეს პასუხი ზოგიერთი დამატებითი კითხვებზე; იცის თუ არა მან გენერალ გლაზენაპის, ლებედევის და დიაკოვის დანიშნულებიდან გაძევების მიზეზები. შილლერი ამას ხსნის საბჭოთა მთავრობის ზეგავლენით.

აქამდე შილლერი ყოველმხრივ გაურბოდა პასუხის გაცემას კითხვებზე 1923 წლის თათბირის შესახებ ბერლინში.

სასამართლო სწორედ არკვევს, როგორც ამ თათბირის ვადას, ისე მისი წარმოშობის ისტორიას. თათბირის მოწვევის აზრი წარმოიშვა იმის შემდეგ, როცა შილლერი შეხვდა ფონ-სმერის, რომელმაც გერმანიის ქვეშევრდომობა მიიღო.

თათბირს დაესწრო ინგლისელი გენერალი, რომელიც მონაწილეობას იღებდა იუდენიჩის შეტევაში პეტროგრადზე (1919 წ.), ერთი გერმანელი ფინანსისტი და გენერალი გლაზენაპი. თათბირმა განიხილა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის საკითხები (ადს).

საბჭოთა კავშირის პოზიციები ახლო-აღმოსავლეთში მტკიცეა

„ფოსიშე ცაიტუნგ" დარდანელ-ში საბჭოთა სამხედრო გემების გავლის შესახებ

ბერლინი, 20 იანვარი. გერმანიის საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა სამხედრო გემების გავლას დარდანელში და ამ ფაქტს ახასიათებს, როგორც იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცე პოზიციები აქვს ახლო აღმოსავლეთში.

„ფოსიშე ცაიტუნგი"-ს აზრით, დარდანელის კომისია, ეჭვს გარეშე, პროტესტს განაცხადებს საბჭოთა გემების დარდანელში გატარების წინააღმდეგ, ისე როგორც რამდენიმე თვის წინად განაცხადა პროტესტი იტალიის აეროპლანების გაფრენის წინააღმდეგ სევასტოპოლში. საკითხი ახლა შემდეგში მდგომარეობს: დათანხმდება თუ არა ინგლისი, რომ წონასწორობა შავ ზღვაზე დაირღვეს საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. თურქეთი, როგორც სჩანს, თანახმაა. უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოთა გემების დარდანელში გატარების საკითხი მოგვარებულ იქნა კარახანის ანგორაში ყოფნის დროს. ინგლის - თურქეთის დაახლოების ცდა, როგორც სჩანს, საბოლოოდ დამარცხდა.

შემდეგ „ფოსიშე ცაიტუნგ"-ი სწერს, რომ თურქეთი და საბჭოთა კავშირი სარგებლობენ ლონდონის კონფერენციით, რათა მსოფლიოს მოაგონონ თავიანთი თვალსაზრისი სამხედრო საზღვაო საკითხში. „საზღვაო კონფერენციის არც ერთი ინიციატორისათვის, — სწერს გაზეთი,— არ უფიქრია საბჭოთა კავშირის მიწვევა ლონდონში. ამან გამოიწვია საბჭოთა კავშირის უკმაყოფილება, ვინაიდან ინგლისის მთავრობას სურს მის გარეშე აწარმოოს მსოფლიო პოლიტიკა, რომელიც შესაფერ მომენტში შეიძლება მიმართული იქნეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა ხომალდების გავლა დარდანელში,— ეს არის სადარბაზო ბარათი, რომელიც ლიტვინოვმა გადაისროლა ლონდონში".

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე

ტოკიო, 20 იანვარი. ხარბინიდან მიღებული ცნობით, გზის ტელეგრაფი, რომელიც ხელში ჩაიგდეს კონფლიქტის დროს, დაუბრუნეს გზას. ტელეგრაფი ნორმალურად მუშაობს. განახლებულია საბჭოთა კავშირში გასაგზავნი დეპეშების მიღება.

გაიზარდა საექსპორტო ტვირთების გადაგზავნა ვლადივოსტოკის ნავთსადგურში.

თეთრგვარდიელების და მენშევიკების კავშირი

პარიზი, 20 იანვარი. „ლიუმანიტე" იუწყება, რომ თეთრგვარდიელ ემიგრანტთა წრეებს გამოცოცხლება დაეტყო. ფრანგ სოციალისტების დახმარებით ემიგრანტებმა დაიწყეს ახალი კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ კერენსკი და ზენზინოვი. მანამდე კერენსკი იყო ლონდონში, სადაც სჩიოდა სარწმუნოებრივ დევნაზე საბჭოთა კავშირში.

მიტროპოლიტი ანტონი ბეჭდავს „ცნობებს" „ბოლშევიკურ მხეცობათა შესახებ მანჯურიაში".

მილიუკოვმა „ეკო დე პარი"-ს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „ჩვენ ველით შესაფერ წუთს მოქმედების დასაწყებათ, კავშირი გვაქვს რუსეთში დარჩენილ ჩვენს მეგობრებთან და ვემზადებით, რომ აღვადგინოთ იქ წესრიგი".

თეთრგვარდიელები კირილეს მეთაურობით აყენებენ ინტერვენციის ლოზუნგს.

„ლიუმანიტე" სწერს: საფრანგეთის მუშებმა ამ ანტი-საბჭოთა კამპანიაზე უნდა უპასუხონ იმით, რომ ლენინის, ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის ხსოვნის დღეებში განაცხადონ საბჭოთა კავშირთან თავიანთი ურყევი კავშირის შესახებ. (ადს).

ამერიკელი მფრინავების ძებნა

მოსკოვი, 21 იანვარი. ამერიკელ მფრინავების საძებნად 10 იანვარს „სტავროპოლ"-იდან გაემგზავრა ორი ჯგუფი. მფრინავები სლეპნევი და გლადიშევი 13 იანვარს შეეცადნენ გაფრენილიყვნენ „პრიდიდენიესაკენ", მაგრამ ქარიშხალის გამო უკან დაბრუნდნენ.

ჩუხნოვსკის და გრომოვის ექსპედიციებს წინადადება მიეცა პირველ რიგში გამოიკვლიონ ანგუემის ველი. (ადს).

გრომოვის ექსპედიციის გაფრენა

ხაბაროვსკი, 21 იანვარი. გრომოვის ექსპედიციის გაფრენა დანიშნულია 23 იანვრისათვის. (ადს).

ლენინური პარტია დღეს

(საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის სტატისტიკური განყოფილების მასალებიდან)

მოსკოვი, 21 იანვარი. 1929 წლის 1-ოქტომბრისათვის პარტიაში იყო 1.551.000 წევრი და კანდიდატი, იმ კომუნისტებს გარდა, რომელნიც წითელი არმიის რიგებში ირიცხებიან.

ბოლშევიკების ამ რიცხვიდან ერთ მილიონს შეადგენენ მუშები სოციალური მდგომარეობით, ე. ი. ხელობით პარტიაში შესვლამდე. პარტიის მეხუთედ ნაწილს—310.600 კაცს შეადგენენ გლეხები და მხოლოდ 232.600-ია მოსამსახურე, ხელოსანი, შინამრეწველი, უმუშევარი, უპროფესიო და სხვ.

თუ ავიღებთ კომუნისტებს ხელობის მიხედვით პარტიის რიგებში ყოფნისას, სულ სხვა სურათს მივიღებთ. ერთი მილიონი მუშა-კომუნისტიდან მხოლოდ 725.200 კაცი მუშაობს უშუალოდ წარმოებაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტზე. დანარჩენი მუშა-კომუნისტები შედიან მოსამსახურეების, მოწაფეების, უმუშევრების და სხვათა შემადგენლობაში.

ხელობის მიხედვით მოსამსახურეების აბსოლიუტური რიცხვი აღწევს 476.300 კაცს პარტიის მთელი შემადგენლობიდან.

ისეთ გლეხთა რიცხვიც, რომელნიც უშუალოდ სოფლის მეურნეობას ეწევიან, ნაკლებია, ვიდრე გლეხები, სოციალური მდგომარეობით წარსულში, სახელდობრ—166.200 კაცი. ამ რიცხვიდან გლეხების 68 ნახ. პროცენტი ეწევა ინდივიდუალურ სასოფლო მეურნეობას, 31 ნახ. პროცენტს შეადგენენ კოლმეურნეობათა წევრები.

მოწაფეები, რომელთა სწავლაც არ არის შეთავსებული დაწესებულებებსა და საწარმოებში მუშაობასთან, უმუშევრები, ოჯახის დიასახლისები და სხვანი შეადგენენ 154.000-ს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის 1928 წლის ნოემბრის პლენუმის დირექტივა ასეთია: საკავშირო კომპარტიის (ბ) შემადგენლობაში 1930 წლის დასასრულისათვის წარმოების მუშების რიცხვი აყვანილ უნდა იქნას 50 პროცენტამდე. უკანასკნელი ხუთი კვარტალის განმავლობაში მუშების ხვედრითი წონა პარტიაში გაიზარდა შემდეგნაირად: 1928 წლის ივლისში იყო 42,4 პროც., 1929 წლის ოქტომბრისათვის კი—46,8 პროც.

ამრიგად, 1930 წლის დამლევამდე დაგვრჩა შესავსები მხოლოდ 3,2 პროც. თუ მუშების რიცხვის ზრდა ასე გაგრძელდა შემდეგშიაც, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ც. კ.-ის დირექტივის თავის დროზე შესრულება უზრუნველყოფილი იქნება.

1929 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის პარტიაში ირიცხებოდა 211,800 ქალი. უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაიზარდა პარტუჯრედების რიცხვი კოლმეურნეობებში. წელიწადნახევრის წინად კოლმეურნეობებში იყო სულ 623 უჯრედი და 6.200 წევრი. ნახევარი წლის წინ კოლმეურნეობათა უჯრედების რიცხვი უდრიდა 1.303-ს, 15.600 წევრით. იზრდება უჯრედების რიცხვი საბჭოთა მეურნეობებშიაც. 1928 წელს საბჭოთა მეურნეობებში იყო 611 უჯრედი 7.300 წევრით, ხოლო 1929 წ.—1.105 უჯრედი 15.300 წევრით.

კოლმეურნეობებში მომუშავე გლეხების საერთო რიცხვი პარტიაში იმავე ხნის განმავლობაში გაიზარდა 17.000-დან 51.700-დე, კოლმეურნეობებში მომუშავე გლეხების ხვედრითი წონა კომუნისტ-გლეხების საერთო შემადგენლობაში გადიდდა 10,4 პროცენტიდან 25,8 პროც.-დე.

ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ „ყველაზე სუსტ ადგილად უნდა ჩაითვალოს პარტიაში სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მოჯამაგირეების ჩაბმის საქმე". ერთი წლის განმავლობაში ჩვენ აქაც გვაქვს წარმატება. მაგალითად, 1928 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში მოჯამაგირეების და სასოფლო-სამეურნეო მუშების რაოდენობა პარტიის შემადგენლობაში 24.000-დან ავიდა 30.000-დე, 1929 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მათი რიცხვი 30.000-დან ავიდა 45.000-დე.

მუშების ძველ კადრთან ერთად, პარტიის უმნიშვნელოვანეს რეზერვს წარმოადგენს კომკავშირი. თავისი არსებობის განმავლობაში საკ. ა. ლ. კომკავშირმა მოამზადა და ჩააბარა პარტიას 400.000-ზე მეტი თავისი წევრი. პარტიის ახლანდელი შემადგენლობის დაახლოებით ერთ მეოთხედს განვლილი აქვს კომკავშირის სკოლა. უკანასკნელ წლებში საკავშირო კომპარტიაში მიღებულთა შორის კომკავშირელები დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენენ. (ადს).

ლ ე ნ ი ნ ი

ისევ აღელდა ბრძოლებში გული,
ხელი რომ შრომის დაესაკუთრა,
ის ბევრჯერ იყო აღელვებული,
მხოლოდ დღეს ღელავს ყველაზედ უფრო!
ღელავს და ზვირთიც აღმავალია,
ზვირთი რომ ზვირთთა ქროზე გორავს,
შესასვენებლად მას არ სცალია
და მკარს ნაპირებს ლომივით ტორავს!
განირღვევა ეს ზღვის კიდეები,
ამ გიჟ ზვირთების შრომის სამჭედლო...
მე კი მაინც მსურს, რომ ეს მჭედლები
ახალ განივებს ქვეყნად შეგვამზადონ!
და დავამუქრო მთებს, თვითო უმაღლესთ,
თუ აქ მათ ჩემს წინ გაეინაიდა...
ან ამ ზვირთთა წინ რა ეჭინი გაძლებს,
ან მთების ჯაჭვში —რა კლდეთა ბანდა?!..
თუმც ბევრი ცდილობს ამ ზვირთთა დაფრჩნეს,
უამრავ ხლართით მათ სვლას აფერხებს,
ალბათ, ვერ ხედავს ამ ჩვენს სიურჩეს,
ამ ზღვად მოვარდნილ მუშებს და გლეხებს!
მახსოვს: ზამთარიც ერჩოდა ჯერაც,
რომ არ ეხილა მზე ცხრაას ხუთის,
რა ცხრა იანვარს ქარმა დაჰბერა
და მოძახილმა—შემდეგ —ქარბუქის...

თორმეტი წელი ასე აწვალა
მან მზე ახალი, თვისი ნათელით...
ბოლოს ხომ გატყდა ეს ზამთრის ძალა,
თავის თოვლ-ბუქის კორიანტელით!..
და მზეც მოვიდა ახალი დროშით,
ეწერა წითლად სიტყვა: „ლენინი":
აგვენთო გული სისხლის ღვრის ხოშით,
დღეს ზედ ოფლიც რომ გვაქვს დაღვრილი...
ხვალინდელი დღის შემოსვენება
ნათობს წინ მიზნად მზის მთელს უხვრში:
გვყავს ცხრა იანვრის ძალთ ამჭედები,
და ხმაც ლენინის—მარქსად ზურჩში!
ლენინით—წინ და ლენინით წინად,
ასეთი არის გზა, ორ-ლესული:
წინ ასპარეზად—მსოფლიოს რუკა,
წინად —ძველ ყოფის ძვლებ-მოლეწილი...
ასეთ ყოფის მზე მოგვაქვს ხელით
და გულით კიდევ— ახალი ნება!
გული კომუნის მოდის სახელით
და ახალ მზედაც მოეფინება...
ის ამ იანვრის მოლოზურ დღიმიდ
ცეცხლად და მუქად არს ჩენილა,
ის ერთი არის მილიონით წრეშიც,
ვით ერთი არის სიტყვა: „ლენინი"!..

ნ. ზომლეთელი.

სისხლიანი კვირის 25 წლის თავი

წინასწარ განზრახული ხოცვა-ჟლეტა

1905 წლის 9 იანვრის ტრაგიკული ამბები მაშინვე ღირსეულად შეაფასეს მუშათა კლასმა და რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა. არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა მეფის მთავრობის როლი უიარაღო მუშების, მათი ცოლების და ბავშვების მასიურ გაჟლეტაში. ამიტომ არავინ სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევდა მთავრობის ოფიციალურ მტკიცებას, თითქოს ეს ამბავი მისთვის „მოულოდნელი" იყო.

1905 წ. 31 იანვარს მინისტრთა საბჭო პირდაპირ აცხადებდა, რომ „მომხდარი უბედურების გამოსწორება შეუძლებელია"-ო. ამრიგად, ყოველთვის ლაპარაკი იყო „უბედურებაზე", ე. ი. მეფის მთავრობისათვის ვითომდა არასასურველ ფაქტზე, რომლის განზრახვაში მას მონაწილეობა არ მიუღია, ერთ ღირსებას ვერ წავართმევთ ძველი რეჟიმის მოღვაწეებს. მათ ბევრი „იშრომეს" იმისათვის, რომ მოესპოთ ყოველგვარი კვალი მათი ბრალეული მონაწილეობისა ამ ბოროტმოქმედებაში. მაგრამ ცოტა რამ მაინც დარჩა. პეტერბურგის გრადონაჩალნიკის სამმართველოში იპოვეს დოკუმენტი, რომელიც იძლევა იანვრის ხოცვა-ჟლეტის მოწყობის ნათელ სურათს. ეს არის უაღრესად საიდუმლო ცნობები იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიიღო ს.-პეტერბურგის გრადონაჩალნიკის სამმართველომ მუშათა მოძრაობის გამო, და დაწყებულ უწესრიგობათა ჩასაქრობად".

ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მთავრობამ ვითომ ნეიტრალური პოზიცია ეჭირა „7 იანვრამდე... რადგან შფოთიანობას არ ღელვებულა და ადგილი არ ჰქონია ძალადობას". შემდეგ იწყება აშკარა წინასწარ მოფიქრებული ბოროტმოქმედება. 7 იანვარს შესდგა მთავრობის თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა გაფიცვის საკითხი. იუსტიციის მინისტრი მურავიოვი მოითხოვდა გაპონის დაპატიმრებას, მაგრამ „საკითხის დაწვრილებით განხილვის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დაპატიმრება არ არის სასურველი". როგორც სჩანს, ეს გადაწყვეტილება შეცვლილ იქნა 8 იანვარს, როცა გაიგეს პეტიციის საბოლოო შინაარსი. ესე იგი სწორედ იმ მომენტში, როცა მოძრაობას დაეტყო სოციალ-დემოკრატების გავლენა. მაგრამ გაპონი არ დააპატიმრეს. რატომ? „იმიტომ,—ლაპარაკობს გრადონაჩალნიკი,—რომ ჯარის ნაწილებს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკავებული თავიანთი პოსტები დისპოზიციის მიხედვით და შესაძლებელი იყო რბევა დაწყებულიყო ჯარების მოსვლამდე"-ო.

როგორც ხედავთ, პასუხი განსაცვიფრებელია თავისი გარკვეულობით. მაშასადამე, 8 იანვარს ღამით ჯარების დისპოზიცია მზად იყო რბევის მოსაწყობად. ეს დისპოზიცია შემუშავდა ოლქის შტაბში არა უგვიანეს 6 იანვრისა, ვინაიდან „7 იანვარს დილით გრადონაჩალნიკთან მისულმა გენერალმა მეშეტიჩმა განაცხადა, რომ „მისი უდიდებულესობის ბრძანებით პეტერბურგში ცხადდება სამხედრო წესები და ძალაუფლება გადადის თავად ვასილჩიკოვის ხელში". მაგრამ „სამხედრო წესები არ გამოცხადებულა", როგორც გრადონაჩალნიკი ლაპარაკობს, ვინაიდან 7 იანვრის საღამოს შემდგარ თათბირზე, რომელზედაც ჩვენ ზემოდ ვილაპარაკეთ, „გამოითქვა უარყოფითი მოსაზრებები". აქ უკვე აშკარა ხდება, როგორ ამზადებდნენ მასებს.

სამხედრო წესების ოფიციალურად გამოცხადებას შეეძლო ცვლილებები შეეტანა გაპონის გეგმებში. ამიტომ არ გამოაცხადეს, მაგრამ ფარულად ქალაქი სამხედრო ბანაკად გადააქციეს. 7 იანვარს ჯარების დისპოზიცია ირჩეოდა და მიღებულ იქნა გრადონაჩალნიკთან შემდგარ თათბირზე. გადაწყდა „დაუყოვნებლივ გამოეწვიათ ცხენოსანი და ქვეითი ნაწილები პეტერგოფიდან, პსკოვიდან და რეველიდან. მეორე დღეს ეს მოყვანილ იქნა სისრულეში. გარდა პეტერბურგში მყოფ გვარდიის პოლკებისა, მთელ რიგ ქვეითი და ცხენოსან ნაწილებისა, გამოწვეული და საომრად გამზადებული იყვნენ: „ცხენოსანი—გრენადერთა გვარდიის 5 ესკადრონი, ულანის პოლკის 5 ესკადრონი, დრაგუნთა პოლკის 5 ესკადრონი და 40 ასეული ირკუტსკის, ომსკის და ენისეის ქვეითი პოლკებიდან".

ზამთრის სასახლის მიდამოთა საერთო რეზერვს შეადგენდა 3 ქვეითი ბათალიონი და ცხენოსანთა 2 პოლკი. შეიარაღებულ ძალთა მობილიზაცია ამით არ ამოწურულა ქუჩაში გამოიყვანეს პოლიციის ყველა ქვეითი და ცხენოსანი რეზერვები, ჟანდარმთა დივიზიები და „პოლიციის ყველა გარადავოვები და უფროსი თანამდებობის პირები 9 იანვარს ქუჩებში იყვნენ გამოსული".

„9 იანვარს, დილის 7 საათზე,—სწერს გრადონაჩალნიკი,—პოლიციის რაზმები მზად იყვნენ, ხოლო რაზმებში ჩარიცხულმა ჯარებმა დაიკავეს თავიანთი ადგილები დისპოზიციით". შემდეგ მოხდა ის ხოცვა-ჟლეტა, რომელზედაც ჩვენ აქ დაწვრილებით არ ვილაპარაკებთ. თავის ნაწერებში გრადონაჩალნიკი აღნიშნავს, რომ, როგორც სჩანს, ჯარის ზოგიერთ ნაწილს კარგად არ ჰქონია შეთვისებული მუშების დახვრეტის საერთო გეგმის დეტალები. მაგალითად, „დაახლოვებით შუადღისას დაიწყო მუშათა მასების სვლა ვასილიევის კუნძულის მე-4 ხაზზე ნიკოლოზის სასახლისკენ. კავალერიის დახმარებით ეს მოძრაობა შეჩერებულ იქნა. მაშინ ხალხმა უკან დაიხია შუა პროსპექტისაკენ და დაიწყო ბარიკადების აღმართვა. ადგილობრივმა პოლიციის უფროსმა არა ერთხელ მიმართა რაზმის უფროსს თხოვნით გაერეკა ხალხი, მაგრამ ის უპასუხებდა, რომ მას დავალებული აქვს ხიდებზე არ გაატაროს ხალხი, მის მოვალეობას არ შეადგენს მათი გარეკა". ხალხის დახვრეტაზე უარის თქმამ გამოიწვია ოლქის შტაბის დაუყოვნებლივ ჩარევა და პოლიციის მოთხოვნები ამის შემდეგ სრულდებოდა. „ყველა შემთხვევაში ხალხს ესვროდნენ 150-200 ნაბიჯის მანძილზე". „დაშლაზე უარის თქმა ხალხის მიერ საკმაო საბუთი იყო პოლიციის რაზმების უფროსებისათვის, რომ მათ თავიანთი როლი დასრულებულად ჩაეთვალათ და სამხედრო რაზმების უფროსებისათვის დაევალებინათ ხალხის გარეკა იარაღით".

ამრიგად იარაღს მიმართავდნენ იმ შემთხვევაშიაც, როცა ხალხი მშვიდათ იდგა ერთ ადგილას და არ იშლებოდა. ასეთია ოფიციალური ცნობა.

მოკლულთა რიცხვი იმდენი იყო, რომ „საშუალებები მათ გადასაზიდათ და დაჭრილების გადაგზავნა საავადმყოფოებში სუსტად იყო მოწყობილი". ამ წერილის დასასრული იმდენად ცინიკურია თავისი შინაარსით, რომ მას მთლიანად მოვიყვანთ:

„ალექსანდრის ბაღის გალავანთან დაჭრილები შეითარებით დიდი ხნის განმავლობაში ეყარნენ დახმარების აღმოუჩენლად იმიტომ, რომ ჯარების შეტაკება ამ ადგილას, როგორც სჩანს, არ იყო გათვალისწინებული, და შესახვევი საშუალებები, რომელნიც უმთავრესად ქალაქ-გარეთ გაიგზავნა, აქ არ იყო მომარაგებული".

ამრიგად, წინდაწინვე იცოდნენ, სად უნდა გაეჟლიტათ მუშები. გაჟლეტა უმთავრესად ბავშვების, რომელნიც ალექსანდრის ბაღში სეირნობდნენ და რომლებიც ბაღის გალავანს მიაწყდნენ კავალერიის თარეშის საყურებლად, გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

მეფის ჯალათებმა გადაწყვიტეს მიეცათ მუშებისათვის გაკვეთილი. მაგრამ ეს გაკვეთილი უპასუხოდ არ დარჩენილა. მუშებმა ის უკანვე დაუბრუნეს მათ 1917 წლის ოქტომბერში.

ნ. ბ.



მუშების დახვრეტა 1905 წ. 9 (22) იანვარს

მედგარი შეტევა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის

კულაკების ცდაზე კოლექტივიზაციისა და თესვის კამპანიის ჩასაშლელად ვუპასუხოთ მთელი მათი ქონების ჩამორთმევით

სოფლის მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხობის მტკიცე შეკავშირება კულაკობის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის აუცილებელი პირობაა

არავითარი მერყეობა ამ ბრძოლაში, ძირშივე აღკვეთა ასეთი მერყეობის

წითელარმიელთა ბრიგადების ინიციატივით აბაშის რაიონში ჩამოყალიბდა მთელი რიგი ახალი კოლექტივები

საჭიროა ძირითადი გარდატეხა

მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხობის შეკავშირება

გარდატეხა ჩვენი პარტიის პოლიტიკაში—„კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვისაგან, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისაკენ" (სტალინი) პარტიის პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს, რომ მასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანების სათანადოდ შეუფასებლობა ან შესაფერად არ შეგნება ჩვენი სოფლის პარტიული ორგანიზაციების მიერ, აუცილებლად გამოიწვევს სასოფლო-მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ტემპების შესუსტებას, საბუთს მისცემს კულაკს მისი ბრძოლის გასაძლიერებლად, დააბნევს მოჯამაგირეთა და ღარიბ და, პირველ რიგში, საშუალო გლეხობის ფენებს.

ძირითადი ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს გარდატეხიდან პარტიის პოლიტიკაში, მდგომარეობს მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხობის შორის მუშაობის არსებითად გარდაქმნაში.

თუ რუსეთის ღარიბ გლეხობას და მოჯამაგირეებს აქვთ ისეთი გამოცდილება, როგორიც ღარიბთა კომიტეტებია, თუ უკრაინის ღარიბ გლეხობას დღემდე აქვს თავისი ორგანიზაციები, ამიერ-კავკასიის პირობებში, სადაც ამგვარი გამოცდილება წარსულში არ გვქონია, მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის ამოცანა განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს. ამას უნდა დაემატოს კიდევ ის გარემოება, რომ რუსეთში, უკრაინაში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, მთელი რიგ წლების განმავლობაში ისეთი უმნიშვნელოვანესი სასოფლო სამეურნეო კამპანია, როგორიც არის პურის დამზადება, წარმოადგენდა ღარიბ გლეხობაში და მოჯამაგირეთა შორის კულაკის მიმართ კლასობრივი შეურიგებლობის აღზრდის, საშუალო გლეხობასთან მათი კავშირის განმტკიცების მძლავრ საშუალებას. ჩვენში კი პურის დამზადების ნამდვილი კამპანია პირველად ჩატარდა წრეულს.

მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხობის ორგანიზაცია და მუშაობა მათ შორის, უკანასკნელ დრომდე, სუსტ ადგილს წარმოადგენდა ჩვენს საქმიანობაში.

სწორედ ამიტომ ყველა პარტორგანიზაციების წინაშე ხდება, როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანა, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილების შესრულება „ღარიბთა ორგანიზაციების შესახებ".

ის გარემოება, რომ მაგ., აფხაზეთში ადგილი ჰქონდა ქალთა ჩამორჩენილი ჯგუფების პროვოკაციულად გამოწვეულ გამოსვლას კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, იმას გვიჩვენებს, რომ ცალკე პარტიულ ორგანიზაციებს, იმის მიუხედავად, რომ ცეკას მიერ დადგენილების გამოტანის შემდეგ უკვე რამდენიმე თვე გავიდა, ეს გარდატეხა ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ, მეორე მხრივ, ეს იმას მაჩვენებელია, რომ კულაკმა იცის ბრძოლის სხვადასხვა ფორმების შერჩევა.

რომ კულაკი ილაშქრებს და უნდა გაილაშქროს სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის წინააღმდეგ—ეს ცხადია, მაგრამ თითეული კომუნისტისა და კომკავშირელისათვის აბსოლუტურად ნათელი უნდა იყოს, რომ კულაკი ამ ბრძოლაში უსათუოდ განცალკევებული უნდა იქნას.

„კულაკი ჩვენი ღონისძიებების უბოროტესი მტერია კოლექტივიზაციის, პურის დამზადების და სხვ. დარგში. ამ ღონისძიებების გატარება შეიძლება მხოლოდ კულაკის წინააღმდეგ, მხოლოდ მასთან ბრძოლის გზით (საქ. კომპ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებებიდან ამხ. კახიანის მოხსენების გამო).

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას დირექტივები „ღარიბთა ორგანიზაციის შესახებ" ჯერ არ მ[illegible] ყველა ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის ცენტრში. დღემდე არ არის შესრულებული გადაწყვეტილება „კომპ. და კოლმეურნეობრივ ორგანოებში კომუნისტურ აქტიურ მუშაკებისაგან სპეციალური ინსტრუქტორების გამოყოფის შესახებ მასიური მუშაობის საწარმოებლად ღარიბთა შორის (ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეთა წევრების კრებების მოწვევა, ხელის შეწყობა პარტორგანიზაციებისათვის ჯგუფების მუშაობის გაძლიერებაში და სხვ.)". რით აიხსნება ჩვენი კოოპერატიული და კოლმეურნეობათა ცენტრების ხელმძღვანელების მიერ ამგვარი დაყოვნება ასეთი უმნიშვნელოვანესი დირექტივების შესრულებაში? განა მათ არ იციან საქ. კომპ. (ბ) ცეკას დადგენილება იმის შესახებ, რომ „შეუფასებლობა და პასივობა სოფლის ღარიბთა შორის მუშაობის საქმეში.. წარმოადგენს პრაქტიკაში მემარჯვენე გადახრის ყველაზე მავნე გამოხატულებას" ან იმის შესახებ, რომ „მხოლოდ საქ. კომპარტიისათვის (ბ) და კომკავშირისათვის უცხო ელემენტებს შეუძლიათ გულგრილად მოეკიდონ პარტიის ამ ძირითად ამოცანას—სოფლად ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეთა დამოუკიდებელი ორგანიზაციის ამოცანას"?

დაყოვნება ამ საკითხში დაუშვებელია, უნდა ავამოძრაოთ ყველა ძალები მტკიცე გარდატეხის მოსახდენად ღარიბთა და მოჯამაგირეთა ორგანიზაციის საქმეში. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ირგვლივ უნდა დავრაზმოთ მოჯამაგირენი და ღარიბი გლეხები. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ გეგმების განხილვა სასოფლო საბჭოებს, კოოპერაციის, გლეხკომების ღარიბთა ჯგუფების კრებებზე, ამ ჯგუფების კონფერენციების მოწვევა, სოფლის მოჯამაგირეთა და ღარიბთა საერთო კრებები, მათი რაიონული კონფერენციები (განსაკუთრებით მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში).

კულაკობის ლიკვიდაციის ტემპი დამოკიდებული იქნება სწორედ ჩვენი მიღწევებისაგან ამ ფრონტზე. სასოფლო საბჭოები თითქმის არაფერს აკეთებენ ამისათვის. ამავე დროს, მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფების შექმნაში მათ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ. მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფები სასოფლო საბჭოებთან სათავეში უნდა ჩაუდგნენ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესრულების შემოწმებას.

კულაკი გაფთრებულ წინააღმდეგობას უწევს ჩვენს ღონისძიებებს, ვინაიდან ეს ღონისძიებები მიმართულია მისი, როგორც კლასის, ლიკვიდაციისაკენ. თავის ბრძოლაში კულაკი ეყრდნობა თავის დამქაშებზე, რომლებიც სოფლის ყველაზე უფრო დაბეჩავებული და ბნელ ელემენტებს ეკუთვნიან. მაგრამ „მომაკვდავი კლასები წინააღმდეგობას გვიწევენ არა იმიტომ, რომ ისინი უფრო ძლიერი გახდნენ, ვიდრე ჩვენ, არამედ იმიტომ, რომ სოციალიზმი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ისინი და ისინი უფრო სუსტი ხდებიან, ვიდრე ჩვენ. და სწორედ იმიტომ, რომ ისინი უფრო სუსტი ხდებიან, ისინი გრძნობენ თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს და იძულებული არიან წინააღმდეგობა გაგვიწიონ ყველა ძალებით, ყველა საშუალებებით (ამხ. სტალინის სიტყვიდან ცეკას აპრილის პლენუმზე).

იმის ფიქრი, რომ პარტიის პოლიტიკის გატარებას ჩვენ იოლად შევძლებთ, თავის მოტყუება იქნებოდა.

კულაკი სოციალიზმში ვერ შეიზრდება. ეს ლენინური აქსიომაა. პირიქით, სოციალიზმის ასაშენებლად საჭიროა კულაკობის მოსპობა, როგორც კლასის, ეს ამოცანა კი მით უფრო წარმატებით იქნება შესრულებული, კულაკობის წინააღმდეგობა მით უფრო სწრაფად იქნება დაძლეული, რამდენადაც უკეთესად იქნება შეკავშირებული ღარიბთა მასა.

ღარიბთა ორგანიზაციის მნიშვნელობა კულაკობამ ჩვენზე ნაკლებად როდი იცის. ისინი ყოველმხრივ უშლიან ხელს ამ ორგანიზაციას, ვინაიდან „კულაკებმა იციან, რომ დგება მათი უკანასკნელი საათი, როცა მოწინააღმდეგე გამოდის არა მარტო ქადაგებით, სიტყვებით და ფრაზებით, არამედ სოფლის ღარიბების ორგანიზაციით. თუ ჩვენ მას შევაკავშირებთ, მაშინ გამარჯვებას მოვიპოვებთ კულაკებზე. კულაკებმა იციან, რომ აქ დგება სოციალიზმისათვის ბრძოლის ყველაზე უფრო გადამწყვეტი, ყველაზე უფრო უკანასკნელი გაფთრებული ბრძოლის მომენტი" (ლენინი).

ა. მელიქსეტოვი.

სოიას კულტურის მნიშვნელობა

სოიას (ძაძის) კულტურამ ფართო ხასიათი მიიღო დასავლეთ საქართველოში 1905 წლიდან. განსაკუთრებით მას ავრცელებდა იაპონიის სამხედრო ტყვეობიდან დაბრუნებული ჯარისკაცები. საერთოდ ეს კულტურა დიდი ხანია მოჰყავთ საქართველოში, ის თესენ სიმინდთან ერთად. ქუთაისის საცდელ მინდორს დიდი ცდები აქვს ჩატარებული სოიას კულტურაზე; შესწავლილია ის ჯიშები, რომლებიც უკეთ ხარობენ ჩვენს პირობებში. გამოყოფილია საადრე და გვიანი სიმწიფის ჯიშები. არის სოიას ჯიშები, რომლებიც მდიდარია ცხიმებით, და ჯიშები, რომლებიც იძლევიან კარგი ღირსების საკვებ თივას.

გარდა ამისა, თესლთა ბრუნვაში სიმინდთან მორიგეობით, მოსავლიანობა იმატებს 15 პროც. (აჯამეთის საცდელი მინდვრის ანგარიშების მიხედვით) შორეულ აღმოსავლეთში სოია შეტანილია თესლთა ბრუნვაში, ხორბალთან, ქერთან და იძლევა კარგ ეფექტს.

მოსავლიანობის აწევის გეგმაში ერთ-ერთ ღონისძიებათ შეტანილია თესლთა ბრუნვაში სოიას კულტურის გავრცელება. გეგმით განზრახულია მისი ნათესების აყვანა 81.200 ჰექტარამდე 1932-33 წლისათვის.

მიმდინარე წელს გაზაფხულიდან განზრახვა გვაქვს კონტრაქტაციის წესით დათესოს 15.000 ჰექტარი; აქედან აღმოსავლეთ საქართველოში 3.000 ჰექტ. და დასავლეთში 12.000 ჰექტარი. სოიას ნათესების სიმცირე აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით იმით აიხსნება, რომ აქაური გლეხობა არ იცნობს ამ კულტურას. პირველი მასიური ცდა მოსახლეობის გასაცნობად სოიას კულტურასთან ჩატარებული იყო ჩემს მიერ 1927 წელში, აგროპუნქტებთან საჩვენებელი ნაკვეთების მოსაწყობად სათესლე სოიას შეტანით გორის, კახეთის და სხვა მაზრებში.

სოია იშვიათი მცენარეა. ის ადვილად იტანს როგორც ზედმეტ წვიმას, აგრეთვე გვალვასაც. მიმდინარე 1929 წლის ზაფხულის განსაკუთრებული გვალვები დასავლეთ საქართველოში, დამღუპველი იყო თითქმის ყველა მცენარეებისათვის, მხოლოდ სოია დარჩა დაუზიანებელი და მოსავალიც კარგი მოგვცა. აჯამეთის საცდელი მინდვრის დაკვირვებით, სოია ერთ ჰექტარზე იძლევა საშუალოთ 16 ცენტნერ მოსავალს მარცვლად. ხოლო თუ სათიბათ დავტოვეთ, იძლევა 85 ცენტნერს მშრალ თივას. მწვანეთ ყვავილობის დროს ნედლად ერთი ჰექტარიდან მოსავალი იწონის 150 ცენტნერს. სოიას ბალახით ნაკვები ძროხები იძლევა მეტი რაოდენობის რძეს და საუკეთესო სარისხის კარაქს.

სოიას საკვებათ გამოყენების შესასწავლად პროფ. ი. ჯანდიერის მიერ ზოოტექნიკურ სადგურზე წარმოებულმა ცდებმა—საბეკონეთ ღორის გასუქებაზე საუკეთესო შედეგი მოგვცა.

ჩვენში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოიას, როგორც მწვანე საკვებს, იმით, რომ მისი თესვა შეიძლება ადრე გაზაფხულიდან დაწყებული, პურის მომკის შემდეგაც—ნაპურზე, რაც საშუალებას მოგვცემს ვიქონიოთ საუკეთესო მწვანე საკვები შუა ზაფხ. დაწყებული ნოემბრის ბოლომდე. გარდა ამისა, რომ სოია წარმოადგენს საუკეთესო საკვებს, ის გვაძლევს საშუალებასაც ჩალისა და ბზის უკეთესათ გამოყენებისათვის ერთმანეთში შერევით. სოიას კულტურის მექანიზაციაში დასავლეთ ევროპაში არის დიდი მიღწევანი. საფრანგეთში არსებობს მანქანა, რომელიც ორ-სამჯერ ადვილებს მოსავლის აკრეფას და გალეწვას, ეს მუშაობა გლეხების მიერ ყველაზე უფრო ძნელ საქმეთ ითვლება. დასავლეთ საქართველოს გლეხობა სოიას ხმარობს, როგორც საქონლის საკვებათ, აგრეთვე სიმინდის ფქვილში გასარევათ. სოიას ფქვილი შერეული სიმინდის ფქვილთან იძლევა კარგ პურს, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დიდ ხანს რჩება რბილათ.

წითელარმიელთა ბრიგადა ესაუბრება გლეხებს (სოფ. ქვათანაში, აბაშის რაიონი)

სოიას გამოყენების ტეხნიკა ძლიერ ჩამორჩენილია ჩვენში, და ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

სოიაში იმყოფება ისეთი ნივთიერება, რაც არის ხორცში. შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ხორცეულის დიდი სიმცირეა, სოიას საშუალებით ხორცის კრიზისი გადალახულია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოიაში ვიტამინები. სოიადან ამზადებენ რძეს და ყველს.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, სოიას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, როგორც ცხიმის მისაღებ მასალას, სოიაში საშუალოთ 18 პროც. ცხიმია და დიდი მოხმარება აქვს საპნის მრეწველობაში. დღევანდელ პირობებში, როდესაც დიდი მოთხოვნილებაა ცხიმებზე და სხვა ცხილით მდიდარ პროდუქტებზე, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოიას კულტურას ჩვენში.

საქართველოში განსაკუთრებული კარგი კლიმატიური პირობებია სოიას კულტურისათვის.

საქართველოში მიღებული სოიას მოსავალი საჭიროა პირველ ხანებში გამოყენებული იქნას კავშირის სხვა რესპუბლიკებისათვის, სადაც სოიას კულტურას არა აქვს ასეთი ხელსაყრელი კლიმატიური პირობები დამწიფებისათვის, როგორც სათესლე მასალა; ამ მხრივ საქართველო უნდა გახდეს სათესლე სოიას საექსპორტო კუთხედ კავშირის სხვა რესპუბლიკებისათვის, რომ ადვილად შესრულებული იქნას სოიას კულტურის 1.500.000 ჰექტარზე გავრცელების გეგმა ხუთი წლის განმავლობაში.

აგრონ. ვლ. ხოფერია.

12 ვაგონი გუთანი

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ საბჭოთა ქარხნებიდან ამიერ-კავკასიისათვის გამოგზავნილია 12 ვაგონი გუთანი.

ყოველდღიურად თბილისში მიღებული იქნება სამ-სამი ვაგონი გუთანი.

ჩაის კოლმეურნეობები აჭარისტანში

(ჩვენი ბათომელი კორესპონდენტისაგან)

ჩაის კულტურის განვითარებამ აჭარისტანი უნდა გადააქციოს საქართველოს ცეილონად. მეურნეობის ამ დარგის განვითარება უნდა მოხდეს ჩაის კოლმეურნეობათა მოწყობის საფუძველზე. ჩაის კოლმეურნეობებში ჩაბმული იქნება მოჯამაგირეობა და ღარიბ-საშუალო გლეხობა.

აჭარისტანში ამჟამად მიმდინარეობს ღარიბი გლეხების გადმოსახლება მთა-გორიან ადგილებიდან დაბლობებზე. გადმოსახლების მიზანია ჩაის კოლმეურნეობათა შექმნა საჩაიე რაიონებში.

მიმდინარე წლის განმავლობაში ხულოს და ქედის რაიონებიდან გადმოსახლებული იქნება 400 კაცი. ჯერ-ჯერობით გადმოსახლებულია 170 კომლი. მათი მიწადმოწყობა სწარმოებს ბათომ-ქობ. რაიონებში: სახელდობრ: გონიოს, ჩაქვის და ქობულეთის თემებში. გადმოსახლებული გლეხები უნდა გაერთიანდნენ კოლექტივებში. მათ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩაის კულტურას. ყოველი გლეხის ოჯახმა უნდა გააშენოს ერთი ჰექტარი ჩაი.

საკავშირო მთავრობის მიერ აჭარისტანში ჩაის კოლმეურნეობათა მოსაწყობად და სამელიორაციო-საგზაო მშენებლობის ჩასატარებლად გადადებულია 650.000 მანეთი. აქედან 250.000 მან. დაიხარჯება ახალი საჩაიე რაიონების გასაწმენდათ ტყეებისა და ბუჩქნარისაგან. დანარჩენი თანხა დაიხარჯება სამელიორაციო-საგზაო მშენებლობაზე. თვითეულ გლეხს ეძლევა 700 მანეთი. აქედან—250 მან. ერთი ჰექტარი მიწის გასაწმენდათ, დანარჩენი კი, სახლის ასაგებად. შენდება ორ-თვლიანი სახლები, ეწყობა სამოსახლო ეზოები, სადაც გაშენდება სხვადასხვა ხეხილის ბაღები.

ვ.

სოფლად გასაგზავნად გამზადებული ტრაქტორები

კუს ნაბიჯით

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს ბრიგადა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს პროფკავშირების მუშაობა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადების დარგში.

ჯერ-ჯერობით ჩვენ გავეცანით ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს და ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა საგზაო კომიტეტის მუშაობას და უნდა ვსთქვათ, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებში ჩვენ ვერ შევხვდით ნამდვილ ცოცხალ მუშაობას, ისეთ მუშაობას, რომელიც შეეფერება გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიას. მუშაობა მიმდინარეობს ძველებურად. ბევრი ქაღალდი იწერება, იმართება სხდომები და თათბირები, ცოცხალი საქმე კი არ სჩანს.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში თითქოს პასუხისმგებელი მუშაკები არც კი იცნობენ იმ მუშაობას, რომელსაც კავშირები ატარებენ გაზაფხულის თესვისათვის მზადების დარგში. ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კუზნეცოვმა, რომელსაც ჩვენ მივმართეთ ცნობებისათვის, გაგვაგზავნა საორგანიზაციო განყოფილების გამგესთან ამ. ხარაბაძესთან, უკანასკნელმა კი, როდესაც ჩვენ მასთან გამოვცხადდით, მოიწვია კიდევ ერთი მუშაკი, რომელიც მოვიდა მთელი დასტა ქაღალდებით და უნდოდა მათი წაკითხვა ჩვენთვის.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ რესპუბლიკურ პროფსაბჭოებს დაუგზავნა მთელი რიგი დირექტივები მუშების ჩაბმის შესახებ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. მაგრამ ამ დირექტივების შესრულების შემოწმება დაავიწყდა. ამხ. კუზნეცოვმა ჰკითხა ჩვენ, რომ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ ადგილებს გაუგზავნა დირექტივა იმის შესახებ, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად გამოიყენონ რკინის გზის სახელოსნოები. მაგრამ როგორ შესრულდა ეს დირექტივა, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ არაფერი არ იცის, მიუხედავად იმისა, რომ დირექტივის გაგზავნიდან, ამხ. კუზნეცოვის სიტყვით, გავიდა არა ნაკლებ 2 კვირისა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. საბაშვილმა კი ჩვენ გაგვიცხადა, რომ არავითარი დირექტივა პროფსაბჭოდან მათ არ მიუღიათ. რკინის გზების გამგეობა, რკინისგზელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მითითების თანახმად, შეეკითხა სათანადო ორგანოებს, თუ როგორი სახელოსნოები უნდოდათ მათ გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად. ბიუროკრატიული მიმოწერა გრძელდება, საქმე კი სდგას, რადგანაც საგზაო კომიტეტს არავითარი პასუხი არ მიუღია ამ შეკითხვებზე.

რაც შეეხება ვაგონ-კლუბების გადაკეთებას აგრო-ვაგონებათ თესვის კამპანიის განმავლობაში, საგზაო კომიტეტს განზრახული აქვს ამ საკითხზე მოიწვიოს სპეციალური თათბირი იმის მაგივრად, რომ ცოცხალი საქმე გააკეთოს (დაამყაროს კონტაქტი სათანადო ორგანიზაციებთან, მოიწვიოს საჭირო ძალები, გამონახოს თანხები და სხვ.).

თუ რას აკეთებენ ქვედა საფეხურის ორგანიზაციები თესვისათვის მზადების დარგში, ამის შემოწმება საგზაო კომიტეტს განზრახული აქვს პრეზიდიუმის მომავალ გაფართოებულ სხდომაზე. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არ გაგზავნა საგზაო კომიტეტმა რომელიმე პასუხისმგებელი მუშაკი ადგილებზე მუშაობის სახელმძღვანელოთ, ამხ. საბაშვილმა განაცხადა, რომ საგზაო კომიტეტის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო შემოდგომის ტვირთების გადაზიდვაზე. რასაკვირველია, შემოდგომის ტვირთების გადაზიდვა ტრანსპორტელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ მაინც ამხ. საბაშვილი სათანადოთ ვერ აფასებს გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მნიშვნელობას.

არავითარი ზომები არ არის მიღებული საგზაო კომიტეტის მხრიდან ინჟინერ-ტეხნიკოსების ჩასაბმელად თესვის მოსამზადებელ მუშაობაში. ამავე დროს საკავშირო მასა გაცხოველებით ემზადება მომავალ კამპანიისათვის. საჭიროა საკავშირო ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების ამ მოძრაობას, რომ საერთო ფრონტით ჩაებან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში.

საკავშირო პროფსაბჭოს ბრიგადის წევრი
კარანუღვი.

გაზაფხულის თესვის მოსამზადებელი მუშაობის დეფექტები

(თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის სხდომაზე)

სოფლის მეურნეობის დონის ამაღლებისათვის აუცილებელია მიწის დამუშავების ტეხნიკის გაუმჯობესება, რაც უნდა განხორციელდეს გაუმჯობესებული იარ.-მანქ. გამოყენების გზით. გაუმჯობესებულ იარაღ-მანქანების რაოდენობა ჩვენში საგრძნობლად შეზღუდულია და ამიტომ აუცილებელ საჭიროდ არის ცნობილი მათი მაქსიმალურად დატვირთვა და მაქსიმალური სარგებლიანობით გამოყენება. რამდენი შემთხვევაა, რომ ესა თუ ის მანქანა-იარაღი, მცირე დაზიანების გამო, გამოუყენებელი რჩება წლების განმავლობაში, ვინაიდან სათანადო სახელოსნოები არ მოიპოვება და იარაღ-მანქანების შეკეთებაც ვერ ხერხდება.

ასეთ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ხელმძღვანელმა ორგანოებმა საჭიროდ სცნეს შემკეთებელ სახელოსნოების ქსელის გაფართოება. ამ მიზნით გაღებულია საგრძნობი თანხები და შექმნილია შემკეთებელ სახელოსნოების საკმაოდ დიდი მოწყობილობა. საინტერესოა რამდენად არის გამოყენებული მთელი ეს მოწყობილობა.

სოფ. კავშირის წარმომადგენლის ამხ. ვ. ბახტაძის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მთელი რიგი სახელოსნოების აგება (გორი, სანდარი, ზუგდიდი) შეჩერებულია სააღმშენებლო მასალის სიმცირის გამო. გორის სახელოსნოს მოწყობილობა მიღებულია ორი წლის წინად და აქამდე უმოძრაოდ აწყვია საწყობში, ვინაიდან ახალი შენობის დამთავრება ვერ ხერხდება (ხე-ტყის მასალის სიმცირის გამო).

ამ რამდენიმე დღის წინად მთავრობის მიერ გაცემულია განკარგულება, რომ სას.-სამ. იარაღ-მანქანების შესაკეთებლად გამოყენებულ იქნეს ყოველგვარი სამისოდ გამოსადეგი სახელოსნო (რკინის გზის, „ზაკავტოპრომტორგი"-ს და სხ.) სოფლის კავშირს კი სახელოსნოების მოწყობილობა ჩაუყრია საწყობში და დამშვიდებული უცდის, სანამ არ მისცემენ მასალებს ახალი სახელოსნოების ასაგებად.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მუშა-საქონლის შეძენის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი მწვავედ სდგას ყოველი თესვის კამპანიის წინ. მაგრამ გაივლის თესვის კამპანია და მაზე აღარავინ ზრუნავს. ეს საკითხი ეხლაც მწვავედ სდგას თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის წინაშე. მუშა-საქონლის დამამზადებელ ორგანიზაციებს მიცემული აქვთ სასწრაფო განკარგულება თესვის კამპანიისათვის შეიძინოს მუშა-საქონლის განსაზღვრული რაოდენობა. კერძოთ დასავლეთ საქართველოს მესაქონლეთა კოოპ. ამხ. შეიძინოს 400 უღელი ხარი.

ამხ-მა „მეჯოგე"-ს წარმომადგენელმა ამხ. ქ. გვაჯავამ სამართლიანად უსაყვედურა კომისიას, რომ მუშა-საქონლის შეძენის საქმეში დაცული არ არის არავითარი გეგმიანობა და მიზანშეწონილობა.

როგორც ვიცით, მუშა-საქონლის დამზადების ოპერაცია „მეჯოგე"-მ გასულ წელს დამაკმაყოფილებლად ჩაატარა—შეიძინა 100 უღელი ხარი. ამის შემდეგ მან აღძრა შუამდგომლობა მიეცათ მისთვის სახსრები მუშა-საქონელზე კონტრაქტაციის ჩასატარებლად, რაც საშუალებას მისცემდა „მეჯოგე"-ს უფრო დამშვიდებით ჩაეტარებია ოპერაცია და საქონელიც ჯეროვნად შეერჩია.

ამ შუამდგომლობის საპასუხოდ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის და სახკომსაბჭოს დადგენილებით „მეჯოგე"-ს კონტრაქტაციის ჩატარება დაევალა 500 უღელ ხარზე. ამავე დროს სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სასოფლო-სამეურნეო ბანკს მუშა-საქონლის საკონტრაქტაციო ავანსების გასაცემად მიეცა „მეჯოგე"-სათვის 50.000 მანეთი. როგორც ამხ. გვაჯავამ განაცხადა, ეს ფული „მეჯოგე"-ს დღესაც არ მიუღია და სას.-სამ. ბანკს იგი თავის საკრედიტო გეგმაშიაც კი არ შეუტანია.

კონტრაქტაციის თავის დროზე ჩატარებით „მეჯოგე" შესძლებდა მუშა-საქონლის მეტი რაოდენობით და შედარებით ნაკლებ ფასებში დამზადებას. მაგრამ ამის საშუალება მას არ მიეცა, რის შედეგადაც ოპერაციაზე ზედმეტი რამოდენიმე ათეული ათასი მანეთი დაიხარჯება.

შევიტანე მიწები კოლექტივებში

ამჟამად პარტიისა და ხელისუფლების ყურადღება სრულიად მიპყრობილია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ, რომელიც ერთად ერთი საშუალებაა ღარიბი და საშუალო გლეხობის ხსნისათვის. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ უდიდესი მოძრაობის გარეშე დავრჩეთ და ჩვენი წვლილი არ შევიტანოთ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში. ჩვენი სახნავ-სათესი მიწები და უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს სოფელ ვანში, შეგვაქვს ვანის კოლმეურნეობაში. ამას გარდა აღნიშნულ კოლექტივს ყოველთვიურად უწერთ თითო ცალს გაზ. „კომუნისტს", „მუშას", „მოჯამაგირის ხმას", „ახალ სოფელს", „სოციალისტურ შეჯიბრებას" და ჟურნალ „ტეხნიკა და შრომას".

ვთხოვთ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს: დავით კალანდაძეს, სევერიანე გოგუაძეს, ეფემტე გვარჯალაძეს, ბიქტორ გოგუაძეს, შიო დოლიძეს, მელიტონ ჩხიკვიშვილს, ლეონ წერეთელს, ვლადიმერ იბრალიძეს, სიმონ ბაქრაძეს, პლატონ გრიგოლიას, პავლე გუგუშვილს და პიმენ ბაქრაძეს.

პოლიკარპე მახარაძე, ბენია მახარაძე.

—:—

მე ვარ მე-4 კურსის სტუდენტი სოფ. საგურამოდან. დედასთან და ძმებთან გაყრის შემდეგ ჩემს ხვედრ წილს—სახლს და ვენახს, დაახლოვებით ერთი მეოთხედ დესეტინას, ვრიცხავ კოლექტივიზაციის ფონდში და იქვე მოუწოდებ ჩემს დედას ნინო მთვარაძეს და ამხანაგებს არჩილ სონიშვილს, გიორგი მეზვრიშვილს, ალექსანდრე მეზვრიშვილს, ალექსანდრე ბედიაშვილს და ყველა ადგილობრივ კულტურულ ძალებს.

სიმონ მთვარაძე.

ჩემს მფლობელობაში მყოფი მიწები შემაქვს სოფელ ბოლიითის კოლექტივში (ოზურგეთის მაზრა) და ვიწვევ ბოლიითის კომუჯრედის ყველა წევრებს.

იაშა ანთიძე.

—:—

მე მაქვს ქალაქ ლანჩხუთში სამოსახლო და სახნავ-სათესი მიწა, რომელიც შემაქვს მთლიანად ლანჩხუთის კოლექტივში და ვსთხოვ ლანჩხუთის აღმასკომს ხსენებული მიწები ჩაიბაროს.

ანნა წილოსანი.

ამხ. შ. ანდღულაძის გამოწვევით შემაქვს სოფ. ბოლიითის კოლექტივში ჩემი წილი სახნავ-სათესი მიწა და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გრიგოლ მგალობლიშვილს, ტარასი მგალობლიშვილს, სერაპიონ თავდგირიძეს, იასონ გიორგაძეს, სიმონ ლომთათიძეს, კლიმენტი აბუსერიძეს, ნიკიფორე შარაშენიძეს, რაჟდენ მუავანაძეს, გერმანე ჩხიკვაძეს და ვლადიმერ ჭანტურიას.

აფთონ ანთიძე.

—:—

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხნის მუშა არშაკ ტატიაშვილს თავისი მიწა, მდებარე სოფ. გრაკალში, შეაქვს აღნიშნული სოფლის კოლექტივში და ამავე მიზნით იწვევს მასთან ერთად მომუშავეებს: გეურქა ტატიაშვილს, ვაგუცა გიგოლაშვილს, ტიგკა ტატიაშვილს, საკო გიგილაშვილს, ვანო გიგილაშვილს, არშაკ მამაჯანაშვილს და გიორგი რაკალეიშვილს.

სადგ. აბაშა. გაზაფხულის თესვისათვის მიღებულ სას.-სამ. მანქანების და სათესლე ხორბლის გადმოტვირთვა ვაგონებიდან

როგორ უნდა ჩატარდეს მიწადმოწყობა კოლმეურნეობებში

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის სწრაფი ზრდის გამო, 1929 წლის აპრილში დამტკიცებული კოლმეურნეობათა მიწების მოწყობის წესი უკვე უვარგისი აღმოჩნდა და კოლექტიურ მეურნეობათა მიწადმოწყობა თანდათან ჩამორჩა კოლექტიურ მეურნეობების ზრდას.

ამის გამო მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა შეიმუშავა ახალი წესი, რომელიც მაქსიმალურად დააჩქარებს კოლმეურნეობათა მიწების მოწყობას.

ამ წესის მიხედვით, კოლექტიურ მეურნეობათა მიწების მოწყობა ევალება კომისიას საბჭოს წევრის, კოლმეურნეობის წევრის და ამავე სოფლის ღარიბი ან საშუალო გლეხის ან მოჯამაგირის შემადგენლობით. კომისიის ორი უკანასკნელი წევრი არჩეული უნდა იქნას სოფლის საბჭოს მიერ.

კოლმეურნეობებს უნდა მიეცეს (როგორც ხარისხის, ისე მდებარეობის მხრივ) საუკეთესო მიწები. კოლმეურნეობათათვის გადასაცემი მიწები უნდა აირჩიოს მიწადმომწყობმა კომისიამ.

კოლმეურნეობათათვის გადასაცემად არჩეულ მიწის ნაკვეთით მოსარგებლე გლეხს სამაგიერო მიწა გაცვლის წესით უნდა მიეცეს ან კოლმეურნეობაში შესული პირების მიერ დატოვებული მიწებიდან ან საფონდო მიწების მარაგიდან. საფონდო მიწებად არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო საძოვრები, სასოფლო საბალახოები და საახალშენო მიწების მარაგი.

საძოვრებს და საახალშენო მიწების კოლმეურნეობათა მიწადმოწყობის მიზნით გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ნებართვით, ხოლო სასოფლო საბალახოების გამოყენება—სოფლის საბჭოების ნებართვით.

კომისიის დადგენილებით უკმაყოფილო პირთ ნება ეძლევათ კომისიის მოქმედება სამი დღის განმავლობაში გაასაჩივრონ სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოდ ჩაითვლება.

კომისიის დადგენილების გასაჩივრების ვადის გასვლის ან სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, კომისია სათანადო ცნობას უგზავნის ოლქის ან მაზრის აღმასკომს, და მოითხოვს, რათა ადგილზე გაგზავნილი იქნან აგრონომი და მიწადმომწყობი. აგრონომი ადგილზე შეადგენს კოლმეურნეობის მიწადმოწყობის გეგმას.

მიწადმომწყობი აგეგმავს კოლექტივებისათვის გადაცემულ მიწების ნაკვეთებს. ამ გეგმაში აღნიშნული უნდა იქნეს სამელიორაციო ადგილები.

მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონის მიწადმოწყობა

ამ შემთხვევაში, როცა კოლექტიურ მეურნეობაზე გადადის მთელი სოფელი, მიწადმომწყობი კომისია არჩეული უნდა იქნეს 3 ან 5 კაცის შემადგენლობით.

თუ მთლიან კოლექტიურ მეურნეობაში ერთდება ორი ან რამოდენიმე სოფელი, კომისია გამოყოფილი უნდა იქნას შემდეგი შემადგენლობით: სარაიონო სამიწადმოქმედო განყ. გამგე, კოლმეურნეობათა კავშირის წარმომადგენელი, მიწადმომწყობი, აგრონომი და სოფლების თითო წარმომადგენელი ამ სოფლის საბჭოს წევრებიდან.

კომისიას ევალება გამორკვიოს კულაკური მეურნეობანი და მიიღოს სათანადო ზომები კულაკურ მეურნეობათა მიწების და საწარმოო საშუალებების კოლმეურნეობათათვის გადასაცემად.

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

„კომუნისტი"-ს ბრიგადებისა და საკუთარი კორესპონდენტებისაგან

კოლექტივიზაცია გორის ოლქში

გორი, 21 იანვარი. ბორჯომის რაიონის მთლიან კოლექტივიზაციის რაიონათ გამოცხადების შემდეგ რაიონში მცხოვრებ კულაკებმა გააცხოველეს ღარიბ გლეხებში პროვოკაცია კოლექტივების წინააღმდეგ. ასეთი პროვოკაცია უწარმოებია სოფელ რველის კულაკ თაქთაქიშვილს, რის შედეგადაც რველის ღარიბ და საშუალო გლეხობამ ბორჯომის რაიაღმასკომში შეიტანა განცხადება კოლექტივში შესვლელობის შესახებ. მდგომარეობის გამოსარკვევად გაგზავნილი იქნა რამდენიმე ამხანაგი, რომელთა ახსნა-განმარტების შემდეგ გლეხებმა ხელმეორედ გამოიტანეს დადგენილება სოფლის მთლიან კოლექტივათ გამოცხადების შესახებ და მოითხოვეს კულაკების გაძევება სოფლიდან. ამჟამად სწარმოებს კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაცია ბორჯომის რაიონში.

გორის ოლქის კულაკობას რაიონის აღმასკომებში შეაქვთ განცხადებები კოლექტივში შესვლის შესახებ, მაგრამ ღარიბი და საშუალო გლეხები კულაკებს არა თუ უშვებენ კოლექტივში, არამედ სწარმოებს მათი მეურნეობის სრული ლიკვიდაცია. კასპის რაიონში კულაკები მასიურად სტოვებენ სოფლებს. კულაკების მუშა-საქონელი ნაწილობრივ მოსავლელად გადაცემულია კოლექტივებზე. განზრახულია მოეწყოს სახარკამეჩო კოლონები.

ქვემო ჭალის თემში დღემდე ირიცხებოდა 10 სასოფლო-სამეურნეო არტელი და 2 კომუნა, ამჟამად ჩამოყალიბებულია 23 სასოფლო-სამეურნეო არტელი. სწარმოებს მუშაობა მთელი თემის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასაყვანად. კოლექტივების ჩამოყალიბებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ არსებული არტელების წევრები. სამთავისის კომუნის წევრებს განზრახული აქვთ მთელი სოფელი გააერთიანონ კომუნაში. ამ მხრივ კომუნის წევრები უკვე აწარმოებენ გაცხოველებულ მუშაობას სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხობაში.

ბორჯომის რაიონში გაზაფხულის თესვის ჩამტარებელმა შტაბმა სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია ხაშურის რაიონის შტაბი. შეჯიბრების პირობებია საგაზაფხულო თესვის მოსამზადებელი მუშაობის წარმატებით ჩატარება, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის გაცხოველება მათი სრული ლიკვიდაციის მიზნით, რაიონის ყველა სოფლების გაერთიანება კოლექტივებში და საგაზაფხულო თესვის გეგმის ასი პროცენტით შესრულება.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

მოითხოვენ კულაკების გადასახლებას

სამტრედია, 21 იანვარი. 20 იანვარს ორდღიან შეკრებაზე გამოცხადებულ ცვლილებად წითელარმიელთა საერთო კრებამ, რომელსაც 200 კაცი დაესწრო, მოისმინა მოხსენება სასოფლო-სამეურნეო კამპანიისა და ღარიბთა ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

კრება აღფრთოვანებით შეხვდა სამტრედიის რაიონში აგრო-ინდუსტრიალური კომბინატის დაარსების საკითხს და ერთხმად დაადგინა ყველასი გაერთიანდნენ კოლმეურნეობებში. კრებაზედვე ჩაეწერა რამდენიმე ცვალებადელი კოლექტივში. წითელარმიელები მოითხოვენ კულაკების, როგორც კლასის, მოსპობას და მათ გამოსახლებას მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებიდან.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

ესალმებიან თბილისის მუშების ინიციატივას

სამტრედია, 21 იანვარი. 21 იანვარს შესდგა სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ქარხნის მუშების კრება ლენინის გარდაცვალების 6 წლის თავის აღსანიშნავად. კრებამ მოისმინა ინფორმ. თბ. მუშების მიერ კოლექტივებზე მიწების გადაცემის შესახებ. კრება ერთსულოვნად გამოეხმაურა თბილისის მუშების ნაბიჯს. კრებაზე თავიანთი მიწების კოლექტივებზე გადაცემის განცხადება შეიტანეს ქვემოდ ჩამოთვლილმა მუშებმა: კალაძე ბესარიონი, ხუტავა ვლადიმერ, ბაზტაძე ალექსანდრე, კოპალეიშვილი შალვა, ორმოცაძე გედევანი, ხუტუა აბესალომ, ხარაბაძე ლიუბა, ხუტუა მიხეილ, ნაფეტვარიძე პოლიკარპე, ნუცუბიძე სამა, ძნელაძე თამარა, ბალანჩივაძე ბაბილინა, ნიკოლეიშვილი ალექსანდრე, გრიგოლია კოსტა, ხუტუა იოსები, ვაშაკიძე ბაბილინა, ხინჭკირია სალიკო, კაკაჩეიშვილი ოლია, ნიჟარაძე შურა, ლეჟავა ალექსანდრე, ცაგურია ელენე, აბობაძე ელენე, ჩიქოვანი თამარა, ხუტუა ვერა.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

—:—

გუშინ, 21 იანვარს, მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგა სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხნის მუშების საერთო კრება, რომელმაც დაადგინა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად გაგზავნოს სოფლად მომზადებული მუშები კოლექტივიზაციის და გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად. კრება მიღებულ რეზოლიუციაში ავალებს ამ მუშებს დაუნდობელი ბრძოლა აწარმოონ კლასობრივი მტრების—კულაკების წინააღმდეგ.

სტალინის სახელობის ქარხნის 250-დე მუშამ, რომელთაც კავშირი აქვთ სოფელთან, ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად თავიანთი მიწები გადასცეს კოლექტივებს და გამოიწვიეს ქარხნის დანარჩენი მუშები (რომელთაც კავშირი აქვთ სოფელთან) მიბაძონ მათ მაგალითს.

მემარჯვენე გადახრის ფაქტები

გორი, 21 იანვარი. (საქ. კორ.). 23 იანვარს გორში დაიწყება ს. საცხის კულაკ ვაშაძის საჩვენებელი გასამართლება. ვაშაძემ დაჰკრა ამავე სოფლის ღარიბი გლეხი ნანეტაშვილი. პასუხისგებაში მიცემულია 1 კომკავშირელი და მილიციელი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს კულაკს სოფლიდან გაპარვაში და ღარიბი გლეხის დაჭრაში.

სოფელ ვარდისუბანში (ხაშურის რ.), კულაკმა გოგიტაშვილმა წარმოადგინა საბუთი, ხელმოწერილი პარტიისა და საბჭოს წევრების მიერ და აგრეთვე შემადგენლობის დაბეგვრისაგან განთავისუფლების შესახებ. ს. ქვემო-ქედისუბანში კულაკ ელბაქიძეს დაბეგვრის წინააღმდეგ გაილაშქრა კულაკის ცოლის ძმამ—პარტიის წევრმა ხუბაძემ და აგრეთვე კომკავშირელებმა: არჩილ არხაშვილმა, ბერუაშვილმა, იასონ ელბაქიძემ, გიორგი ხუზიაშვილმა, ბარნაძემ.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ დასვა საკითხი მათი პარტიიდან და კომკავშირიდან გარიცხვის შესახებ. აღმოჩენილია ახალი კულაკური მეურნეობანი, რომლებიც წინად რაღაც გაუგებრობით არ ყოფილან დაბეგრილი.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

კოლექტივები ჩოხატაურის რაიონში

ჩოხატაური, 20 იანვარი. (საქ. კორ.) ჩოხატაურის რაიონში ჩამოყალიბებულია 7 ახალი კოლექტივი. ამას გარდა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის განმავლობაში გამსხვილებული იქნება არსებული კოლექტივები. დღემდე ჩაის ახალი კოლექტივები ჩამოყალიბებულია ზემო ფარცხმაში, სადაც გაერთიანებულია 34 მეურნეობა, შუა ფარცხმაში—25 მეურნეობა და ბუთურში —20 მეურნეობა. კოლექტივებში მრავლად შედის ღარიბ და საშუალო გლეხების განცხადებები წევრად მიღების შესახებ. კოლექტივების ზრდას აბრკოლებს მიწების დაქუცმაცება, ამიტომ საჭიროა მიწადმოწყობის დაჩქარება.

გაზაფხულზე განზრახულია ჩამოყალიბდეს 2 თამბაქოს და 1 კარტოფილის კოლექტივი. გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმა ითვალისწინებს მოსახლეობის 80 პროც. გაერთიანებას კოლექტივებში.

შედგენილია დამკვრელი ბრიგადა მჭედლების, ზეინკლების, აგრონომების და სხვ. შემადგენლობით. ბრიგადა უფასოდ შეაკეთებს გლეხების სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები პროვოკაციას ავრცელებენ კოლმეურნეობათა წინააღმდეგ. მიღებულია ზომები მათ ასალაგმავად.

კულაკების ხრიკები

წითელი-წყარო, 20 იანვარი. (სპეც. კორ.) 20 იანვარს სოფ. წითელ-წყაროში ჩატარდა ღარიბ გლეხთა კრებები მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის საკითხის განსახილველად. სოფელ ჯაფარიძეში კულაკები დარაზმულად მოვიდნენ კრების ჩასაშლელად. მაგრამ მჭიდროთ შეკავშირებულმა ღარიბებმა და მოჯამაგირეებმა კულაკები გააძევეს კრების დარბაზიდან. კულაკები შეეცადნენ თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინათ შეუგნებელი ღარიბი გლეხები, დაათვრეს ზოგიერთი მათგანი და მათი საშუალებით ცდილობდნენ გატარებინათ კრებაზე კულაკური აზრები. იყო აგრეთვე კომკავშირელების მერყეობის შემთხვევებიც.

სოფ. ლენინოვკაში საბჭოს წევრები ვერ არიან აქტიურად ჩაბმული კოლექტივიზაციის ჩატარების საქმეში. მიუხედავად ამისა, ღარიბთა და მოჯამაგირეთა კრებამ დაადგინა მთლიანად გადავიდეს არტელზე. წითელ-წყაროს ქალთა სადელეგატო კრებამ დაადგინა ხელი შეუწყონ თავიანთ ქმრებს მასიურ კოლექტივიზაციაზე გადასვლის საქმეში.

შ.

კოლექტივი სოფ. შალაურში

თელავი, 21 იანვარი (საქ. კორ.) სოფელ შალაურში ითვლება 310 კომლი. ერთი წელიწადი არსებობს კოლმეურნეობა, მაგრამ წევრთა რიცხვი 20-25 არ აღემატებოდა. ამ ბოლო დროს გლეხობამ ნათლად შეიგნო კოლმეურნეობის მნიშვნელობა და იწყო მასიური შესვლა კოლექტივში. ერთი კვირის განმავლობაში კოლექტივში შევიდა 208 კომლი ანუ 845 მცხოვრები, მთელი მიწების და მკვდარი და ცოცხალი ინვენტარის გაერთიანებით. ჯერ-ჯერობით გაერთიანებულია 300 ჰექტარი სახნავი მიწა, 35 ჰექტარი ვენახი და 210 მსხვილფეხა საქონელი. კოლექტივში მიღება გრძელდება.

მან—ლი.

ქალთა ბრიგადები

ოზურგეთი, 21 იანვარი. გუშინ საღამოს შესდგა ქალთა თათბირი, რომელმაც მოისმინა მოხსენება ქალთა მონაწილეობის შესახებ თესვაში და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში. თათბირმა გამოჰყო ქალთა სამი ბრიგადა ჩოხატაურის, ოზურგეთის და ლანჩხუთის რაიონებში გასაგზავნად. გაიგზავნება 15 აქტივისტი ქალი.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

6 სოფელი მთლიან კოლექტივიზაციაზე

გორი, 21 იანვარი. ხაშურის თემში შემავალი 6 სოფელი გადავიდა მთლიან კოლექტივიზაციაზე. ღარიბების და საშუალო გლეხობის ლტოლვა კოლექტივისაკენ დიდია. სოფ. ბიტარში არის ორი კულაკი გვარად ხეთაგურები, ქარდების შემხაპელენი და ყოფ. ვაჭრები, რომლებიც საჯაროდ ილაშქრებენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ და აგიტაციას ეწევიან გლეხებს შორის. ხეთაგურებმა დაიმუქრეს ადგილობრივ გლეხებს: მოიცათ, მოვიდეს ზაფხული, ხომ ფოთოლი გამოისხას და მაშინ გიჩვენებთ სეირსო. ხეთაგურები დაპატიმრებულია. ბაკურიანის თემის ამ ექვს სოფელში სულ 6 კულაკია, რომლებსაც შეკრული აქვთ ბლოკი კოლექტივის წინააღმდეგ. მათ ასალაგმავად მიღებულია სასტიკი ზომები.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

გათავხედებული კულაკები სასტიკად უნდა დაისაჯონ

ზუგდიდი, 20 იანვარი. (საქ. კორ.) მშრომელი გლეხობის მასიურ კოლექტივიზაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით გაძლიერდა კულაკების ბრძოლა კოლექტივების წინააღმდეგ. მშრომელი გლეხობა ერთხმად მოითხოვს კულაკების გადასახლებას მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებიდან. ამ ნიადაგზე მოწვეულ ღარიბ გლეხების კრებიდან 19 იანვარს ღამით ბრუნდებოდა ჩაქვინჯის ჩაის კოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. რომა ჩუხუა. მას გზაში დახვდნენ კულაკები და სასიკვდილოთ დასჭრეს. გლეხობა მოითხოვს გათავხედებულ კულაკების სასტიკად დასჯას.

გუშინ სამაზრო კომიტეტის მდივანს ამხ. ჟვანიას ესტუმრნენ ორჯონიკიძის სახელობის ა. კავკასიის სამხედრო სკოლის და ბაქოს მუშათა ბრიგადები, რომლებიც მიემგზავრებიან მაზრის სხვადასხვა სოფლებში თესვის კამპანიის და კოლექტივიზაციის ჩასატარებლად.

ა. ქ.

ახალი კოლექტივები სუჯუნის თემში

აბაშა, 21 იანვარი. (სპეც. კორესპ.) წითელარმიელთა ბრიგადის ენერგიული მუშაობით სუჯუნის თემში გუშინ ორგანიზაციულად გაფორმებული იქნა შემდეგი კოლექტივები: სოფ. სახოდიოში ჩამოყალიბდა ამხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა 30 წევრით და ამხ. მ. კახიანის სახელობის კოლმეურნეობა 42 წევრით; სოფელ წალიკანში დაარსდა ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა 33 წევრით, სოფელ გაღმა-ზანაში ჩამოყალიბდა ამხ. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა 30 წევრით და ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კოლექტივი 25 წევრით. სოფ. ეწერში დაარსდა ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა 18 წევრით.

დღეს გაფორმებული იქნება კოლმეურნეობები სოფელ სახოშტარიოში, გაღმა ზანაში, შუა ზანაში და სუჯუნაში.

დ. ლომაძე

გაზაფხულის სას.-სამ კამპანიის ჩასატარებლად ადგილებზე მიდიან პასუხისმგებელი მუშაკები

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩასატარებლად, გარდა უკვე გაგზავნილ პასუხისმგებელ მუშაკებისა, ც. კ-ი ადგილებზე დამატებით გზავნის შემდეგ ამხანაგებს:

კახეთის ოლქში.

გოგუაშვილი, დავიდხანოვი, შიშნიაშვილი, ბერბერაშვილი, ტულუში, ზირაქაშვილი, სარუხანოვი, აბეგანოვი, ბუხნიკაშვილი, გოგიტიშვილი, მჭედლიშვილი (გლეხთა სასახლე), ნინო მგელაძე, კერესელიძე, ლ. კვირკველია, სალტხუციშვილი, ჩიხრაძე—(სამ.ტრამპ.), სირაძე (შრ. სახკომ.), კუზნეცოვი (სტამბა), ჩხიკვიშვილი (სახალ. დაზღვევა), მამარდაშვილი (ლუდის ქარხ.) ცქიტიშვილი („რომედისი"), ხუციშვილი, ხიხაძე, მარიამიძე, დუდუჩავა (ცეკავშირი) და სიხარულიძე („მუშა").

გორის ოლქში

ი. ბუჩაიშვილი, კ. კანდელაკი, სიხარულიძე (თბ. კომიტ.), აპოლ. ჯაფარიძე, გოზალოვი (საქ. პ.კ. საბჭო), მთვარელიძე (განსახკომი), გოგოლაძე (მიწსახკომი), რუხაძე (მიწსახკომი), ტყეშელაშვილი (დიეზა), შახნაზაროვი (პოლიგრაფტრესტი), პონტიძე, ბ. ჩხარტიშვილი, (სახკომსაბჭო), მიხ. ცინცაძე, კოპაძე (არქივი), ლოლობერიძე (მუშკოოპი), დოიდჯაშვილი (თავდაცვა ავიაქ.), ფურცაძე (ს.მ.უ.ს.), სერგო მდივანი და მელქაძე, (გან. განყ.).

ქუთაისის ოლქში.

კაკაბეიშვილი (სოფლის კავშირი), ქაჯაიაძე (ს.მ.უ.ს.), ვაშაკიძე (თელასი), კამკამიძე—(ტელ. ქსელი), ბ. ბერია, ჯორბენაძე (სოც. უზრ. კომისარ.), დეკანოსიძე (სახკინმრეწვი). ჰარკაძე, თოთეიშვილი, აბესაძე (ცეკავშირი), ჩახვაძე (მიწსახკომი), კ. ხარაბაძე (იუსტ. სახ. კომისარ.), ვალ. ვაშაკიძე, სანაძე (მუშკოოპი), მარგალიტაძე, ვიქტ. სიხარულიძე, ნიკ. მახა[illegible] უზრ. კომისარ.), დეკანოსიძე (სახკინმრეწვი), რამიშვილი.

ზუგდიდის მაზრაში.

გაბისონია (ბანკი), ცანავა (თელასი), კიშელავა (მაისტპროდ.), ჯაკონია (სმუს), ალიშია, კლემენტი ცომაია, ნარსია (საბ. და საქ. მუშ. კავშ. ცენტრ. გამ.), ძიგუა (ფეიქ. კავშ. ცენტ. გამ). და დუნდუა (განსახკომი).

ახალციხის მაზრაში

მაღრაძე, (გზატკეცილ. სამმართველო), ამპარი და ომაროვი (ცენტ. აღ. კომიტ.),

სიღნაღის მაზრაში

გეილავა (იუსტ. სახ. კომისარ.), გ. ფანცულაია (განსახკომი), ალ. პაპავიძე, ტუღუში — (ფინსახკომი), ჰიჭინაძე (სახკომსაბჭო), ჩიხოტაძე (საქ. პ.კ.ს.), პ. ბოჭორიძე (ვაჭრ. სახ. კომისარ.), ელიაშვილი (შინსახკომი), ჯაბადარი (შრომ. სახკომი), კაკულია (უზენაეს საბჭ.), სოლოლოშვილი და [illegible] (სახკომსაბჭო).

ოზურგეთის მაზრაში

ჩხარტიშვილი (პოლიტგანყ. მთ. სამმართველო), ჩხეიძე (აბრეშ. ტრესტი), დ. კალანდაძე (სოც. უზრ. კომის.) და მოსე ცინცაძე (სახკომსაბჭო).

სამხრეთ ოსეთში

ხარაბაძე (არტელი „რეკორდი"), მაჭარაშვილი (შინსახკომი), ცაგარეიშვილი, ჩხარტიშვილი (სახკომსაბჭო), შენგელია (ვაჭრ. სახკომისარიატი), შიუკაშვილი (ცენტრ. აღ. კომიტ.), კაჭახიძე (მიწსახკომი), გრიპპი (გზატკეცილ. სამმართველო) და ბუაჩიძე (პროფ. მწერალთა ასოციაცია).

ახალქალაქის მაზრაში.

პეჩიანი, მკრტჩიანი (სტამბა) და ბაგრატიონი, იასონ ბართაია, კალანდაძე (სახ. ვაჭრობა), ილ. ბაქრაძე (რადიო), ბობუა (რადიო), კაკაბაძე (საქ. პ.კ.ს.), გრიგ. მკურნალი (ქალაქის აღმასკომი), სოტაძე (განსახკომი), პაპია (შინსახკომი), კიკნაძე (მუშათა და გლეხთა ინსპ.), შალვა მარგალიტაძე, ჭიჭინაძე (გზატკეცილის სამმართველო), კორ. ბახტაძე (იუსტ. სახ. კომ.), შ. ჰაპაშვილი (აბრეშუმის ტრესტი), ჩაკვეტაძე (პოლიტეხნიკური ინსტიტუტი), ბორის ბერმან, სოლომეილი (თელასი), არტაშ ხაჩატუროვი, (ამხ. კალინინის სახ. ქარხანა), არტაშ არუთიუნოვი (პირველი სტ.), სერ. ბიბინეიშვილი (ცეკავშირის სტამბა), უჩანეიშვილი, ჰაბუკიანი, ლუკავა (ა.-კ. წყ. მეურნეობა), ცაგარელი (ა.-კ. ფინსახკომი), დოლიძე (ა.-კ. ფინსახკომი), ელიავა (ა.-კ. ფინსახკომი), გულბაში (ა.-კ. ს.მ.უ.ს.), ფეოდოროვი (ა.-კ. ს.მ.უ.ს.), ოვსიენკო, ზარემბო და ალიბეგოვი (ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი).

ზემოდასახელებული ამხანაგები თავისუფლდებიან მობილიზაციიდან სხვა ხაზით და ვალდებული არიან გამოცხადდნენ დღეს 22 იანვარს დილის 12 საათზე საქ. პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში საინსტრუქციო თათბირზე დასასწრებლად.

საქ. კ.პ. (ბ) ყველა საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს.

იანვრის 21-ს ყველა პარტკომიტეტებს ეგზავნება ხელმძღვანელი მასალების კრებული

გაზაფხულის სას. სამ. კამპანიის შესახებ

რუსულ ენაზე. დამატებით გადმოგეგზავნებათ: 1) საქ. კ.პ. (ბ) მორიგი ამოცანების შესახებ—მ. კახიანისა, ქართულ და რუსულ ენებზე, 2) კოლმეურნეობათა მშენებლობის შედეგები და პერსპექტივები საქართველოში, ქართულ და რუსულ ენაზე, და 3) საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგების შესახებ—ც. კ-ის სააგიტ.-საპროპ. განყ. თეზისები.

ს.კ.პ. (ბ) ც.კ. საქმეთა მმართველი.

ინჟენერ-ტექნიკოსთა კვირეული დამთავრდა

ინჟენერ - ტექნიკოსებმა კვირეულის ჩატარებაში დიდი აქტივობა გამოიჩინეს. მათ იკისრეს ვალდებულება მოახდინონ რამდენიმე ათასი მუშის ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია. —ინჟენერ - ტექნიკოსები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მუშაობაში ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესასრულებლად

რა შედეგი მოგვცა კვირეულმა

(საუბარი ამხ. ბ. მაჩაიძესთან)

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ინჟენერ-ტექნიკოსთა მუშაკები დღემდე საგრძნობლად ჩამორჩებოდენ მუშათა კლასის აქტიობის ზრდას, ისინი უკან მისდევდენ საწარმოო მუშაობის ტემპს, რაც არასასურველ შედეგებს იძლეოდა. ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ იმის მოწამენი ვართ, რომ ინჟენერ-ტექნიკოსების ერთი ნაწილი დაუახლოვდა მუშათა მასებს. ამჟამად საჭიროა ამ დაახლოვების არა მარტო შენარჩუნება, არამედ მისი განმტკიცება; საჭიროა იყოს ინჟენერ-ტექნიკოსთა პერსონალის ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ინჟენერ-ტექნიკოსთა მუშაკები აქტიურად არიან ჩაბმული ჩვენი ქვეყნის სოც. მშენებლობაში. მათ თავის თავზე მიიღეს მთელი რიგი ვალდებულებები. მუშათა ფართო მასებმა ინჟენერ-ტექნიკოსთა კვირეულის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მუშების მონაწილეობამ კვირეულის ჩატარებაში ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ მათ გაგებული აქვთ ინჟენერ-ტექნიკოსთა როლი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, იმისათვის, რომ მუშათა ფართო მასებს სათანადო წარმოდგენა ჰქონდეს წარმოებაზე, საჭიროა მათი ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია. მუშებში ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია შესაძლებელია მხოლოდ ინჟენერ-ტექნიკოს მუშაკთა დახმარებით. ინჟენერ-ტექნიკოსებმა თავის თავზე აიღეს ვალდებულება, რომ ლიკვიდაცია უყონ მუშების ტექნიკურ უცოდინარობას.

ინჟენერ-ტექნიკოსთა კვირეული დასაწყისია ინჟენერ-ტექნიკოს ძალების ჩვენს წინაშე მდგომ რთულ ამოცანების განხორციელების საქმეში ჩასაბმელად.

ინჟენერ-ტექნიკოსთა კვირეულის მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან საძირკველი ჩაუყარა მუშათა მასების და ინჟენერ-ტექნიკოსების დაახლოვებას და აქტიურად დარაზმა ისინი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში.

აღმოვფხვრათ ტექნიკური უცოდინარობა

საქ. ინჟენერ-ტექნიკოსებმა, ინჟენერ-ტექნიკოსთა კვირეულის ჩატარების დროს იკისრეს რამდენიმე ათასი მუშის ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია. ამ რაოდენობიდან 10 ათასი მუშა მიმაგრებული იქნება ინჟენერ - ტექნიკოსებზე თბილისში, მეორე ათი ათასი კი აჭარისტანში, ოლქებსა და მაზრებში. ამ მიმართულებით აღებული კურსი იმის მაჩვენებელია, რომ ზემოაღნიშნული ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება.

ინჟენერ-ტექნიკოსთა კვირეულის ჩატარების პერიოდში 150 ინჟენერმა და ტექნიკმა განცხადებები შეიტანეს პარტიაში მიღების შესახებ.

საქ. ინჟენერთა და ტექნიკოსების სექციათაშორისო ბიუროს პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. მეტრეველმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ ინჟენერ-ტექნიკოსთა კვირეულის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მშენებელთა, რკინისგზელების, მელითონეთა, კომუნალური, ქიმიკოსთა და მიწა-ტყის კავშირებმა.

მუშათა ფართო მასებმა ინჟენრებს და ტექნიკოსებს წამოუყენეს მოთხოვნილებები იმის შესახებ, რომ პირველ რიგში მათ შორის აღმოიფხვრას აპოლიტიკურობა და ლიკვიდაცია უყონ მუშათა მასების ტექნიკურ უცოდინარობას. ინჟენერ-ტექნიკოსებმა მუშათა ფართო მასების წინაშე პირობა დასდეს იმის შესახებ, რომ ისინი ყოველგვარ ზომებს მიიღებენ დაეხმარონ მუშებს ტექნიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. პროფკავშირის ორგანიზაციებმა ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ინჟენერ-ტექნიკოსებს ამ მიმართულებით სათანადო მუშაობის ჩასატარებლად.

საზეიმო სხდომა მუშათა თეატრში

გუშინ, 21 იანვარს, საღამოს 6 საათზე თბილისის მუშათა თეატრში შესდგა ინჟენერ-ტექნიკოსების სექციათაშორისო ბიუროს უკანასკნელი კრება—ფაბქარხკომის წარმომადგენლებსა და მუშათა აქტივთან ერთად.

ინჟენერ-ტექნიკოსების როლის შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შალვა ელიავამ.

მიმდინარე მომენტში,—სთქვა მომხსენებელმა,—ა.-კავკასიის სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იქნება საგრძნობი თანხები. მიმდინარე წელში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის დაიხარჯება 450 მილიონი მანეთი. შემდეგ წელში კი ეს თანხა, თანდათან გაიზრდება, ჩვენი მუშაობის არე ძალიან დიდია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში ამ მუშაობის ხარისხი არის ცუდი, რასაკვირველია, სახალხო მეურნეობის ასეთ გიგანტიურ მშენებლობაში, როგორიც ჩვენ გვაქვს, ადგილი ექნება შეცდომებს, მაგრამ ჩვენ კარგად უნდა დავიხსომოთ, რომ ისეთი შეცდომები, რომლებსაც წინად ჰქონდა ადგილი, მომავალში არ უნდა განმეორდეს.

რატომ უშვებთ ჩვენ შეცდომებს?

შეცდომები ხდება იმიტომ, რომ მუშათა კლასი, რომელიც ხელისუფლებას სათავეში მოექცა—ტექნიკურად უცოდინარია; ინჟენერების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ მთლიანად შეგნებული არა აქვს ჩვენი მშენებლობის ტემპების მნიშვნელობა. მეცნიერულ-ტექნიკურ მუშაკებში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის კონსერვატიზმი.

მუშათა კლასის ფართო მასების აქტივობა მოითხოვს ინჟენერ-ტექნიკოსების დახმარებას. ინჟენერ-ტექნიკოსებმა არამც თუ უნდა მოახმარონ თავიანთი ცოდნა-გამოცდილება ჩვენს მშენებლობას, არამედ ეს ცოდნა უნდა გადასცენ მუშათა ფართო ფენებს.

—:—

ინჟენერ-ტექნიკოსთა კვირეულის შედეგებზე მოხსენება გააკეთა ინჟენერ-ტექნიკოსთა სექციათაშორისო ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. კორინთელმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კვირეულის მთავარ ლოზუნგებმა,—მუშაობის ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია, თვით ინჟენერ-ტექნიკოსების კვალიფიკაციის აწევა და მათი ფართოდ ჩაბმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, სათანადო გამოხმაურება ჰპოვა, როგორც მუშათა მასებში, ისე ინჟენერ-ტექნიკოსთა პერსონალში.

გარდა ამისა, სიტყვით გამოვიდა საქ. კომკავშირის ცეკას წარმომადგენელი ამხ. ბახტაძე, თბილისის ტრამვაიდან—მუშა ტაგიევი, მელითონე მუშა—რეიზენი, მუშა-მშენებელი—ზიგმანი, ინჟენერ-ტექნიკოსთა სექციათაშორისო ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი მეტრეველი და სხვ. ყველა გამოსული ორატორები ინჟენერ-ტექნიკოსებს მოუწოდებდნენ მათ მიერ დაკისრებულ ვალდებულებათა ცხოვრებაში გატარებაზე.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბ. მაჩაიძემ სთქვა, რომ მუშებმა ინჟენერ-ტექნიკოსებს უნდა მისცენ საერთო პოლიტიკური განათლება, ინჟენერ-ტექნიკოსებმა კი—მუშებს უნდა მისცენ ტექნიკური განათლება, ინჟენერ - ტექნიკოსთა მუშაკები თანდათანობით უნდა გახდენ მუშათა კლასის განუყრელ ნაწილად; მალე დადგება დრო, როდესაც ინჟენერი—მუშების სახელწოდება გახდება, რომელთაც უმაღლესი კვალიფიკაცია ექნება.

დასასრულ საქ. კომკავშირის ცეკასა და ინჟენერ-ტექნიკოსების სექციათაშორისო ბიუროს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება.

ინჟენერ-ტექნიკოსთა სექციათაშორისო ბიურო თავის თავზე ღებულობს მუშებს შორის ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაციას. საქ. კომკავშირის ცეკა ვალდებულად სთვლის თავს ხუთწლედის მეორე ნახევარში, სოციალისტურ შეჯიბრში, ჩააბას მუშა ახალგაზრდობა ასი პროცენტით და სხვა.

ქრონიკა

67.000 მან. „ზაკავტოპრომტორგს"

„ზაკავტომპრომტორგს" მიეცა კრედიტი 67 ათასი მანეთის რაოდენობით ამ.-კავკასიაში ავტომობილების შემკეთებელ ქარხნების, ტიპიურ გარაჟების და სარემონტო სახელოსნოების პროექტების შესადგენად.

სამ.-ოსეთის საკურორტო სამმართველო

სამხრეთ-ოსეთის ჯანსახკომთან მოეწყო საკურორტო სამმართველო, რომლის განკარგულებაშიაც გადასულია სამხ.-ოსეთის ყველა საკურორტო ადგილები, საკურორტო მშენებლობის ტყეები და საძოვრები.

სამმართველოს ინიციატივით წელს აგებული იქნება დასასვენებელი სახლი— ჯავაში, ედისში, ნაგუთნში და ახალ გორში.

ხრონომეტრაჟისტების კურსები

25 იანვრიდან ჭიათურაში იხსნება ხრონომეტრაჟისტების კურსები 45 კაცისათვის. კურსების დამთავრების შემდეგ ხრონომეტრაჟისტები სამუშაოდ გაიგზავნებიან მარგანეცის და ქვანახშირის მრეწველობაში. კურსებზე მეცადინეობა გასტანს ორი თვე.

კონსერვების და თხილის ექსპორტის გასაძლიერებლად

ამ.-კავკასიიდან ხილის კონსერვების და თხილის გულის ექსპორტისათვის ხელის შეწყობის მიზნით, საუწყებო სატარიფო თათბირმა გზათა კომისარიატის სატარიფო კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ა.-კ. რკინისგზებზე დაწესებულ იქნეს შეღავათიანი ტარიფი საექსპორტო კონსერვების და თხილის გულის გადასაზიდავათ.

ბრძოლა კალიის წინააღმდეგ

რადგან 1930 წელში კალიის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ჩატარდეს 29.999 ჰექტარზე, ეკონომიურმა საბჭომ არასაკმარისად სცნო ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ გაღებული სახსარი და დაადგინა ეთხოვოს მას გაიღოს აღნიშნული მიზნისათვის 110.000 მანეთი.

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ელექტრო-ენერგიის გამოყენების მიზნით ცდების გაფართოებისათვის საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა უკვე გათვალისწინებულ 20 ჰექტარის გარდა წარმოებულ იქნეს აგრეთვე ცდები დილომის 200-დან 300 ჰექტ. მინდორზე, რისთვისაც პროფ. ქ. ამირაჯიბს დაევალა შეიმუშაოს და წარუდგინოს ეკონომიურ საბჭოს სათანადო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა მივლინებულ იქნენ სპეციალისტები მოსკოვში, ლენინგრადში და მოკავშირე რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობაში ელექტრო-ენერგიის გამოყენების საქმის შესასწავლად.

ლენინის ხსოვნის საღამოები

— დღეს, 22 იანვარს, საღ. 6 საათზე თბილისის სახ. უნ-ტის კლუბში მოწვეულია უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა საერთო კრება ვ. ი. ლენინის გარდაცვალებიდან 6 წლის შესრულების გამო. მომხსენებელი უნ-ტის რექტორი ამხ. მ. ტოროშელიძე.

— საქ. სახ.-სამ. ინსტიტუტში 22 იანვარს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია სტუდენტთა და ინსტიტუტის ყველა თანამშრომელთა საერთო კრება ლენინის გარდაცვალებიდან 6 წლის თავის აღსანიშნავად.

— განათლების მუშაკთა სახლში ოთხშაბათს, 22 იანვარს, საღ. 7 საათზე გაიმართება ვ. ლენინის ხსოვნის საღამო.

სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის

წვრილი მრეწველობის აღწერასთან დაკავშირებით თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით მდგმურების კრების მოუწვევლობისა და სიების შეუდგენლობის გამო დაჯარიმებული არიან სახლების შემდეგი მეპატრონენი: დობალოვი ვართან, სისოევი გიორგი, ოიოსოვი ნიკოლოზ, გეგელე კაროლინა, ქელიძე სერგო, ნურალოვი შუშანა და ხუციშვილი ნატა.

შეღავათები მოწაფეებს

საუწყებო სატარიფო თათბირმა მოწაფეებისათვის, რომლებიც მგზავრობენ „ზაკავტოპრომტორგი"-ს ავტობუსებით ძველსა და ახალ გაგრას შორის დააწესა შეღავათიანი სამგზავრო ტარიფი.

თითეულ მოწაფეს მგზავრობისათვის გადახდება ორი შაური. ეს ტარიფი დაწესებულია ი.-წ. 1 მაისამდე.

განათლ. კომისარიატში

◆ სოცშეჯიბრება. განსახკომმა გადასწყვიტა განათლების ორგანოებს შორის მოაწყოს სოციალისტური შეჯიბრება.

◆ ახალგაზრდა სამეცნიერო მუშაკთა მომზადების საქმის გასაუმჯობესებლად განსახკომთან დაარსდა ცალკე ბიურო.

ტერიტ. შეკრება

№ ქართულ მსროლელ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის ცვალებადი შემადგენლობის წითელ არმიელები, დაბადებულნი 1903, 1904, 1905 და 1906 წლებში, უნდა გამოცხადდენ ასეულში (ძნელაძის ქ., № 21) 25 ამა იანვარს დილის 7 საათზე ორდღიან ტერ-შეკრებაზე.

სხვადასხვა

— ი.-წ. თებერვლის 1-დან დაიწყება საქ. ხელოვნების მუშაკთა სამუშაველო ბიუროს თანამშრომლების წმენდა.

საბჭოების მუშაობის შემოწმება და საანგარიშო კამპანია

დადგენილება
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
საბჭოების ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიის ჩატარების შესახებ

ვინაიდან საბჭოთა არჩევნები მიმდინარე წელში გადადებულია და საბჭოების უფლებამოსილება განგრძობილი, და იმ მიზნით, რათა მუშებისა, ამბოკარებისა, ღარიბი და საშუალო გლეხობის მასები უფრო მჭიდროთ შემოკრბენ საბჭოების გარშემო საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ხაზის განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის და კულაკური და ბურჟუაზიული ელემენტების წინააღმდეგობის დაძლევისათვის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს 1930 წ. თებერვლისა და მარტის განმავლობაში საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე საქალაქო და სასოფლო-საბჭოების ანგარიშგებისა და მუშაობის შემოწმების კამპანია.

2. საბჭოების ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიის ამოცანაა:

ა) შეამოწმოს საბჭოების მთელი მუშაობა, მათი მონაწილეობა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მთავარი ხაზის განხორციელება მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისა და ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე გადამწყვეტი შეტევის სფეროში;

ბ) საშუალება მისცეს მშრომელთა ფართო მასებს შეამოწმონ საბჭოების მიერ იმ დავალებათა შესრულება, რაც წარსული საარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლებისაგან ჰქონდათ მიცემული, აგრეთვე შეამოწმონ ცალკე დეპუტატების მუშაობის უნარიანობა და გამოსცვალონ საბჭოს ის წევრები, რომელთაც ნდობა ვერ გაამართლეს.

გ) სასოფლო-საბჭოების საანგარიშო კრებებზე ზედმიწევნით განხილულ იქნეს საკითხები: სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომი განვითარებისა, კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებული მოსახლეობისათვის საბჭოების მიერ მომსახურეობის გაწევის გაუმჯობესებისა და მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით განხორციელების შესახებ;

დ) წინა პუნქტში აღნიშნული ამოცანების განხორციელებაში ჩაბმულ იქნენ მუშებისა და გლეხების ფართო მასები; და

ე) განმტკიცებულ და გაცხოველებულ იქნეს საქალაქო და სასოფლო საბჭოების მუშაობა მშრომელთა ფართო მასების გაზრდილი აქტივობის საფუძველზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1930 წ., იანვრის 21.
თბილისი—სასახლე.

ცირკულიარულად

აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტ.სსრ და სამხრეთ - ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ყველა საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და ფოთის ქალაქის საბჭოს, ყველა სახალხო კომისარიატს, გლეხთა ურთიერთ დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს, სოფლის კავშირს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრსა და კანდიდატს, საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიისათვის ადგილობრივ მივლინებულ პასუხისმგებელ ამხანაგებს და მუშათა ბრიგადებს.

საბჭოების ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიის ჩატარების შესახებ

საბჭოების მორიგი არჩევნების გადადებისა და მათი რწმუნება-მოსილების ვადის განგრძობის გამო— სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ 1930 წლის თებერვალ-მარტში ჩატარებულ იქნეს საქალაქო და სასოფლო-საბჭოების ფართო ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანია.

ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანია ყოველნაირად გამოყენებულ უნდა იქნეს, რათა მოხდეს მშრომელთა ფართო მასების მობილიზაცია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ძირითად ამოცანების გარშემო, სოფლისა და ქალაქის კავშირის განმტკიცებისა (საწარმოო საფუძველზე) და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის ამოცანების გარშემო— სარეკონსტრუქციო პერიოდის მოთხოვნილებათა მიხედვით.

ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიის ძირითად მიზანს შეადგენს ის, რომ შემოწმებულ იქნეს საბჭოების მუშაობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის და სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მტკიცე შეტევის წარმოების სფეროში და აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობისათვის ორგანიზაციული დახმარების აღმოჩენისა და, განსაკუთრებით, საგაზაფხულო სასოფლო- სამეურნეო კამპანიის მოსამზადებლად და განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებათა თავის დროზე გატარების სფეროში.

1930 წლის ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანია გარდატეხის მომენტად უნდა იქცეს იმ მხრივ, რომ გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, შემცირდეს თვითღირებულება, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი და დაჩქარდეს ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ტემპი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება სოფლად უნდა მიექცეს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მასების მობილიზაციას და ორგანიზაციას; ეს კამპანია მტკიცედ უნდა დაუკავშირდეს კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარების საქმეს და ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები ფართოდ ჩაებნენ კოლექტიურ მეურნეობებში, და რათა მოეწყოს კოლექტივიზაციის მთლიანი რაიონები.

საბჭოების ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანია გამოყენებულ უნდა იქნეს იმისათვის, რათა გაძლიერდეს მუშაობა ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის, რათა ყველგან მოეწყოს ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფები და განმტკიცდეს მათი კავშირი საშუალო გლეხობასთან; კამპანია აგრეთვე გამოყენებულ უნდა იქნეს იმისათვის, რომ მოხდეს კულაკების სრული პოლიტიკური იზოლიაცია და კულაკობის— როგორც კლასის—ლიკვიდაცია, უპირველეს ყოვლისა, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

ეს კამპანია ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული, რათა, თვითკრიტიკის წესით, გამოირკვეს საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის ყველა ნაკლი, რათა მხილებულ და განდევნილ იქნენ ამ ორგანიზაციების აპარატიდან ბიუროკრატები, მავნებელნი და ის ელემენტები, რომელნიც კულაკსა და ნეპმანს შეეხარიან და სხვ.

ანგარიშგების კამპანიის დროს მშრომელთა ფართო მასები შეამოწმებენ იმას, თუ რამდენად შეასრულეს საბჭოებმა ამომრჩეველთა მიერ წარსულ საარჩევნო კამპანიის დროს მიცემული განაწესები; აგრეთვე შეამოწმებენ საბჭოს თვითეული წევრის მუშაობას მათ მიერ გატარებული კლასიური ხაზის სისწორისა და ამომრჩევლებთან კავშირის თვალსაზრისით.

კამპანიის ჩატარების დროს, რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ამომრჩეველთა უფლება იმ დეპუტატების უკან გაწვევისა, რომელთაც მშრომელი მასების ნდობა ვერ გაამართლეს. სოფლად საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ საბჭოებში მხილებულ და უკან გაწვეულ იქნენ კულაკის დამქაშები, ის ელემენტები, რომელნიც მერყეობას იჩენენ, რომელნიც კულაკურ საფრთხეს სათანადოთ ვერ აფასებენ და არ სურთ და არ შესწევთ უნარი კულაკობას ებრძოლონ; ეს მუშაობა უნდა დაუკავშირდეს კადრების ფართოდ დაწინაურებას საბჭოებში გამოცდილ მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთაგან, განსაკუთრებით, ახალგაზრდობიდან და ქალთაგან.

განსაკუთრებული სიმტკიცით უნდა მოხდეს იმ სოფლის საბჭოებისა და სარაიონო აღმასკომების შემადგენლობის და მუშაობის შემოწმება, სადაც განზრახულია მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების მოწყობა; ამასთანავე გადარჩეულ უნდა იქნენ ის საბჭოები, რომელთაც ვერ გაამართლეს თავისი დანიშნულება— სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის მებრძოლი შტაბისა.

დღევანდელი მომენტის ძირითადი ამოცანების მიხედვით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ურჩევს ადგილობრივ ორგანოებს საანგარიშო კრებებისათვის მიიღონ შემდეგი დღის წესრიგი:

ა) ქალაქად: 1. საბჭოს და დეპუტატების ანგარიში; 2. საქალაქო მეურნეობის 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებისა და პირველი კვარტალისათვის გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების შესახებ; 3. საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ; 4. ახალი განაწესის განხილვა და დამტკიცება.

ბ) სოფლად: 1. საბჭოს და დეპუტატების ანგარიში და სარევიზიო კომისიის თანამოხსენება; 2. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ; 3. საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ; 4. ახალი განაწესის განხილვა და დამტკიცება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ითვალისწინებს წარსული საანგარიშო კამპანიის დეფექტებს და წინადადებას იძლევა გატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებმა და საოლქო და სამაზრო აღმასკომების პრეზიდიუმებმა სასწრაფოდ უნდა შეიმუშაონ ანგარიშგების გეგმა რესპუბლიკებისა, ავტ. ოლქისა, ოლქებისა და მაზრებისათვის; ამასთანავე მათ სრული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ქვემდგომ აღმასკომებს და საბჭოებს.

2. სახალხო კომისარიატებმა, გლეხთა ურთიერთ დამხმარე ცენტრალურმა კომიტეტმა, სოფლის კავშირმა, კოლმეურნეობათა ცენტრმა, ცეკავშირმა, პროფესიონალურმა და სხვ. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა სასწრაფოდ უნდა დაამუშაონ საკითხი თავისი მონაწილეობის ფორმების შესახებ საბჭოების ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიაში, და თავისი მუშაობა უნდა შეუთანხმონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას და სათანადო აღმასკომების პრეზიდიუმებს.

3. დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს საბჭოების მოქმედების შესახებ საანგარ. მოხსენების მომზადება; ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოების მიერ საბჭოთა ხელისუფლების დირექტივებისა და ამომრჩეველთა განაწესის შესრულების გაშუქებას.

საანგარიშო მოხსენებების მომზადების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ეს მოხსენებანი ამომრჩეველთათვის გასაგები იყოს; კერძოდ, მოხსენებები უნდა კეთდებოდეს ეროვნულ უმცირესობათა სალაპარაკო ენაზე.

4. საქალაქო და სასოფლო საბჭოების ყველა დეპუტატმა უნდა ჩაიბაროს ანგარიში თავის საარჩევნო უბანს. საქალაქო საბჭოებს უნდა მიეცეს რჩევა, რომ საანგარიშო კრებებისათვის მომზადების წესით, ჩაატარონ საბჭოს სექციების ანგარიშგება მსხვილ საწარმოებში.

5. მიღებულ იქნეს ყველა ზომები სარევიზიო კომისიების მუშაობის გამოსაცოცხლებლად; ამასთანავე საბჭოების საანგარიშო მოხსენებასთან ერთად აუცილებლად მოსმენილ უნდა იქნეს სარევიზიო კომისიების თანამოხსენება, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოების მუშაობის უფრო ღრმა შემოწმება.

6. ყოველმხრივ უნდა იქნეს გამოყენებული და განვითარებული საბჭოების მუშაობის მასიური შემოწმების ახალი ფორმები (მუშათა ბრიგადების, მსუბუქი კავალერიის და ქალაქის საბჭოს წევრების გაგზავნა სოფლად საბჭოების მუშაობის შესამოწმებლად და სხვ.).

7. საანგარიშო მოხსენებანი, როგორც წესი, ჩატარებულ უნდა იქნეს ყველა საარჩევნო უბანში.

8. თავის დროზე უნდა იქნეს გამოსწორებული ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიის დროს საბჭოთა ორგანოების მუშაობაში აღმოჩენილი ყველა ნაკლი და კლასიური ხაზის დამახინჯება, კერძოდ, იმ ნაკლისა, რაც შენიშნული იქნება ამომრჩეველთა განაწესის შესრულების საქმეში.

9. მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები, რათა პრესამ, კედლის გაზეთებმა, რადიომ და კინომ რაც შეიძლება ფართო მომსახურეობა გაუწიონ საბჭოების ანგარიშგებისა და შემოწმების ჩატარების საქმეს.

10. საბჭოების ანგარიშგებისა და შემოწმების კამპანიის მსვლელობის შესახებ რეგულიარულად, ყოველ 10 დღეში, საინფორმაციო ჯამის სახით, უნდა ეცნობოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისათვის მოსახსენებლად.

11. მოხსენებანი და სათანადო ცნობები (ოქმები, სტატისტიკური ცხრილები და სხვ.) საანგარიშო კამპანიის ჩატარებისა და მისი შედეგების შესახებ დადგენილი ფორმით უნდა წარედგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 15 დღის განმავლობაში კამპანიის დასრულების შემდეგ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1930 წ., 21 იანვარი.
თბილისი—სასახლე.

150.000 ფ. მაგიერ 450.000 ფ. პარკი

საქ. აბრეშუმის ტრესტი შეუდგა ცდების ჩატარებას აბრეშუმის მოსავლის გასადიდებლად. დღემდე, როგორც ცნობილია, ზაფხულის პერიოდში აბრეშუმის ჭიის გამოყვანა სწარმოებდა ერთხელ და თუ პირობები ხელს შეუწყობდნენ—ორჯერ. აბრეშუმის ჭიის გამოსაყვანად და პარკის მისაღებათ ჩვეულებრივად საჭიროა 36 დღე. ამ დროის განმავლობაში ჭია გამოდის თესლიდან, იზრდება და ბოლოს იძლევა პარკს. აბრეშუმის მოსავლის გასადიდებლად საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომ, ჯერ ერთი, ჭიამ ნაადრევათ შესძლოს თესლიდან გამოსვლა და მეორე—ჭიის გამოყვანა სისტემატიურად ხდებოდეს მთელი ზაფხულის განმავლობაში.

აბრეშუმის მოსავლის გასადიდებლად პირველი ცდები მოახდინეს იტალიაში, სადაც ამ საქმეს ხელმძღვანელობდა მეაბრეშუმეობის ცნობილი სპეციალისტი რ. ფიორუცი. ფიორუციმ გამოიგონა სპეციალური მანქანა, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდება აბრეშუმის თესლიდან ჭიის გამოყვანის დაჩქარება და აბრეშუმის მოსავლის მიღება განუწყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში. ფიორუცის გამოგონება საბოლოოდ მიღებული და მოწონებული ჯერ-ჯერობით არც იტალიაშია და ამიტომ ასეთი მანქანების შეძენა და მისი შემოზიდვა საქართველოში ნაადრევადაა ცნობილი.

ფიორუცის გამოგონებას იტალიაში გაეცნო საქ. აბრეშუმის ტრესტის წარმომადგენელი ამხ. დუნდუა, რომელმაც ამის შესახებ მოხსენება გააკეთა აბრეშუმის ტრესტს. ტრესტმა გადასწყვიტა მგავსი მანქანის დასამზადებლად და აბრეშუმის მოსავლის გასადიდებლად საჭირო ცდების ჩატარების მიზნით შეადგინოს სპეციალისტების კომისია. კომისიაში შედიან ბიოლოგები, ბოტანიკოსები და ინჟენერ-კონსტრუქტორები. საჭირო ცდების ჩასატარებლად აბრეშუმის ტრესტმა გამოითხოვა 50.000 მანეთი.

აბრეშუმის ჭიის მექანიკური გამომყვანი მანქანის მოდელი უკვე მზადდება. შესაძლებელი ხდება აბრეშუმის მოსავლის გადიდება ერთი სამათ, ე. ი. თუ ამჟამად მთელ საქართველოში მოდის 150.000 ფუთი აბრეშუმი, ახალი მანქანის გამოყენება საშუალებას იძლევა ყოველწლიურათ მივიღოთ 450.000 ფუთი პარკი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

საბჭოთა-სავაჭრო ფლოტის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორის მოწყობა

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა მოეწყოს თბილისში და მას დაექვემდებაროს ამიერ-კავკასიაში მომქმედი საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ყველა დაწესებულებები.

ა. კ. წყალთა მეურნეობის საცდელ-საგამოკვლევო ინსტიტუტი

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წინადადება მისცა დაჩქარებით მოაწყოს და დაამუშაოს საცდელ-საგამოკვლევო ინსტიტუტის მოწყობის საკითხი. ინსტიტუტთან დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს ჰიდროლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, სანიადაგო-ბოტანიკური, საცდელ-სარწყავი, საცდელ-საპოპულიარიზაციო (კადრების მომზადება, გამომცემლობა, მუზეუმი, ბიბლიოთეკა), ეკონომიური, ჰიდრო-ტექნიკური, სატყეო-სამელიორაციო, ჰიდრავლიური, სამეურნეო-ადმინისტრატიული ჯგუფები, ზუსტი ხელსაწყოების სახელოსნო, სანიადაგო-წყალთა ლაბორატორია და დამუშავების ბიურო.

ალიუმინის წარმოება

ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინადადება მიეცა დააჩქაროს ალიუმინის დასამზადებლად გამოსადეგ მადნეულობის გამოკვლევა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სომხეთში აღმოჩენილ მადნის—ბოქსიტის გამოკვლევას.

დედა-ცხვრების დაკვლის აკრძალვა

ცხვრის რაოდენობის შემცირებასთან ბრძოლის მიზნით ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ აკრძალა დედა ცხვრების (4 წლის ჰასაკამდე) დაკვლა და ხორცის დამმზადებელ ორგანიზაციებს წინადადება მისცა დასაკლავად შესყიდულ ცხვრებიდან გადაარჩინოს სანაშენოდ გამოსადეგი დედა ცხვრები და გადასცეს სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორს. ბაზარზე გამოყვანილ საკლავი საქონლის შესყიდვა დავალებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, რა მიზნითაც გადადებულია 150.000 მანეთი.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ქსელის გაფართოება

ჩვენი საამშენებლო და სამთო მრეწველობა საშუალო და დაბალ ტექნიკოსთა დიდ ნაკლებობას განიცდის. დაბალ ტექნიკურ პერსონალზე დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე საფეიქრო მრეწველობაში, აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებში და სამკერვალო მრეწველობაში. დაბალი და საშუალო ტექნიკური პერსონალის ნაკლებობა ხელს უშლის ჩვენი სახალხო მეურნეობის ისეთი ძირითადი დარგის განვითარებას, როგორიცაა სამთამადნო მრეწველობა. ამიტომ ს. მ. უ. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილება საჭიროდ და აუცილებლად სცნობს, ეხლავე იქნეს მიღებული ზომები არსებული საფაბრიკო-საქარხნო სკოლების გასაფართოებლად და ახალი სკოლების გასახსნელად.

ასეთი შინაარსის მოხსენება გააკეთა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის სხდომაზე შრომის ეკონომიკის განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ს. თოხაძემ.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მოხსენების გამო მიიღო დადგენილება— ეხლავე იქნეს გაფართოებული ჭიათურაში არსებული სამთო-სასწავლებელი და იქ დამატებით მიღებულ იქნას 120 კაცი. უნდა გაფართოვდეს აგრეთვე თბილისში არსებული საამშენებლო საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, სადაც დამატებით უნდა მიიღონ 100 კაცი.

გარდა ამისა, თბილისში უნდა გაიხსნას ახალი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა სამი განყოფილებით. სკოლა მოამზადებს საფეიქრო, აბრეშუმის და სამკერვალო მრეწველობისათვის საჭირო დაბალ ტექნიკურ პერსონალს.

„საბჭოთა ქვეყანა"-ს გადაფრენის მონაწილენი თბილისში

ამხ. ბ. სტერლიგოვი და ფ. ბოლოტოვი სარემონტო ქარხნის მუშებში

გუშინ, „საბჭოთა ქვეყნის" ეკიპაჟის წევრები აერონავიგატორი ამხ. ბ. სტერლიგოვი და საზღვაო ავიატორი ამხ. ფ. ბოლოტოვი ესტუმრენ თბილისის სარემონტო ქარხანას, სადაც გაიმართა მუშათა მრავალრიცხოვანი მიტინგი, მიტინგზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბორის სტერლიგოვი, რომელმაც დამსწრეებს გააცნო ჰაეროპლან „საბჭოთა ქვეყნის" ისტორია.

ამხ. ბოლოტოვს და სტერლიგოვს მუშებმა მისცეს მრავალი შეკითხვები იმის შესახებ, თუ როგორი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე ამერიკის განვითარებულმა მრეწველობამ, ან რა ნახეს მათ იქ ახალი, როგორი არის მუშების მდგომარეობა და სხვ. მომხსენებლებმა ყველა საკითხებზე მუშებს მისცეს ამომწურავი პასუხი, და განაცხადეს, რომ მათმა ჩასვლამ ამერიკაში წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ამერიკის მუშათა კლასზე, რომელიც უკვე დარწმუნებულია საბჭოთა ქვეყნის სიძლიერეში და მის მიღწევებში სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

საუბარი ამხ. ბოლოტოვთან

ამხ. ფ. ბოლოტოვმა ჩვენს თანამშრომელს გაუზიარა ზოგიერთი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი შეხედულებები არიან ამჟამად ამერიკაში საბჭოთა ავიაციაზე და ან რა შთაბეჭდილება მოახდინა „საბჭოთა ქვეყნის" გადაფრენამ ამერიკაში.

—ჰაეროპლან „საბჭოთა ქვეყნის" ამერიკაში ჩაფრენის ფაქტი თავის თავად ისეთი მოვლენა იყო, რომელიც ნათელყოფდა საბჭოთა ავიაციის უდიდეს მიღწევებს და ჩვენი ავიატორების გამოცდილებას. ამერიკის საავიაციო წრეებში გამოჩენილი სპეციალისტებიც კი აღნიშნავდენ, რომ ჰაეროპლანი „ა. ნ. ტ. 4" („საბჭოთა ქვეყანა") არის საბჭოთა კავშირის საუკეთესო ჰაეროპლანი და რომ ალბად საბჭოთა კავშირში ამ მხრივ კიდევ უფრო დიდ მიღწევებს აქვს ადგილი. ამას ამერიკელი სპეციალისტები აღნიშნავდნენ კიდევ იმ მოსაზრებით, რომ ევროპაში ისეთი იშვიათი წარმატებით დაამთავრა ფრენა უფრო ახალი კონსტრუქციის ჰაეროპლანმა „საბჭოთა ფრთებმა" (ა. ნ. ტ. 9).

ამერიკის საავიაციო მრეწველობის მაგნატები ყოველმხრივ ცდილობდენ ეჩვენებინათ ჩვენთვის თავიანთი წარმოებები და გაეცნოთ ჩვენთვის ის ჰაეროპლანები, რომელთაც აღნიშნული ქარხნები უშვებენ. ბევრი ამერიკელი სპეციალისტი ამბობდა, რომ ამერიკული კონსტრუქციის ჰაეროპლანები, უფრო სუსტი აღმოჩნდება ისეთი დიდი გადაფრენის დროს, როგორიცაა წყნარ ოკეანეზე გადაფრენა.

ქალ. სიეტლში ჩვენს საპატივცემოთ ადგილობრივმა ავიატორებმა მოაწყვეს ბანკეტი, რომელზედაც აღნიშნეს, რომ საბჭოთა ავიაცია ამჟამად არის ერთ-ერთი უძლიერესი ავიაცია მთელ მსოფლიოში და რომ ამერიკელ მფრინავებს შეუძლიათ ბევრი რამ ისწავლონ საბჭოთა ავიატორების პრაქტიკიდან.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჩვენ ამერიკაში გვეპყრობოდნენ როგორც გამოჩენილ სპორტსმენებს და იშვიათად ბედნიერ გმირებს, რის პრეტენზიაც ჩვენ, რა თქმა უნდა, რა გვქონდა. ჩვენთვის უფრო ძვირფასი არის ის დაფასება, რომელიც მივიღეთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

ლენრაიონის მუშებთან

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში გაჭედილია ლენინის რაიონის მუშებით. კლუბის ვეებერთელა დარბაზში შეკრებილი მუშები აღნიშნავენ ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადის—ილიჩის ხსოვნას.

კლუბში დიდ დარბაზში გაკრულია პლაკატი, რომელზედაც თეთრი ასოებით წითელ ფონზე ამოკარგულია:

— **დავკარგეთ ილიჩი, გაუმარჯოს კომპარტიას!**

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისათვის ამ დიდ მნიშვნელოვან დღეს, ლენინის რაიონის მუშებს ესტუმრენ მუშათა სახელმწიფოს საპატიო გმირები აეროპლან „საბჭოთა ქვეყნის" ისტორიული გადაფრენის მონაწილეები—ამხ. სტერლინგოვი და ბოლოტოვი.

მათ გამოჩენას მთელი დარბაზი მქუხარე ტაშის გრიალით შეხვდა.

სტუმრებმა მუშებს უამბეს „საბჭოთა ქვეყანა"-ს გადაფრენის მთელი ისტორია დაწყებული მოსკოვით და გათავებული სან-ფრანცისკოთი, სადაც დამთავრდა მსოფლიოში პირველი და უდიდესი გადაფრენა.

მოხსენებებით კმაყოფილმა მუშებმა მხურვალე ოვაციებით გამოაცილეს გმირი—ავიატორები.

კადრების საკითხი და ბრძოლა აგრარულ ფრონტზე

(ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მესამე პლენუმზე*)

ყველაზე სუსტ ადგილს საერთოდ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და კერძოდ კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში, წარმოადგენს კადრების საკითხი ამ სიტყვის ფართო გაგებით. აშკარად და გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ მხრით ჯერ თითქმის არაფერი არ გაკეთებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად გადაკეთებას; ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ინსტიტუტი, ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ყველა აუცილებელი საშუალებებით, როგორც მატერიალურად, ისე კულტურული ძალებითაც იმ რაოდენობისა, ღირსებისა და ტიპის სპეციალისტების მოსამზადებლად, რაც ჩვენ სოფლის მეურნეობას სჭირდება.

რაც შეეხება თვით კოლმეურნეობათა წევრების—გლეხების წრიდან კადრების მომზადებას, ამ მხრით თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული.

ჩვენ ვაყენებთ ამ საკითხს იმისათვის, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კატეგორიულად გაუსვას ხაზი ამ გარემოებას და დაავალოს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს სასწრაფოდ დაამუშაოს ეს საკითხი, დასძრას იგი მკვდარი წერტილიდან და მორიგ პლენუმს მოახსენოს ამ დავალების შესრულების შესახებ.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ დღევანდლამდე ჩვენ ვერ შევავსეთ ჩვენი მიწადმოქმედების ორგანოები (კოლმეურნეობათა ცენტრი, მიწსახკომი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და ადგილობრივი საადგილ-მამულო ორგანოები) საკმაოდ მომზადებული და გამობრძმედილი პარტიული ამხანაგებით. ეს თანაბრად ეხება როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანიზაციებს.

სწორედ ამიტომ მიუხედავად ბევრი კარგი რეზოლუციისა, ჩვენ აქამდი ვერ მოვახერხეთ მოგვეწესრიგებია კოლმეურნეობათა ცენტრის მუშაობა და იგი ჯერ კიდევ ვერ გამხდარა იმ დამრაზმველ ცენტრად, იმ რევოლუციონურ ფოკუსად, რომელშიც უნდა გამოიხატებოდეს ყველა ღონისძიებანი, რასაც კი ჩვენ ვატარებთ ჩვენი სოფლის რეკონსტრუქციისა და სოციალისტური გარდაქმნისათვის.

სავსებით ცხადია, რომ თუ ჩვენ სათანადოთ არ შევავსეთ საუკეთესო კომუნისტებით კოლმეურნეობანი, სამიწადმოქმედო და კოოპერატიული ორგანოები ჩვენ ვერ მოვახერხებთ გარდავქმნათ ისინი იმ ნამდვილ რევოლუციონურ ორგანიზაციებად, რომელნიც უნდა ხელმძღვანელობდენ ჩვენს სოფლის მეურნეობას.

სპეცების შესახებ ჩვენ უნდა ვსთქვათ: ან სპეცი არის სავსებით, უყოყმანოთ და მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების მომხრე, სინდისიერად ანხორციელებს ხელისუფლებისა და პარტიის ყველა დირექტივებს ან თუ არა და იგი ჩვენ არ გვჭირდება რამდენადაც ძვირფასი არ უნდა იყოს ჩვენთვის მისი სპეციალური ცოდნა.

განვითარების ეხლანდელ საფეხურზე სპეცების მხრივ სრულებით საკმარისი არ არის მხოლოდ ეგრეთწოდებული ლოიალური თანამშრომლობა. „ლოიალობის" პოზიციიდან ძალიან ადვილია მავნებლობის პოზიციაზე გადასვლა.

ფორმულამ „სპეცი პოლიტიკის გარეშე" უკვე მოსჭამა თავისი დრო.

ჩვენ გვჭირდება ჩვენი საბჭოთა სპეცები, რომელნიც გაჟღენთილნი იქნებიან ბოლშევიკური ტემპით და უყოყმანოთ გაატარებენ ბოლშევიკურ პოლიტიკას. უვარგისი სპეცების ხარჯზე ჩვენ თანდათანობით და უფრო ძლიერად უნდა შევავსოთ მიწადმოქმედების დარგში მომუშავე ორგანოები კომუნისტებისა და კომკავშირელების ახალი კადრებით; თანაც უნდა დავავალოთ მათ შეისწავლონ სოციალისტურ საფუძვლებზე სოფლის მეურნეობის მშენებლობა.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ ამას, საქართველოში, ამდენ ხანს არ ვანხორციელებდით.

ჩვენ ორგანიზაციებს ხშირად ძველი ტიპის სპეცები მართავენ, რომელნიც სრულებით ვერ ეგუებიან ახალი დროის პირობებს და რასაკვირველია ვერც შესძლებენ იმ დიდი საქმის გაკეთებას, რომელიც ეხლა დაიწყო საბჭოთა სოფელში.

მაგალითად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც უნდა მომზადდეს ახალი საბჭოთა კადრები, მასწავლებლობს ძველი „პატივცემული პროფესორი" გეხტმანი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს ჩვენ ახალგაზრდობას, ვინაიდან მთელი მისი გეზი ანტიმარქსისტულია, ანტილენინური და მაშასადამე ანტისაბჭოებრივიც.

უბედურება იმაშია, რომ გეხტმანი ალბად მარტო არ არის. თუ ჩვენ მის შესახებ ვლაპარაკობთ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი „შრომები" უფრო გვეცემა თვალში. ჩვენ ახალგაზრდობას გეხტმანის ნაცვლად ისეთი მასწავლებელი უნდა მივცეთ, რომელნიც ჩვენი ცხოვრების მომავალი მშენებლებს მართლაც დახმარებას გაუწევენ მარქსისტულ-ლენინურ საფუძვლებზე შეისწავლონ ჩვენს სინამდვილეში წარმოებული პროცესები.

სწორედ ამიტომ, ამხანაგებო, კადრების პრობლემას მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რათა ამ საკითხშიდაც პირდაპირი ბოლშევიკური გარდატეხა მოვახდინოთ.

ამასთან ერთად უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ მარტო მიწსახკომებისა და კოოპერაციის კომუნისტებით შევსებით ჩვენ საქმეს ვერ გავამართებთ. ჩვენ ისეთი პირობები უნდა შევქმნათ, რომლის დროსაც ახალგაზრდა კომუნისტური ძალები შესძლებენ თვითგანვითარებისათვისაც იმუშაონ. უნდა მოვაწყოთ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი სასოფლო-მეურნეობის ძირითადი პრობლემების დასამუშავებლად. საჭიროა, რომ ის უმნიშვნელოვანესი პრობლემანი, რომელთა შესახებაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, დამუშავებულნი და განხილულნი იქნენ სპეციალურ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, ვერც ცენტრალური კომიტეტი და ვერც მისი მდივანი ვერ შესძლებს ამ მხრივ სავსებით დაამუშაოს სოფლის მეურნეობის ძირითადი საკითხები თავისი აპარატით. მეცნიერული დამუშავების გარეშე ჩვენ შეიძლება შეცდარი გადაწყვეტილებანი მივიღოთ. ამის გარეშე ჩვენ ვერ გავსდევთ ფეხ-დაფეხ განვითარების იმ ტემპს, რომელსაც ეხლა ადგილი აქვს ჩვენ სოფელში. ამ მხრით ჩამორჩენილი ვართ არა მარტო ჩვენ, არამედ საბჭოთა კავშირიც. აგრარნიკ-მარქსისტების ამასწინად დასრულებული კონფერენცია მოსკოვში ამის საუკეთესო დამამტკიცებელია. ის ამხანაგები, რომელნიც პრესის საშუალებით თვალყურს ადევნებდენ კონფერენციის მუშაობას, ალბად ძალიან გაკვირვებულნი იყვნენ იმ გარემოებით, რომ კონფერენცია, რომელმაც რამდენიმე დღე გასტანა, 90 პროცენტით გვერდს უვლიდა იმ ძირითად საკითხებს, რომელიც ამხ. სტალინმა თავის სიტყვაში წამოაყენა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამხ. სტალინის ეს გამოსვლა და ეს კონფერენცია იქნება გარდატეხის მომენტი ამ საკითხში და ბოლშევიკური თეორიული აზროვნება თავისი ჩვეული ინტენსივობითა და ძლიერებით აგრარულ ფრონტზედაც ამუშავდება.

მე ვფიქრობ ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენ აქაც, საქართველოშიც, ვინაიდან ჩვენ ბევრად უფრო ჩამორჩენილნი, ვართ ვინემ საბჭოთა კავშირის სხვა ცენტრები.

არ არის მართალი, ამხანაგებო, თითქოს ჩვენ არ შეგვეძლოს სერიოზულ პრობლემებს მოვკიდოთ ხელი. შემცდარია ის მოსაზრება, რომ ჩვენ მზამზარეული ფორმულებს უნდა ველოდეთ მოსკოვიდან. რასაკვირველია, მე არ ვსვამ ამოცანას გაუსწროთ მოსკოვს და ახალი აღმოჩენანი მოახდინოთ თეორიული აზროვნების სფეროში, საკითხის ასე დასმა სასაცილო იქნებოდა. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ჩვენ უნდა მოვახერხოთ სწორად გამოვიყენოთ ჩვენი ცენტრალური ორგანოების საერთო გეზი და დებულებანი საქართველოს თავისებური პირობების მიხედვით; ამისათვის კი საჭიროა, რომ აქაც ამუშავდეს თეორიული აზროვნება. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენშიდაც ამხანაგების ჯგუფი მუშაობდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პრობლემების შესწავლისათვის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მარტო სოფლის კლასიური დაყოფის საკითხებზე უნდა ვმუშაობდეთ. ეხლა ეს საჭირო არ არის. ჩვენი განვითარების ეხლანდელ საფეხურზე კლასიური დაყოფის საკითხს უმთავრესად ისტორიული ხასიათი აქვს. მაგრამ, რასაკვირველია, თავის დროზე ეს დიდი პლიუსი იყო, ვინაიდან ამ საკითხის შესწავლამ ჩვენ საშუალება მოგვცა პირისპირ მივდგომოდით ჩვენ სოფელს და უფრო ახლოს გავცნობოდით მის საწარმოო ეკონომიურ ურთიერთობას.

მაგრამ ეს სრულებით საკმარისი არ არის; განვითარების დღევანდელ საფეხურზე ჩვენ მეტი მოგვეთხოვება. ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით სდგას პრობლემა იმ გრანდიოზულ სოციალურ და საწარმოო-ეკონომიურ ცვლილებათა შესწავლისა, რომელთაც ამჟამად ჩვენ სოფელში ადგილი აქვს; თუ ეს ძირითადი საკითხები სათანადოთ არ შევითვისეთ, ჩვენ ვერ შევსძლებთ სოფლის განვითარების საქმეში სწორი გზა დავსახოთ.

რამდენიმე თვის წინად თბილისში უკვე მოეწყო აგრარნიკ-მარქსისტების პატარა სექცია. არსებითად ეს მოხალისეთა მცირე წრეა. ეს პირველი ნაბიჯია. მნიშვნელოვანი რამ ჩვენ ჯერ არაფერი გაგვიკეთებია, იმის გარდა, რომ ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საკითხები (რაც ცენტრალურ კომიტეტში იდგა), მათ შორის მე-6 ყრილობაზე და პლენუმებზე მოსმენილი მოხსენებანიც, აღნიშნულ სექციაში კოლექტიურად იქნა დამუშავებული. ეს მცირე მუშაობაც ჩვენ ერთგვარ მიღწევათ მიგვაჩნია. მაგრამ ეს ძლიერ ცოტაა. ჩვენ უნდა გავაფართოვოთ ეს სექცია ან, უფრო სწორად, უნდა გადავაკეთოთ იგი სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან იარსებებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნება საშუალება მეცნიერულად დავამუშაოთ ის დიდი საკითხები, რომლის პრაქტიკულ გადაწყვეტასაც პარტია გვაკისრებს.

ამხანაგებო, ჩვენ მოვაწყვეთ სხვადასხვა დამკვრელი ბრიგადები, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. ეს ბრიგადები ჩინებულ ნაყოფს იძლევა. მე ვფიქრობ, რომ ასეთი დამკვრელი ბრიგადები უნდა მოეწყოს აგრეთვე აგრარულ ფრონტზე ბრძოლისათვის. მუშაობის ეს სფერო ნაკლებ რთული და ნაკლებ აუცილებელი არ არის, ვიდრე მრეწველობა ან სოფლის მეურნეობა. სწორედ ამ ფრონტზე გვყავს ჩვენ ყველაზე მეტი რიცხვი უცხო ელემენტებისა. ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ „მოძღვრებას" უნდა დაუპირისპიროთ მტკიცე გამობრძმედილი კომუნისტები, რათა საბოლოოდ დავამარცხოთ ის ბურჟუაზიული და წვრილ - ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც რყვნის ჩვენს ახალგაზრდობას. ეს უაღრესად პრაქტიკული საკითხია.

„ცნობილია, რომ თეორია, თუ ის მართლა თეორიაა, აძლევს პრაქტიკოსებს ორიენტაციის ძალას, პერსპექტივის სიცხადეს, მუშაობის რწმენას და ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენას. ყოველივე ამას აქვს, და არც შეიძლება არ ჰქონდეს, უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის". (სტალინი. აგრარნიკ-მარქსისტების კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა).

ეს მით უფრო აუცილებელია ჩვენში—საქართველოში, სადაც ჩვენ გვყავს საკმარისი რიცხვი ახალგაზრდა კომუნისტური ძალებისა, რომელთაც შეუძლიათ და სურთ თეორიის სფეროში მუშაობა. თუ არ გვექნა მჭიდრო კავშირი თეორიისა პრაქტიკასთან და პრაქტიკისა თეორიასთან, ჩვენ მუშაობას ვერ შევსძლებთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თეორია სწორედ სოფლის მეურნეობის დარგში უშუალოდ ენასკვება პრაქტიკას. თვითეული ოდნავ სერიოზული ღონისძიება, რასაც პარტია და ხელისუფლება სოფლად ანხორციელებს, იწვევს ამა თუ იმ სოციალურ გარდატეხას, საწარმოო ეკონომიურ ურთიერთობათა ამა თუ იმ ცვლილებას.

მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ცვლილებანი თეორიულად იქნება შესწავლილი, მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები გაშუქებულ და შეთვისებულ იქნება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების თვალსაზრისით, ჩვენ შევსძლებთ პრაქტიკული მუშაობა საქართველოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ.

აგრარულ პრობლემათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დაარსება აუცილებელი პირობაა ნამდვილი ბოლშევიკური თეორიით შეიარაღებული კადრების მოსამზადებლად (მქუხარე ტაში).

„ავტოგზა"-ს თბილისის საოლქო კონფერენცია

20 იანვარს საღამოს მეჭედავთა კლუბში გაიხსნა საზ. „ავტო გზა"-ს თბილისის საოლქო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ამხ. ვანო ბოლქვაძემ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში დაახასიათა საბჭოთა კავშირში საავტომობილო და საგზაო მშენებლობის უდიდესი მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ ამ საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას გვერდში უნდა ამოუდგეს ფართო საზოგადოებრიობა. „ავტო გზა"-ს მიზნებისა და ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ოვაკიმოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ხუთწლედის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში შემოზიდული იქნება 3.000-ზე მეტი ავტომანქანა, ხოლო საგზაო მშენებლობაზე დაიხარჯება ათეული მილიონი მანეთი.

საქართველოს „ავტო გზა"-ს მდივანმა ჯაიანმა გააკეთა საინფორმაციო მოხსენება „ავტო გზა"-ს წარსული მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ „ავტო გზა" უკანასკნელ დრომდე სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა ძირითად უჯრედებს, რომელთა რაოდენობა ჯერაც არ არის გამორკვეული. ამჟამად სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული ამ ნაკლის გამოსწორებას.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საზოგადოების ძველი მდივანი ჯალიაშვილი უგულოდ ეკიდებოდა საზოგადოების საქმიანობას და არავითარ ზომებს არ იღებდა საქმეების მოსაგვარებლად. დაუდევრად ექცეოდა საზოგადოების ქონებას. შოფერების მოსამზადებელ კურსებზე დაიხარჯა 32.000 მანეთი და მომზადდა მხოლოდ 100 კაცი.

კამათის დამთავრების შემდეგ მოხდა „ავტო გზა"-ს საბჭოს არჩევნები. არჩეულ იქნენ ამხ. კ. ოდილავაძე, ჯაიანი, ქოიავა, აკოპოვი, ბეთაშვილი, მამულია, შემოლაევი, ბაქრაძე და სხვ. სულ 50 კაცი. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. კ. ოდილავაძე, მდივნად ამხ. ქოიავა. დასასრულ არჩეულ იქნა ავტო-გზის სრულიად საქართველოს ყრილობაზე გასაგზავნად 55 დელეგატი, რის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

საქ. ფინსახკომის აპარატის წმენდის შედეგები

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის აპარატის გამწმენდმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და გუშინ საღამოს თავისი დასკვნები გამოაცხადა ფინანსთა სახ. კომისარიატის თანამშრომელთა საერთო კრებაზე.

კომისიის დასკვნით საკონტროლო მითითებები და დავალებები კომისარიატის მიერ შესრულებულია დამაკმაყოფილებლად. ფინანსიურ მუშაობაში კლასიური ხაზი დამაკმაყოფილებლად არის დაცული. ფინანსთა სახ. კომისარიატის აპარატის რადიკალური რეკონსტრუქცია კომისიას მიაჩნია გადაუდებელ ამოცანად. ფინსახკომის მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს მასიური კონტროლის ქვეშ. კომისიას საჭიროდ მიაჩნია ფინსახკომმა შეიმუშაოს წინასწარი გეგმა და პრაქტიკად შემოიღოს მუშათა წინაშე საანგარიშო მოხსენებების გაკეთება. სწორად არის ცნობილი ქვემდებარე ქსელის ხელმძღვანელობა, თანხების განაწილების და მიმართულების პოლიტიკა. დამაკმაყოფილებელია ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციების და ადმინისტრაციის დამოკიდებულება, ამასთანავე კომისია სცნობს, რომ კომისარიატმა გააძლიეროს თავისი კავშირი ქვემდებარე ორგანიზაციებთან, გაძლიერებულ იქნეს სარაციონალიზაციო მუშაობა. სათანადო დონეზე ვერ არის დაყენებული თანამშრომელთა შორის ფუნქციების განაწილება, აპარატში მომუშავე სპეცების ურთიერთობა მიჩნეულია არადამაკმაყოფილებლად, დაწინაურებულ მუშათა რაოდენობა კომისარიატში მიჩნეულია არადამაკმაყოფილებლად.

აპარატის თანამშრომლებიდან პირველი კატეგორიით მოხსნილია **პ. მანსვეტაშვილი**, როგორც ყოფილი სამხედრო მოსამართლე, თურქესტანში აჯანყებულ მესანგრეთა საქმის გამოძიების მეთაური (მესანგრეებიდან დახვრიტეს 14 კაცი და გადაასახლეს რამდენიმე ასეული).

გ. ჭიჭინაძე, როგორც სქესობრივად გარყვნილი, რომლის მოხვებითაც თავი მოიკლა ერთმა თანამშრომელმა, მოხსნილია პირველი კატეგორიით.

კოტე ხახანაშვილი—ყოფილი სახლის პატრონი და სისხლის სამართლის ყოფილი დამნაშავე—მე-2 კატეგორიით.

ქ. ლოლაძე—როგორც გაუსწორებელი დებოშირი მე-2 კატეგორიით.

მ. კომახიძე—როგორც სისხლის სამართლის ყოფილი დამნაშავე (წმენდის დროს დაფარა თავისი წარსული)—მე-2 კატეგორიით.

თამარ რატიანი—როგორც თანამშრომლებთან შეუგუებელი და საეჭვო ელემენტი—მე-2 კატეგორიით.

გოგიტიძე—როგორც ყოფილი პოლიციელი და საეჭვო ელემენტი—მე-2 კატეგორიით.

სილ. მაკარიძე—როგორც მუშათა კლასის წინააღმდეგ მებრძოლი, რისთვისაც გასამართლებულ იქნა 1927 წელს—მე-3 კატეგორიით.

მიხ. კოჩიკიძე—როგორც ყოფილი გამფლანგველი—მე-3 კატეგორიით.

ყარ. მეხუზლა—როგორც კარიერისტი და ყოფილი გამფლანგველი—მე-3 კატეგორიით.

ლიდა სოკოლოვა—როგორც კერძო პირთა მფარველი —მე-3 კატეგორიით.

მიხეილ აბაშიძე—როგორც გაუსწორებელი და საეჭვო ელემენტი—მე-3 კატეგორიით; როგორც ახალგაზრდას, კომისია საჭიროდ სცნობს მიეცეს მას გამოსწორების საშუალება.

ექვთ. წიფურია—1924 წლის ავანტიურის მონაწილე და საეჭვო ელემენტი —მე-3 კატეგორიით.

ვლად. მეტრეველი—როგორც ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავე და კერძო ვაჭრებთან კავშირის მქონე,—მე-3 კატეგორიით.

ანტ. წულუკიძე—საქმისადმი ჩინოვნიკური მოპყრობისა და საზ. მუშაობაში პასიური —მე-3 კატეგორიით.

ს. ყრუაშვილის შესახებ შემოსული მასალები გადაეცა ც. საკონტროლო კომისიას. გარდა ამისა, მთელ რიგ თანამშრომლებს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, გაფრთხილება, მითითება და სხვ.

საბჭოთა აპარატის გამწმენდ ა.-კ. კომისიისაგან

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან არსებულ საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიას ადგილებიდან მოსდის შეკითხვები, თუ რა წესით უნდა იქნეს აღნიშნული შრომის სიებში საბჭოთა აპარატიდან წმენდის გამო მოხსნის მიზეზები.

აღნიშნული შეკითხვების გამო ა.-კ. კომისია განმარტავს:

იმ დაწესებულებათა ადმინისტრაცია, საიდანაც მოხსნეს თანამშრომელი საბჭოთა აპარატის მწმენდავი კომისიის დადგენილებით, ვალდებულია შრომის სიებში (ისე, როგორც დაწესებულებების შიგნით გამოცემულ ბრძანებებში), მოკლეთ შეიტანოს მწმენდავი კომისიების ოქმიდან შემდეგი ცნობები:

ა) კომისიის დასახელება, სხდომის დრო და ოქმის ნომერი, ბ) მოხსნის ან სხვა სასჯელის მიზეზების მოკლე დახასიათება და მათი კვალიფიკაცია, საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ საკავშირო მუშ. და გლ. ინსპექციის სახ. კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციის 1-ლი, მე-2, ან მე-3 კატეგორიების მიხედვით.

კომისიების დადგენილებათა უმაღლეს ინსტანციებში განსაჩივრება ვერ დააბრკოლებს 1-ლ კატეგორიით დასათხოვნ თანამშრომელთა დაუყოვნებლივ მოხსნას.

ახლო მომავალში გამოვა
ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური
ჟურნალი
„ბოლშევიკი"
საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტ. ორგანო.

„ბოლშევიკი" გააშუქებს სოციალიზმის მშენებლობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს მარქსიზმის-ლენინიზმის თვალსაზრისით.
„ბოლშევიკი" გაარკვევს მიმდინარე პოლიტიკის და ეკონომიკის საკითხებს და ლენინურ განმარტებას მისცემს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას და პრაქტიკას.
„ბოლშევიკი" აწარმოებს გადამწყვეტ ბრძოლას ყოველგვარ გადახრების და მერყეობის წინააღმდეგ კომუნისტური პარტიის და საერთოდ მუშათა კლასის რიგებში.
„ბოლშევიკი" მოგვცემს მასალას საერთაშორისო პოლიტიკის და ეკონომიკის საკითხებზე და იქნება ლენინურ ბრძოლის იარაღი ყოველგვარი ოპორტუნისტული და რეფორმისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ.
„ბოლშევიკი" გამოააშკარავებს სოციალიზმის მშენებლობის ყოველგვარ ნაკლს და იბრძოლებს პარტიის დირექტივების განხორციელებისათვის.
„ბოლშევიკი" იქნება ჩვენი ორგანიზაციის ფართო აქტივის ხელმძღვანელი ორგანო.

„კომუნისტი"-ს გამომცემლობა.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი" №№ 16 და 17.

სასამართლო

სახლის მმართველი, თუ მძარცველი

საბჭოს ქუჩაზე, № 43 არის კარგა მოზრდილი სახლი. სახლი, როგორც მუნიციპალიზაციაქმნილი, ეკუთვნის თბილისის ალმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას.

ამ სახლს ჰყავდა „მმართველი" გერონტი ნესტორისძე ქურიძე, რომელიც ასეთი თვისებებით იყო დაჯილდოებული: სახლის სახურავი სულ მთლად რომ ჩამონგრეულიყო, ქურიძე წარბსაც არ შეიხრიდა. ყველა საპიროფარეშოები რომ ერთ დღეს დაუქმებულიყვნენ, გერონტის მაინც კარგს გუნებაზე ნახავდით.

ერთი სიტყვით გერონტი ქურიძე გულქვა კაცი იყო. მდგმურების დაუსრულებელი ჩივილი „კეთილმოწყობაზე" გერონტის ოხუნჯობის ხასიათზე აყენებდა.

ქურიძე მაგარი, მკაცრი მმართველი იყო ბინების ქირის აკრეფაში. ერთი დღითაც არავის აცდოვებდა ბინის ქირას. ამ ღირსებას მას ვერ წავართმევთ.

მაგრამ ერთი სუსტი მხარე ჰქონდა ქურიძეს. „უძილდებოდა" აკრეფილი ფულის შეტანა კომუნალური სახლების სამმართველოში.

რამდენი ფიცხელი მიმართვა, რამდენი „უკანასკნელი გაფრთხილება" მიუღია გერონტი ქურიძეს ფულების დაუყონებლივ წარდგენის შესახებ, მაგრამ მის კაჟივით მაგარ გულს ეს ახლოც არ ეკარებოდა.

— დაგვიანებაც არის და დაგვიანებაც! ეს დაგვიანება კი არა, მასხრად აგდებაა,—ბრაზობდნენ კომუნალურ სახლთა სამმართველოში.

ქურიძე „მართავდა" სახლს, უკაცრავად სახლს კი არა, ქეიფს... ატარებდა დროს ყოველთვის კარგს გუნებაზე იყო.

კომუნალურ სახლთა სამმართველოს მუშაკები ბრაზით გულზე სკდებოდნენ. ბოლოს, როცა არც თხოვნამ, არც მუქარამ და არც უკანასკნელმა გაფრთხილებამ არ გასჭრა, სამმართველომ მიმართა სახალხო სამართლის მილიციას.

ქურიძეს გამოუცვალეს ბინა. კომუნალურ სახლიდან გადაიყვანეს გამასწორებელ სახლში.

ქურიძეს ეს არ ესიამოვნა, მაგრამ რა ვუყოთ! არც კომუნალურ სახლთა სამმართველოს ესიამოვნა, როცა გაიგო, რომ მის მიერ დაყენებულმა „მმართველმა" 2.000 მანეთზე მეტი შთანთქა მდგმურებიდან აკრეფილ თანხიდან.

გერონტი ქურიძე გაასამართლა მე-5 უბნის სახალხო სასამართლომ.

ქურიძემ გამასწორებელ სახლში უნდა დაჰყოს 5 წელი და გარდა ამისა, უნდა გადაიხადოს გაფლანგული თანხა.

ზერ.

შემთხვევები

შეპყრობა

ამას წინად გაქურდეს ანა ფურცელაძის ბინა (მე-5 სამილიციო უბანი). ამ საქმეზე დააპატიმრეს: შალვა ფურცელაძე, ირაკლი თავართქილაძე, გიორგი ქითიაშვილი და არჩილ თავართქილაძე.

ქურდობა

გაქურდეს ნატალია რამიშვილის ბინა (ორჯონიკიძის ქ. № 99), საიდანაც წაიღეს 700 მანეთის ნივთები.—ნიკოლოზ ჯიბლაძის ბინიდან (სტავროპოლის ქ. № 11) მოიპარეს 400 მანეთის ნივთები.—მარ. სილამონიძის ბინიდან (ტატიანის ქ. № 9) მოიპარეს 500 მანეთის საოჯახო ნივთები.— გაქურდეს საკანდიტერო (ძელიჭიშვილის ქ. № 15),— წაიღეს 600 მანეთის ნივთები,— გარდა ამისა, 20 იანვარს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 23 შემთხვევა.

გაფლანგვა

სოფ. მალკოდის (აცჰალის თემი) სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ — ჩიტო ალიბეგაშვილმა გაფლანგა სახაზინო 1383 მანეთი და მიიმალა.

ვისია ნივთები?

აღმოჩენილია ნაქურდალი საოჯახო ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში, ოთახი № 7.

რკინის გზებზე

რკინისგზელთა ბიუჯეტის გამოკვლევა

გზათა კომისარიატის და რკინისგზელთა პროფკავშირის ცკ-ის დადგენილებით, საბჭოთა კავშირის რკინისგზებზე ა.-წ. პირველ თებერვლიდან ტარდება რკინისგზელთა ბიუჯეტის გამოკვლევა.

გამოკვლევა ტარდება რკინისგზის ტრანსპორტზე მომუშავე პირთა მატერიალურ-ყოფა-ცხოვრებითი პირობების ყოველმხრივი შესწავლის მიზნით.

გამოკვლევა დაიწყება 1 თებერვალს და იწარმოებს 12 თვის განმავლობაში. იგი შეეხება რკინის გზებზე მომუშავე ყველა პროფესიის მუშაკებს.

ა.-კ. რკინისგზაზე გამოკვლევა მოხდება თბილისში, ბაქოში და ლენინაკანში. პირველ ორ პუნქტში შერჩევით გამოკვლეული იქნება რკინისგზელთა ოც-ოცდაათი ოჯახი და ლენინაკანში ათი ოჯახი.

გამოკვლევის ჩატარება დაკისრებული აქვთ რკინის გზების სტატისტიკურ განყოფილებებს.

22 იანვარს მუშაობა იწარმოებს

რკინის გზების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, 22 იანვარს რკინისგზებზე ტვირთების მიღება, დატვირთვა, გადატვირთვა და გაზიდვა იწარმოებს ჩვეულებრივი წესით, ისე, როგორც სამუშაო დღეებში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხუთშაბათს, 23 იანვარს საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპაგანდის განყოფილება სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში იწვევს თათბირს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სპეციალობათა საკითხის შესახებ (ფაკულტეტებისა და სპეციალობათა რაოდენობა). მოსმენილ იქნება სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტის გამგეობის მოხსენება.

თათბირზე მოწვეული არიან სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორები, მასწავლებლები და სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, თბ. საოლქო კომიტეტის და რაიკომების აგიტპროპგანყოფილებათა გამგეები, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, ყველა ტრესტების თავმჯდომარეები და ტეხნიკურ განყოფილებათა გამგეები, წყალთა მეურნეობის სამმართველოს (ორივესი), საქართველოს პროფსაბჭოს, ა. კ. რკინისგზათა გამგეობის, ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგეგმო კომისიის, ალმასკომის (ალგ. მრეწველობის და კომუნალური განყოფილებების), ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალების სასექციათაშორისო ბიუროს, მ/გ. ინსპექციის კულტსექტორის წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები, სპეციალისტები და დაწესებულებანი.

22 იანვარს, დღის 4 საათზე პირველ აუდიტორიაში შესდგება ს. პ. ინსტიტუტის საალ-ეკ. ფაკ. საერთო კრება. კ. პ. (ბ) წევრებისა და კანდიდატებისა, კომკავშირელების და აგრეთვე პროფსექციის წევრების დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნ-ტის პარტბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, ოთხშაბათს, 22 იანვარს, საღამოს სრულ 6 საათზე სახ. უნ-ტის კლუბში მოწვეული პარტიისა და კომკავშირის გაერთიანებული ღია კრება უპარტიოებთან ერთად ლენინის გარდაცვალების დღიდან 6 წლის შესრულების გამო.

—:—

ხუთშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტთან არსებულ მესამე და მეოთხე კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის საგანგებო კრება.

რადიო-გადაცემა

დღეს თბილისის რადიო-სადგურიდან გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: დილით —მუშათა შუადღე, ახალი ამბები და კონცერტი. საღამოთი—სამი თაობის საღამო— რადიო გამოძახება თბილისი-ბაქო-ერევანი. რადიო გაზეთი—ქართულ ენაზე, დაუსწრებელი კოოპერატიული კურსები რადიოთი, ლექცია —„პოლიტეკონომია"—რუსულ ენაზე, დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტი რადიოთი, ლექცია „თვითგანვითარების ტეხნიკა"—ქართულ ენაზე, ლექცია ხუთწლიანი გეგმის ციკლიდან „სოფლის მეურნეობა"—ქართულ ენაზე, დროს შემოწმება, რადიო გაზეთი რუსულ ენაზე, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები, რადიო ფილმი „ლენინი". რადიო გადაცემის ერთი კვირის ცნობილი ესპერანტოს ენაზე, უკანასკნელი ამბები.

სამუდამოდ გულმოკლული დედ-მამა ელენე და გიორგი და დაი თინიკო მიქაბერიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ოთხშაბათს, იანვრის 22-ს, დღის 2 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე მათთვის დაუვიწყარ და მეტად საყვარელ პატარა

ვაჟიკო მიქაბერიძის

საფლავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 376

გულმოკლული მეგობრები ქრისტინა წერეთელი, ქეცნა ლექავა, ლ. ლომაძე, ს. მერმანიშვილისა, ცუცა ლექავა, გულნარა ცომაია, ცაცია ხუჯაძე, ტ. ჩიჩუასი, ს. ლექავა, ბ. წერეთელი, ვ. სანაძე, ნ. გასაძე, ან. ლექავა, ს. მასხარაშვილი, პ. გუდაძე და გრ. დურმიშიძე აცხადებენ დაუვიწყარ

თამარ მელიტონის ასულ წერეთლის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ჯილოვანში. ნ. 146

ქიათური საბჭოთა მუშაკების სა ლმეველთა მეურნეთა და გემო კვების პროფკავშირების თანამშრომლები: ა. ვაშაძე, შ. პაქაშვილი, შ. ბარბაქაძე, ქ. კობახიძე, ა. ლექავა, მ. სამხარაძე, ივ. კაპანაძე, ალ. ლექავა, პ. მოდებაძე, ვ. ჯალაღანია და სხ. თანამშრომლები ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე პროფკავშირის თანამშრომლის

თამარ მელიტონის ასულ წერეთლის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება ქიათურის საავადმყოფოდან. ნ. 146

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები იაკობ და მაკრინე, ძმა ვალიკო, ცოლი ოლია შვილებით კუკული, ნუნუ და ბაბუცი არველაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 19 იანვარს, თბილისში დღის 2 საათზე, რესპუბლიკის [illegible] ავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

კონსტანტინე არველაძე

დაკრძალვა კულაშში, ხუთშაბათს, 23 იანვარს, ნაშუადღევს 4 საათზე. (დებ.)

მეუღლე გიორგი ლორთქიფანიძე აცნობებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ პარასკევს, 24 იანვარს, 4 საათზე ავლაბრის სასაფლაოზე (რკინის გზის გადაღმა) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ნინა ბახტაძე (ლორთქიფანიძისა)

ხსოვნის აღსანიშნავად. 383

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები: შალიკო და აკაკი ჩიქოვანები, ვალიკო, დათიკო და ლაზარე ზვიადაძეები, ვალიკო ნაცვლიშვილი, ნიკოლოზ ბრეგვაძე და სანდრო მალლაფერიძე აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა სრულიად ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე

ილია პორფილეს-ძე ჩიქოვანი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 23 იანვარს, ქუთაისის ოლქი, სოფ. ბაში. 367

გაუბედურებული დედა დესპინე, მამა ლუკა, ქმარი დათიკო მამალაძე, შვილი ნოდარი, სიდედრი ელისაბედი, დები: ქენია, ნინო, მარუსია, ლიუბა და ძმა ავთანდილ კობიძეები; მულები: თამარა და ანეტა; ნათესავები: სერგო, ანასტასია და ვიქტორ მამალაძეები, სიძე გერმანე ლომთათიძე იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

ვარდო ლუკას ასულ კობიძე-მამალაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან ყუბანის (ნაძალადევი) ქ. № 3, დღის 5 საათზე. დაკრძალვა 26 იანვარს, სოფ. ხევში. 178

ახლო ნათესავები იოვანი, ფედესია, ლადო, ერმონია და მიშა გურგენიძეები, აკაკი, ოლია, გალაქტიონი და მარგარიტა ენუქიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ

ვარდო ყრუაშვილი-გურგენიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 22 იანვარს, საკუთარი ბინიდან—ბათომის ქუჩა № 32, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ე)

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

ოთხშაბათს, 22 იანვარს, მე-4 აბონემენტის მე-7 წარმ. ლატვიის ნაციონალური ოპერის პრემიერ ქალის მ. ი. ბრიხმან-შტენგელის პირველი გამოსვლა ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით

აიდა

ხუთშაბათს, 23 იანვარს, მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობის გ. ვ. ჟუკოვსკაიას პირველი გამოსვლა ალექსანდრე პიროგოვის მონაწილეობით—

ტრილბი

ნ. 148

აპოლო — 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — მხატვრული ფილმი **მოანა** (სამხრეთის ზღვების შვილი)

პალასი — 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. — ვერნერ კრაუსი, ჟენი იუგო. საუკეთესო სურათში **მკვდარი მარკიში**

არფასტო — 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — საქარ. სახკინმრეწვის ნაწარმოები **საბა** რეჟისორი მ. ჭიაურელი. I სეანსზე კულტურული ფილმი სიყვარული ბუნებაში

მინიონი — 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — მხოლოდ 1 დღე კინო-პოემა **5 ფუთი**

სოლეი — 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — მხატვრული ფილმი **ნამქერებში** ხვაშენკოს, შოია კურდიუმოვას და სხვ. მონაწილეობით

დარბაზი — 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. — **სასიკვდილო ნომერი** (დრამა ცირკის არენაზე) ესტრადაზე ტრიო ბრიანსკის გასტროლები, შაირები, ცეკვა-თამაში და სხვ.

მალე: „ზამალუ" და „თურქესტან-ციმბირის გზა". 0-18

კინო **სოლეი**

24 იანვრიდან

„მეჟრაბპომ-ფილმ"-ის ახალი სურათი

ჩვენი ქვეყანა ხუთი წლის შემდეგ

რეჟისორი პ. პ. პაშკოვი.

ნ. 149

მეჟრაბპომ-ფილმის ნაწარმოები

24 იანვარს, კინო-თეატრებში

აპოლო და არფასტო მხატვრული სურათი

ლიანდაგი გუგუნებს

ვ. მ. კირშონის სცენარის მიხედვით

რეჟისორი—ი. ა. ლეონტიევი, ოპერატორი ბ. ა. კაბალოვი

კინო-მინიონი

ხუთშაბათიდან, 23 იანვრიდან

უცხოეთის საუკეთესო სურათი

მეორე სიცოცხლე

ნ. 149

თბილისის ცირკი

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელ. 7-60 8-94.

ოთხშაბათს, 22 იანვარს

ნ. 113

დიდი სანახაობა

პირველად თბილისში დაიდგმება კარუსელი

14 ცხენის, 8 აქლემის და ვირის მონაწილეობით. ერთად-ერთი საბჭოთა კავშირში ერთდროული გატრენვა

ა. ვ. ლაპიადოს ხელმძღვანელობით.

უკანასკნელი დღეები ტრიო იუშკერსის, დიქსის მონაწილეობის და სხვა საუკეთესო ნომრები.

წაიკითხეთ აფიშები. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

3—1 დირექცია.

ხუთშაბათს, 23 იანვარს, დილის 10 საათზე, სახელმწიფო პოლიტექნიკუმში (აუდ. № 6), შესდგება

საამშენებლო პროფკომის აქტივის სხდომა

დღის წესრიგი: გარჩევა ახალ სამოსწავლო გეგმებისა.

ს.ს.პ.-ის ალმას. ბიურო. 380

ა. წ. 23 იანვარს, შესდგება

დამფუძნებელი სხდომა საქ. თევზის მრეწველობისა და თევზის მომრავლების სააქციო საზ-ბის

„საქართველოს თევზი"

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. საზ-ბის წესდების განხილვა და დამტკიცება.
2. საზ-ბის სააქციო კაპიტალის განსაზღვრა და დამტკიცება.
3. საზ-ბის აქციების განაწილება.
4. საზ-ბის 1930 წ. საოპერაციო მუშაობის გეგმის განხილვა და დამტკიცება.
5. დელფინის სამრეწველოს რეორგანიზაციის საკითხი.
6. საორგანიზაციო საკითხები.

აღნიშნულ კრებაზე დამფუძნებელი-აქციონერები აგზავნიან თავის პასუხისმგებელ წარმომადგენლებს, აღჭურვილთ წერილობითი მონდობილობით.

სხდომის ადგილი და დრო ცალკე ეცნობება ყველა აქციონერს.

366 სააქციო საზ-ბა „საქართველოს თევზი"-ს ორგ-ბიურო.

---

23 იანვარს, საღ. 6 საათზე, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში

დაიწყება

ამ.-კავკასიის და თბ. უბნის საგზაო სალაროების, ამიერ-კავკასიისა და თბილისის უბნის შრომის ინსპექციების

აპარატის წმენდა

შესვლა თავისუფალია. სთხოვენ ყველა იმ პირებს, ვისაც მამხილებელი ცნობები მოეპოვებათ, დაესწრონ.

ნ. 14 ხელისშემწყობი კომისია.

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— პურის წიგნაკი (5 სულის) ნაზო ისჰაილოვის სახელზე. 363
— სამხედრო წიგნაკი ზაქარი ვასილის-ძე შანშიაშვილის სახელზე. 364
— კოოპერატივის წიგნაკი № 140 სარქის ჯიჯიაშვილის სახელზე. 356
— მუშკოოპის წიგნაკი № 39 83 ნიკო კამკამიძეს სახელზე. 396
— პურის წიგნაკი № 2450 ზაქარ ფარადაშვილის სახელზე. 368
— მუშკოოპის წიგნაკი № 36437 ვარვარა ბერუჩაშვილის სახელზე. 370
— მატრიკული № 72 გაცემული მედტეხნიკუმის მიერ, თამარ ნადარეიშვილის სახელზე. 373
— კავშირის წიგნაკი № 1906 გიორგი მიხეილის-ძე ონანოვის სახ. 374
— კავშირის წიგნაკი ანა რაჟდენის ასული ქალაგანიძეს სახელზე. 381
— პურის წიგნაკი № 840 თამარი ქილიფთარის სახელზე. 382
— საანგარიშო წიგნაკი გაცემული განათლების მუშკავშირის მიერ ნ. საგინაშვილის სახელზე. 380
— პურის წიგნაკი № 13831 გრიშა რუხაძის სახელზე. 371
— პურის წიგნაკი № 44029 მარო ნაჭყებიას სახელზე. 371
— სამხედრო მოწმობა მიხეილ ვასილის ძე ნებიერიძის სახელზე. 371
— „ზაკტპის" საწევრო წიგნაკი № 3374 თეკლე ესებუას სახელზე. 371
— კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 6963 ქ. შვარდი ძიძიგურის სახელზე. 371
— სამხედრო პირადი მოწმობა ევგენი სამსონის ძე ძაძამიას სახელზე. 375
— სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 15423 ნიკო შინჯიკაშვილის სახ. 375
— სა ნ. სააღრიცხვო ბარათი ლუკა კაციაშვილის სახელზე. 379

ტირაჟი—46.8[illegible]

თბილისის მუშკოოპი

ამა წლის 20 იანვრიდან № 210 მაღაზიაში (კომინტერნის ქ. № 6)

ხსნის

ფოტო-ვაჭრობას

მოიპოვება

რუსეთის, სხვა და სხვა ფირმების ფოტო-საქონელი: ქაღალდი, ფირფიტები, ქიმიკატები და მოწყობილობანი, აგრეთვე უცხოეთის ღია ბარათები ბიკ და გევერტი.

მიიღება შეკვეთები სხვა ქალაქებიდანაც, სადაც შემკვეთებლებს საქონელი გადაეგზავნება აგენტებით. ნ. 145

სარეწაო კავშირი

აცხადებს, რომ ა. წ. 22 იანვარს პურის მცხობელ ორგანიზაციებში („სამრეწკოოპი", „ირანი" და „რაჭა")

პურის გაყიდვა იწარმოებს დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

„სარეწაო კავშირი"-ს გამგეობა. 365

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირეტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 6 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლაკში. ტელ. 25—73. 5—12

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 14. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან 25—12

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით— 7—9 ს საღამოს—6—[illegible] საათ. ქალები და ბავშვების მიღება 1—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 14 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—41. 552

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველ ვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—1

თვითგანვითარებისთვის და საშემოდგ. გამოცდებისათ.

ვამზადებ მოწაფეებს

7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტეხნიკუმში: ინდუსტრ. ქიმიურ. ფარმაც. უმაღლეს სასწავლებელში, მე-9-ე ჯგუფ. შესასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმეტ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. რუსულსა და გერმანულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტს მოწაფეებსაც. ნახვა და ჩაწერა 1-7 საათამდის მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს ყოფ. (ვორონცოვის მოედანი). პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5. იკითხეთ მასწავლებელი მ ქედის სახელოსნოში, ან საპარიკმახეროში. 5-5 161

მასწავლებელი

ამზადებს მოწაფეებს:

ათწლედის გასათავებლად, უნივერსიტეტისათვის, სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკულტეტისათვის და სხვ. აქვე ვასწავლი

ლამაზ წერას

მოკლე დროში, (რუსულ და ქართ.) სდგება ახალი ჯგ. საბუღალტრო კურსებზედ შესასვლელად. მუშებს შეღავათი 30 პრ.—50 პრ-მდი. ნახვა: დილის 10-12 და საღ. 4-6 ს. ტფილისი, საიათნოვის ქ. № 12, (ყოფ. კათოლიკური) თავისუფლების მოედანთან.

ქძ. 4071 25—1

სულ მოკლე ხანში

ვასწორებ ხელს წერაში

რუსულ და ქართულ ენებზე

პროფ. კოსოდოს მეთოდით.

ტურგენევის ქუჩა № 4 (მე-9 კომისარიატი). კბილის ექიმის ფონ-ბრენერის ბინა. შესავალი ეზოდან.

2—2 209

საქართველოს ს. ს. ს. რ. მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის

დასკვნითი ბალანსი

1929 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი

მუხლების დასახელება	თანხა	
	კერძო	საერთო
I ქონება		
1. შენობები და ნაგებობანი	2.618.793—59	
2. კულტურული ნაოგავები	622.942—43	
3. მანქანები და გაწყობილობანი	491.770— 1	
4. ხელსაწყოები	14.309—77	
5. სასოფლო სამეურნეო იარაღი და ინვენტარი	172.476—1[illegible]	
6. სამეურნეო ინვენტარი	192.520—70	
7. ტრანსპორტი	30.738 57	
8. ტარა	492.767—36	4.841.286—69
II. სათადარიგო გაწყობილება.		60 675—80
III. დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი.		
1. ახალი ვენახების და ამერიკული ვაზის სადედეების გაშენება	474.887—75	
2. ხილის ბაღების გაშენება	4.502—63	
3. ახალი შენობების აგება და ძირითადი შეკეთება	130 238—40	609.628—78
IV. მასალები.		
1. ძირითადი მასალა	94.859—27	
2. დამხმარე მასალა	595.547—69	
3. სათ ობი მასალა	11.413—38	
4. სარემონტო საამშენებლო მასალა	29.158—67	
5. მასალა გზაში	4.037—66	735.016—67
V. დაუმთავრებელი დამზადებანი.		6 045—57
VI. დაუმთავრებელი წარმოება.		157.689—20
VII. ნახევრად ნაწარმი (საწყობებში).		703.598—01
VIII. საქონელი და მზა ნაწარმი.		
1. საქონელი და მზა ნაწარმი საწყობებში	2.987.839—07	
2. „ „ „ გაცემული საკომისიოდ	50.5[illegible] —50	
3. „ „ „ გზაში	339.132—97	3.372.497—54
IX. ფულადი სახსარი.		
1. კასა (ნაღდი ფული, გზავნილებანი)	89.923—65	
2. სახელდახელო ანგარიშები	191.740—68	281.664—33
X. ფასიანი და პროცენტიანი.		36.992—45
XI. პაიები და აქციები სხვა საწარმოთა.		239.399—64
XII. მიღებული თამასუქები და დოკუმენტები.		
1. მიღებული თამასუქები:		
ა) პორტფელში	695.828—51	
ბ) სპეც. სახ. ა—შის უზრუნველსაყოფად	250.000—00	
გ) გადაგზავნილი (ინკასოზე)	59.287—45	
2. პროტესტქმნილი თამასუქები	5.319—98	
3. თამასუქები განაღდებული ბანკებში	59 .916—11	
4. ფასდადების და სხ. ასაღები საბუთები	50.952—59	1.653.294—64
XIII. ანგარიშსავალი ველი ანგ.		40.208—11
XIV. დებიტორები.		
1. მუშა-მოსამსახურენი	12.738—95	
2. მომწოდებლები და მოიჯარადრენი	307.637—39	
3. მყიდველები და დამკვეთნი	589.897—44	
4. სხ. და სხ. დებიტორები	297.186—37	
5. საეჭვო დებიტორები	142.872—02	1.350.332—17
XV. მომავალი წლის ხარჯები.		80.196—60
XVI. შედეგები.		
1. ზარალი საანგარიშო წლისა		325.094 89
ბალანსი		14.483.621—09

პასივი

მუხლების დასახელება	თანხა	
	კერძო	საერთო
I. თანხები.		
1. საწესდებო	6.303.405—47	
2. საამორტიზაციო	531.383—70	
3. სათადარიგო (სარეზერვო)	82.271—02	
4. საწარმოს გასაფართოებელი	87.710—59	7.004.770—78
II. ფონდები.		
1. მუშა-მოსამს. ყოფა-ცხოვრ. გ საუმჯობ. ფონდი	53.271—35	
2. წახალისების ფონდი	663—25	53.934—60
III. რეზერვები.		
1. საეჭვო ვალების რეზერვი	—	102.165—85
IV. ბანკები.		
1. გრძელ-ვადიანი სესხებით	335.120—18	
2. სპეც. სახელდ. აშ—ებით:		
ა) უზრუნველყ. საქონლით	3.865.662—43	
3. განაღდებულ თამასუქებით	591.916—11	4.792.698—72
V. გაცემული თამასუქები.		760.222—99
VI. კრედიტორები:		
1. მუშა-მოსამსახურენი	5.625—33	
2. მომწოდებლები და მოიჯარადრენი	154.[illegible]81—45	
3. მყიდველები და დამკვეთნი	459.704—09	
4. გადაუხდელი გადასახადები, გამოსაღები და სავალდებულო შესატანი	909.925—[illegible]0	
5. სხვადასხვა კრედიტორები	238.828—42	1.768.954—79
VII. მომავალი წლის შემოსავალი.	—	873—36
ბალანსი	—	14.483.621—09

ბალანსის იქითა მუხლები

მუხლების დასახელება	კერძო	საერთო
I. უზრუნველსაყოფად გაცემულ თამასუქის პატრონნი		3.451.160—
II. ფასეულობანი მიღებული საწინდრად და უზრუნველსაყოფად:		
1. საგარანტიო თამასუქები		131.956—
ბალანსის იქითა ჯამი		3.583.116—
სულ...		18.066.737—09

მუხლების დასახელება	კერძო	საერთო
I. საგარანტიოდ გაცემული თამასუქები		3.451.160—
II. საწინდრათ აღებულ ფასეულობათა პატრონნი		131.956—
ბალანსის იქითა ჯამი		3.583.116—
სულ...		18.066.737—09

მოგება-ზარალის ანგარიში 1928 წ.

ზარალი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	კერძო ჯამი	საერთო ჯამი
1	ზარალი წარმოებაზე გადანახარჯისაგან და მოუსავლიანობისაგან		158.638 79
2	ზარალი საცდელ ნათესებიდან		9.578 50
3	სავაჭრო და ადმინისტრატიული ხარჯები		1.076.609 53
4	გადახდილი პროცენტები:		
	ა) მოკლევად ან კრედიტებზე	319.895 98	
	ბ) გრძელვადიან კრედიტებზე	15.892 57	335.788 55
5	მასალების, ნახ. ფაბრიკატების და საქონლის დანაკლ.		67.592 17
6	ზარალი უიმედო ვალების ჩამოწერით		73.714 67
7	ანარიცხები საეჭვო ვალების რეზერვში		83.044 11
8	ზარალი სხვა საწარმოებში მონაწილეობისაგან		288 50
9	გადახდილი საურავი და ჯარიმა		10.917 33
10	კონსერვაცია-ქმნილ საწარმოთა შენახვა		12.460 68
11	ზარალი საწარმოთა შეჩერებისაგან		1.374 18
12	ზარალი ქონების ლიკვიდაციით		44.454 38
13	ზარალი კაპიტალურ რემონტის ჩამოწერით საიჯარო ქონებიდან		45.624 62
14	სხვა დასხვა ხარჯები		94.134 44
	ჯამი		2.014.280 45
	ბალანსი		2.014.280 45

მოგება

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	კერძო ჯამი	საერთო ჯამი
1	მოგება საქონლის და ნახევარ ფაბრიკანტებს გაყიდვისაგან		1.480 888 44
2	მოგება მასალის გაყიდვისაგან		10.041 57
3	მოგება სამუშაოთა და დაკვეთების შესრულებისაგან		5.616 74
4	მოგება საკომისიო დავალებათა შესრულებისაგან		550 55
5	მიღებული პროცენტები:		
	ა) პროცენტიან ქაღალდებიდან	72 45	
	ბ) მიმდინარე ანგარიშებიდან	5.640 24	
	გ) ანგარიშ-სწორებით და თამასუქებით	59.215 98	64.928 67
6	მასალის, ნახ. ფაბრიკატების და საქონლის მეტობა		38.835 14
7	მოგება-ზარალში ჩამოწერილ უიმედო ვალების დაბრუნებით		3.701 62
8	მოგება საეჭვო ვალების რეზერვის გამოუყენებელ ნაშთის გადაოიცხვით		3.170 47
9	მიღებული საურავი და ჯარიმა		19 35
10	დივიდენდი მიღებული სხ. საწარმოებში მონაწილეობით		9.544 77
11	სხვადასხვა შემოსავალი		81.888 24
	ჯამი		1.[illegible]99.18[illegible] 5[illegible]
	წმინდა ზარალი		315.0[illegible]4 89
	ბალანსი		.014.280 45

ეს ბალანსი დამტკიცებულია საქართველოს ფინანსკომის შემთანხმებელ კომისიის მიერ (1929 წ. დეკემბრის „26" თარიღით) და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

ტრესტის მმართველი ს. ი. [illegible]

მთ. ბუღალტერი: დ. ი. პურაძაშვილი.

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904